178
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1977 2

საბჭოთა სამართალი

№ 2

1977 წელი

მარტი — აპრილი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

დიდი ოქტომბრის გზით 3

მ. ბალათურია — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები . . 8

გ. ბანძელაძე — დისციპლინის ცნების, არსისა და მნიშვნელობის საკითხისათვის . . 15

ვ. ლორია — ზოგიერთი სიახლე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში . 24

ლ. ადეიშვილი — ახალი დებულება საწარმოებისათვის მიყენებული ზარალის გამო მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ 34

გ. ვეკუა — დანაშაულებრივი ქმედების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობა მიზეზობრიობის ფილოსოფიური პრობლემის ასპექტში 41

ა. აბესაძე — ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე 48

ᲕᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ

ლ. ჭანტურია — გიყვარდეს ადამიანი 55

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე 57

ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი 63

ოფიციალური მასალა 68

ინფორმაცია 85

13554

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

По пути Великого Октября 3

М. Багатурия — Выборы в местные Советы депутатов трудящихся . . 8

Г. Бандзеладзе — К вопросу понятия дисциплины, ее сущности и значения 15

В Лория — Новое в законодательстве об административной ответственности 24

Л. Адейшвили — Новое положение о материальной ответственности рабочих и служащих за ущерб, причиненный предприятию . . . 34

Г. Векуа — Соотношение внутренних и внешних факторов преступного деяния в аспекте философской проблемы причинности . . . 41

А. Абесадзе — Работа административных комиссий на уровне современных требований 48

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВИКОВ

Л. Чантурия — С любовью к человеку 55

НАШЕ ИНТЕРВЬЮ

На конгрессе Международной федерации астронавтики 57

С. Высоцкий — Пропавшие среди живых 63

Официальный материал 68

Информация 85

სარედაქციო კოლეგია

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი
თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე, გ. ინწკირველი,
აკ. კარნაძე, მ. ლომიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. უვანია,
გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

შეკვ. № 1041
ტირაჟი 18.050
უე 04036

© „საბჭოთა სამართალი“, 1977 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლეხანოვის ბროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 23/III-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის გზით

წლეულს ნოემბერში საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მსოფლიოს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იზეიმებს ღირსსახსოვარ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს. ოქტომბრის რევოლუცია ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მან უღრმესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ჩაგრულ და დამონებულ ხალხთა ბედზე, ძირფესვიანად გარდაქმნა ძველი სამყარო. ოქტომბრის რევოლუციით დასაბამი მიეცა სრულიად ახალ ეტაპს საზოგადოების განვითარების ისტორიაში. დაიწყო საყოველთაო რევოლუციური განახლების ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ერა.

რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორი და ბელადი იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, მის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ბოლშევიკების პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და გლეხობამ დაამხეს საძულველი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და შექმნეს საბჭოთა სახელმწიფო— მსოფლიოში პირველი ნამდვილად სახალხო სახელმწიფო, ჯერ სოციალიზმის, შემდეგ კი კომუნიზმის მშენებლობის მთავარი იარაღი. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პირველი დეკრეტებით, რომლებიც ყველა მშრომელის ნებასურვილს გამოხატავდა, საფუძველი ჩაუყარა ახალ, სოციალისტურ სამართალს, რომლის ძირითად მიზნად იქცა საზოგადოების მოწყობა სოციალისტურ საწყისებზე.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს წილად ხვდა საპატიო მისია, დაყრდნობოდა საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტურ სამართალს და გლეხობასთან ერთად, გარდაექმნა საწარმოო ძალები და ურთიერთობები, ერთხელ და საბოლოოდ დაემსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, სამუდამოდ მოესპო კაპიტალიზმის განუკურნებელი წყლულები — შიმშილი, უმუშევრობა, ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა, უწიგნურობა. პირველად ისტორიაში სსრ კავშირში დამკვიდრდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ბოლო მოეღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, დამყარდა მშრომელთა მასების დემოკრატია, დემოკრატია მთელი ხალხისათვის.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით სსრ კავშირის მშრომელებმა ნგრევისა და შიმშილის ვითარებაში, რთულ საერთაშორისო პირობებში დაძლიეს თავიანთ გზაზე არსებული სიძნელეები და განახორციელეს უღრმესი სოციალ-ეკონომიური გარდაქმნები, წარმატებით შეასრულეს დაკისრებული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტურ საზოგადოებას და სრულყვეს კიდეც ეს წყობილება, ააშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ადრე არსებული ყველა საზოგადოებისაგან. მთელი ძალით გამოვლინდა წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობანი. ხალხის ცხოვრების დონის ყოველმხრივი გაუმჯობესება, მშრომელთა კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის ამაღლება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად, მისი მოღვაწეობის კანონად იქცა. სოციალიზმის მშენებლობის წლებში ღრმად და ყოველმხრივ გამოჩნდა მუშათა კლასის ისტორიული როლი — იდგეს საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ძირეული გარდაქმნების სათავეში, იყოს მშვიდობის, დემოკრატიის, პროგრესის მებაირაღტრე.

„ექვსი ათწლეულის მანძილზე ოქტომბრის სამშობლოს მიღწევები დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის ისტორიაში არნახული ტემპი"[1].

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, რომელიც გამოხატავდა მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად იქცა საბჭოები, რომლებიც იშვა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. გამართლდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიალური წინასწარჭვრეტა საბჭოების როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმის შესახებ. ეს აღმოჩენა, რომელიც პირველად დასაბუთებულია ვ. ი. ლენინის ცნობილ „აპრილის თეზისებში", მარქსიზმის თეორიულ საგანძურში შეტანილი ძვირფასი წვლილი, მარქსიზმის გაღრმავება და განვითარება იყო ახალ ეპოქაში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში.

„საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმის დამყარებამ და დამკვიდრებამ საქმით უზრუნველყო მშრომელთა გიგანტური უმრავლესობისათვის უმაგალითო თავისუფლება და დემოკრატია, რაც ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა"[2].

საბჭოთა ხალხის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობასთან ერთად, შემდგომ განავითარა და სრულყო სოციალისტური წყობილება, უზრუნველყო სახალხო მეურნეობის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, ყველა კლასისა და ფენის, ერებისა და ეროვნებების კავშირის განმტკიცება, შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა —საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო გაიზარდა საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. ასეთ ვითარებაში საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები და თანდათანობით გარდაიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ იგი მთელი საზოგადოების ერთსულოვან მისწრაფებებს გამოხატავს და თავისთავად გულისხმობს სოციალისტური დემოკრატიის ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურს.

ამასთან „პარტია დაუცხრომლად მუშაობს ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი სრულყოფისათვის, რომე-

---

1 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ", გაზეთი „კომუნისტი" 1977 წლის 1 თებერვალი.

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვარის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ", გაზეთი „კომუნისტი", 1977 წლის 1 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ახალ ისტორიულ პირობებში განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დიად აღმშენებლობითს მისიას, საზოგადოების საქმის მართვაში მშრომელთა უფრო ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის"[3].

მარქსიზმ-ლენინიზმმა შეიმუშავა მოძღვრება დემოკრატიის — სახელმწიფოს ზოგადი თეორიის შემადგენელი ნაწილის შესახებ, დაასაბუთა, რომ მას საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები, ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრავს. ამასთან ისინი პირდაპირ კი არ განსაზღვრავს დემოკრატიის არსს, არამედ ეს პირობები და ეკონომიკური ურთიერთობები გვიჩვენებს კლასის ადგილს საზოგადოებაში, იმას, თუ ნამდვილად რომელ კლასს ეკუთვნის ხელისუფლება, რომელ საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობებს ემსახურება, ვის ხელისუფლებას იცავს და განამტკიცებს, ვის ინტერესებს გამოხატავს.

„ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომლის პირობებშიც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სოციალური უფლებანი და თავისუფლებანი ატარებენ ფორმალურ ხასიათს, სოციალისტური დემოკრატია, რომელიც წარმოიშვა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე, უზრუნველყოფს მშრომელთა სოციალ-პოლიტიკურ უფლებებსა და პიროვნების თავისუფლებას, იძლევა ფართო შესაძლებლობებს სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის მისაღებად"[4].

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა პარტიამ შეაჯამა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგები. ეს მეტად მცირე დროა ისტორიისათვის, მაგრამ იგი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ხანა იყო. საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შემდგომ განმტკიცდა სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, სრულყოფილ იქნა დემოკრატია.

ჩვენი წყობილების ღრმა დემოკრატიზმის გამოხატულებაა ხალხის მასების მხარდაჭერა კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, მათი სულ უფრო მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

„სოციალისტური დემოკრატია გამოხატავს და იცავს ხალხის ინტერესებს, ემსახურება კომუნიზმის საქმეს. იგი მოიცავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას — ეკონომიკურს, პოლიტიკურსა და სულიერს, ქმნის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობებს. საბჭოთა ხალხი ქვეყნის ნამდვილი და ერთადერთი ბატონ-პატრონია, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი ჩვენში განიხილება და წყდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის უფართოესი და უშუალო მონაწილეობით"[5].

---

[3] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ", გაზეთი „კომუნისტი", 1977 წლის 1 თებერვალი.

[4] „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი", სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, გაზეთი „კომუნისტი", 1967 წლის 26 ივნისი.

[5] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ", გაზეთი „კომუნისტი", 1977 წლის 1 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას. თანამედროვე პირობებში კიდევ მეტად იზრდება მნიშვნელობა და როლი სოციალისტური კანონიერებისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

სოციალისტურ კანონებს, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, დიდი მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. წარმოუდგენელია კანონიერების დაუცველად იყოს ნამდვილი დემოკრატია, შეუძლებელია წარმატებით მოქმედებდეს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემა. კანონების განუხრელად შესრულება ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობა, კანონიერების განმტკიცების საფუძველთა საფუძველია. „აუცილებელია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდათ დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“[6].

ვ. ი. ლენინი დანაშაულად თვლიდა, რომ ვინმეს საშუალება მისცემოდა გვერდი აევლო კანონისათვის. ცნობილია თუ რა პასუხი გასცა ვ. ი. ლენინმა რსფსრ-ს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს თხოვნაზე, ნება დაგვრთეთ გვერდი ავუაროთ დეკრეტს, რომლითაც არ შეიძლება ერთსა და იმავე დაწესებულებაში ნათესავებმა იმსახურონო. დეკრეტის გვერდის ავლა — წერდა ვ. ი. ლენინი — არ შეიძლება. ის, ვინც ასეთ წინადადებას შეიტანს, სამართალში უნდა მიეცეს.

სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცების შესახებ ლენინური მოძღვრება პარტიის საპროგრამო ამოცანად არის მიჩნეული. „პარტია — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილი იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“[7].

კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე კანონიერებას უფრო ფართო სარბიელი აქვს, ვიდრე წინათ ჰქონდა. პარტია უკანასკნელ ხანს მეტ ყურადღებას აქცევს იმ ორგანოების საქმიანობას, რომელთა მოვალეობაა იდგნენ სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე. პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ მუდმივ ყურადღებას მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე. პარტია, სახელმწიფო დიდად აფასებენ ამ დაწესებულებათა მუშაკების ძნელ და საპატიო შრომას“[8].

პარტიის ეს დიდი შეფასება ბევრს ავალებს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მის თითოეულ მუშაკს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, მისმა ტრი-

---

6 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 659-660.

7 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 141.

8 სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმფმა მესამოცე წლისთავზე დამაჯერებლად ცხადყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჭეშმარიტება მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების კანონზომიერების შესახებ. ამჟამად სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში, აგრეთვე დასავლეთ ნახევარსფეროში — კუბაში.

„მსოფლიო სოციალიზმის ისტორიულმა გამოცდილებამ მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძური გაამდიდრა ახალი დასკვნებითა და დებულებებით, გააფართოვა რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ჰორიზონტები. მან უცილობლად დაამტკიცა, რომ საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური რევოლუციისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის ძირითად კანონებს, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ აღმოაჩინა და პირველად განახორციელა ოქტომბრის პრაქტიკამ“[9].

ოქტომბრის შუქი დღესაც გზას უნათებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მშრომელებს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

---

[9] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ“, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 1 თებერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

მ. ბალათურია,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების
განყოფილების გამგე

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ერთდროულად გაიმართება მიმდინარე წლის 19 ივნისს. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. ისინი თავდადებულად შრომობენ ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხუთწლედის მეორე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

წლევანდელი საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მასების პოლიტიკური აქტივობის გაზრდას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მათ შეკავშირებას.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ ამაღლებას, მასების უფრო ფართო მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში, მთელ მის ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობაში.

ამის მისაღწევად პარტიას საჭიროდ მიაჩნია გააუმჯობესოს სახალხო წარმომადგენლობის ფორმები, განავითაროს საბჭოთა საარჩევნო სისტემის, საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. საბჭოთა ხალხი ქვეყნის ნამდვილი და ერთადერთი ბატონ-პატრონია. ჩვენში პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი განიხილება და წყდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ფართო და უშუალო მონაწილეობით.

„პარტია დაუცხრომლად მუშაობს ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი სრულყოფისათვის, რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დიად აღმშენებლობითს მისიას, საზოგადოების ყველა საქმის მართვაში მშრომელთა უფრო ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის“.[1]

საბჭოების დემოკრატიულობა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ მათ ირჩევენ მშრომელები დემოკრატიული საბჭოთა საარჩევნო სისტემის საფუძველზე და შედგებიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტე-

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ.

ლიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან. არჩევნები არის სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ერთ-ერთი პოლიტიკური ფორმა. უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ტარდება სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად. არჩევნების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებები.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. მისი საწყისები მოცემული იყო „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაციაში", ხოლო შემდეგ იგი დაკანონა პირველმა საბჭოთა კონსტიტუციამ — რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციამ. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების შესაბამისად საარჩევნო სისტემის პრინციპები, ფორმები და მეთოდები სულ უფრო დემოკრატიული ხდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიებისათვის, რომლებიც მუშებს არ მიეკუთვნებოდნენ, შეზღუდული იყო საარჩევნო უფლებები. მოქმედებდა წარმომადგენლობის სხვადასხვა ნორმები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. არჩევნები იყო მრავალსაფეხურიანი, არაპირდაპირი და ტარდებოდა ღია კენჭისყრით. პირდაპირი არჩევნების გზით ირჩეოდა მხოლოდ სასოფლო და საქალაქო საბჭოები, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს ირჩევდნენ საბჭოების შესაბამის ყრილობებზე.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით გადაიდგა ახალი ნაბიჯი საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ გააუქმა საარჩევნო უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა; განსაზღვრა პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დემოკრატიული არჩევნების პირობები.

მშრომელ მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცების, მათ საქმიანობაზე სახალხო კონტროლის გაძლიერებისა და ამომრჩეველთა წინაშე ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით მრავალსაფეხურიანი არჩევნები შეიცვალა საბჭოების ყველა რგოლის პირდაპირი არჩევნებით, არასავსებით თანასწორი არჩევნები თანასწორი არჩევნებით, ღია კენჭისყრა კი შეიცვალა უფრო დემოკრატიული — ფარული კენჭისყრით, რაც სავსებით გამორიცხავს ამომრჩევლებზე რაიმე ზეგავლენას. ეს იყო უდიდესი სოციალური შემობრუნება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც გზა გაუხსნა საარჩევნო უფლების გაფართოების კიდევ ახალ დიდ შესაძლებლობებს, ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში ხალხის მასების უფრო ფართო, უშუალო მონაწილეობას.

სოციალისტური დემოკრატია არამარტო აღიარებს, არამედ უზრუნველყოფს კიდევაც არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის საყოველთაო პრინციპის განხორციელებას, რასაც ემსახურება ამომრჩეველთა სიების შედგენა, არჩევნების კვირა დღეს ჩატარება, საარჩევნო უბნების შექმნა მატარებლებში, გემებზე, საავადმყოფოებში და შორეულ დასახლებულ პუნქტებში. ყველა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქეს, სადაც არ უნდა იყოს იგი, საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

ყველა ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობს თანაბარ საფუძველზე: საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს აქვს ერთი ხმა და არავინ არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.

ყველა რგოლის საბჭოს დეპუტატს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ, ეს კი ხელს უწყობს ამომრჩეველთა კავშირს თავიანთ დეპუტატებთან, ძლიერდება მოსახლეობის კონტროლი თითოეული დეპუტატისა და საბჭოს საქმიანობისადმი, იზრდება დეპუტატების პასუხისმგებლობა მშრომელთა ფართო მასების წინაშე. სსრ კავშირის კონსტიტუცია და ჩვენი ქვეყნის საარჩევნო კანონი არა მარტო აღიარებს საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ პრინციპებსა და მოქალაქეთა საყოველთაო საარჩევნო უფლებებს, არამედ რაც მთავრია სიმძიმის ცენტრი გადააქვს მათ გარანტიაზე და პრაქტიკულ განხორციელებაზე.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულება ითვალისწინებს ყოველივე აუცილებელს იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა დაუბრკოლებლივ გამოხატონ თავიანთი ნება. საარჩევნო დებულების 121-ე და 122-ე მუხლებში აღნიშნულია: ყველა ის, ვინც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით ან მოსყიდვით ხელს შეუშლის სსრ კავშირის მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოში — პასუხს აგებს კანონით დადგენილი სისხლის სამართლის წესით; თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომლებმაც ჩაიდინეს საარჩევნო დოკუმენტების სიყალბე, განზრახ არასწორად დაითვალეს ხმები ან დაარღვიეს საიდუმლოება, პასუხს აგებენ კანონით დადგენილ სისხლის სამართლის წესით.

საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს იმისათვის, რომ ამომრჩევლებს შეუქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები. მაგალითად, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ყველა რგოლისათვის იქმნება საერთო საარჩევნო უბანი. შენობა, სადაც წარმოებს ხმის მიცემა, მდებარეობს საარჩევნო უბნის ცენტრში. ხმის მიცემა იწყება დილის 6 საათიდან და მთავრდება საღამოს 10 საათზე. იმ ამომრჩევლებთან, რომლებსაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ მივიდნენ საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად, მათივე თხოვნით სახლში ეწვევა საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი.

ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თავისებურებაა არჩევნების ჩატარების განსაკუთრებული მასობრიობა, საყოველთაო-სახალხო კონტროლი მის მომზადებასა და ჩატარებაზე.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში საბჭოთა ადამიანები არამარტო თავისუფლად ახორციელებენ თავიანთ საარჩევნო უფლებებს, არამედ გამოდიან მთელი საარჩევნო კამპანიის უშუალო მონაწილეებად და ორგანიზატორებად. ამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გასული არჩევნების დროს მარტო საარჩევნო კომისიებში არჩეული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრიობისა და კოლექტივების 198 ათასზე მეტი წარმომადგენელი. ათასობით საბჭოთა ადამიანი აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო კამპანიაში აგიტატორად, პროპაგანდისტად, ნდობით აღჭურვილ პირად და სხვ. საბჭოთა საარჩევნო სისტემის თანმიმდევრული დემოკრატიზმი გაპირობებულია საზოგადოებრივი წყობის ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხურობით, სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში. არჩევნები ჩვენში მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური აღმავლობისა და მოსახლეობის შრომითი აქტივობის, მუშების, კოლმეურნეებისა და სახალხო ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში. სახალხო ბლოკი კომუნისტებისა და უპარტიოებისა, რომელთა კანდიდატებს ამომრჩევლები ერთსულოვნად აძლევენ თავიანთ ხმას, ნათელი დადასტურებაა სრული ნდობისა, რომლითაც საბჭოთა ხალხი განმსჭვალულია კომუნისტური პარტიის მიმართ და ამასთან ერთად გვიჩვენებს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობის სიმტკიცეს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შექმნის დემოკრატიულობა გამოიხატება აგრეთვე ამომრჩევლების მიერ თავიანთი წარმომადგენლების დეპუტატობის კანდიდატებად დასახელების წესში, რომლის მიხედვითაც კანდიდატთა წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებებისათვის, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის.

წინასაარჩევნო პერიოდში იმართება მრავალრიცხოვანი კრებები, თათბირები და შეხვედრები, რომლებზეც მსჯელობენ ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური პრობლემების ასეთი განხილვის პროცესში მშრომელები ავლენენ ნაკლოვანებებს საბჭოთა ორგანოებისა და ცალკეული მუშაკების საქმიანობაში და სახავენ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

„მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა ამომრჩევლებთან ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ეს შეხვედრები ატარებდეს მასიურ ხასიათს, რომ ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდეთ კარგად გაეცნონ დეპუტატობის კანდიდატს და კრიტიკულად შეაფასონ თითოეული დეპუტატობის კანდიდატის საზოგადოებრივი და საწარმოო საქმიანობა, სანამ მას რეგისტრაციაში გაატარებდნენ საოლქო საარჩევნო კომისიები.

სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ გაშლის და სრულყოფის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამომრჩეველთა განაწესები, რომლებიც სახელმწიფო მართვაში მშრომელების ფართო მონაწილეობის, საბჭოებისა და მათი ორგანოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი ამომრჩეველთა ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი ფორმა. ეს გასაგებიც არის, რადგან განაწესებში ასახულია ამომრჩეველთა ნებასურვილი კიდევ უკეთესად მუშაობდნენ მათი სახალხო წარმომადგენლები, ხელისუფლების ორგანოები.

„სსრკ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის შესაბამისად ამომრჩეველთა განაწესების შესრულება საბჭოებისა და დეპუტატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

განაწესებად ითვლება წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების ამომრჩევლებთან შეხვედრისას წამოყენებული წინადადებები, რომლებსაც სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ამომრჩეველთა კრებებზე განაწესების განხილვისას და მათი სესიებზე დამტკიცების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი შესრულების რეალური შესაძლებლობანი. 1975 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებმა დეპუტატობის კანდიდატებს წაუყენეს 28.382 განაწესი, რომელთა 82 პროცენტი მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესრულებულია.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ახალ დებულებაში, რომელშიც დაწვრილებით არის მოცემული არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ჩატარების თარიღი და ტექნიკა, არავითარი არსებითი ცვლილება არ არის შეტანილი. ამასთან, არჩევნების ჩატარების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოებში, სადაც მცირერიცხოვანი მოსახლეობაა, არჩევნების დებულებით გათვალისწინებული ყველა სახის საარჩევნო კომისიების შექმნა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეუძლიათ გამონაკლისის სახით რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარდგინებით სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ნება დართონ არ შექმნან საოლქო საარჩევნო კომისიები იმ საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 1000 სულამდეა. საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულება დაეკისრება შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს. იმ სასოფლო და სადაბო საბჭოში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიები არ იქმნება, საუბნო საარჩევნო კომისია, გარდა თავისი მოვალეობისა, ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა მოვალეობას. სახელდობრ, რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატს, აჯამებს არჩევნების შედეგებს ოლქში და არჩეულ დეპუტატს აძლევს დეპუტატად არჩევის მოწმობას. საუბნო საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციას და ოლქში ხმის მიცემის ოქმს ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დაწესებულ ბლანკებზე. ამ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის ბლანკში შეტანილი უნდა იქნეს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა შემადგენლობა. ოქმს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, მათ შორის აუცილებლად კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. დეპუტატად არჩევის მოწმობას ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

ადგილობრივი საბჭოების დებულებით გათვალისწინებულია, რომ დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შეყვანილ იყოს იმ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, სადაც იგი კენჭს იყრის, დეპუტატობის კანდიდატი შეიძლება იყოს სხვა საოლქო ან საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიის წევრი.

საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოყენებული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ, ამასთან. რეგისტრაციაში გატარებისას საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა დაიცვას შემდეგი წესი: დეპუტატობის კანდიდატი წამოყენებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების ცენტრალური ორგანოების ან მათი რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული ორგანოების, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. დეპუტატობის კანდიდატი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე და არანაკლებ 18 წლის ასაკისა, ამასთან აუცილებელია იყოს მისი განცხადება, რომ თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში. რეგისტრაციაში არ შეიძლება გატარდეს დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც უკვე რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების ამავე საბჭოს არჩევნების სხვა საარჩევნო ოლქში, ან თუ არის იმ საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, სადაც ის კენჭს იყრის. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ყველა რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატი აუცილებელია შეტანილი იქნეს საარჩევნო ბიულეტენებში.

იმისათვის, რომ არჩევნებში ყველა ამომრჩეველმა მიიღოს მონაწილეობა, ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში უნდა გამოქვეყნდეს არჩევნებამდე 45 დღით ადრე მაინც. არჩევნების დანიშვნა ფაქტიურად უფრო ადრე ხდება. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — „მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების 1977 წლის 19 ივნისს დანიშვნის შესახებ გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 6 აპრილს, ე. ი. 72 დღით ადრე. ეს ვადა უზრუნველყოფს არამარტო არჩევნებისათვის მზადების საჭირო ყველა ორგანიზაციული ღონისძიების დროულად ჩატარებას, არამედ საშუალებას იძლევა არჩევნებისათვის თვით ამომრჩევლებიც მოემზადონ. ამომრჩეველს გააჩნია საკმაო დრო იმისათვის, რომ გაეცნოს იმ საბჭოების საქმიანობას, რომელშიაც მან უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენლები, გაერკვეს დეპუტატობის კანდიდატის პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ამომრჩევლები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებისას შეგნებულად ხმას აძლევენ იმათ, ვისაც ანდობენ თავიანთ ინტერესებს.

ამ პრინციპის თანმიმდევრულ პრაქტიკულ განხორციელებაზე მეტყველებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობაც. მაგალითად, 1975 წლის 15 ივნისს ჩვენს რესპუბლიკაში არჩეულ იქნა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 49.251 დეპუტატი. დეპუტატებად არჩეული არიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, აგრონომები, მექანიზატორები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარგების წარმომადგენლები. დეპუტატთა 43,3 პროცენტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, 56,7 პროცენტი უპარტიო, 67,4 პროცენტი — მუშა და კოლმეურნე, ხოლო 48,1 პროცენტი ქალი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ახალი არჩევნების დროს მნიშვნელოვნად იზრდება არჩეულ დეპუტატთა რიცხვი, რაც უკვე სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კანონზომიერ მოვლენად იქცა. მარტო ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა რაოდენობა საბჭოთა კავშირში 200.392-ით გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების ყველა რგოლის დეპუტატთა რიცხვის ზრდა განპირობებულია არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდით ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენი პარტიის მისწრაფებითაც, რომ საზოგადოებრივ საქმეთა უშუალო მართვაში მიიზიდოს ხალხის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი.

კანონში — „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“, რომელიც 1972 წლის 20 სექტემბერს იქნა მიღებული სსრ კავშირსი მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე ხაზგამით არის აღნიშნული — დეპუტატობა მაღალი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. ხალხი დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობებს აკისრებს დეპუტატებს. დეპუტატთა ვალია მთელი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ამაღლებას, სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. დეპუტატები მოწოდებული არიან თავიანთი მოღვაწეობით განახორციელონ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის საარჩევნო პლატფორმა, რომელიც კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ხალხის ინტერესებს განასახიერებს.

დეპუტატი საქმით უნდა ამართლებდეს ამომრჩეველთა ნდობას, მუდამ იყოს ხალხის მიერ წაყენებული მოთხოვნების დონეზე.

ასეთია საბჭოთა საარჩევნო სისტემის ძირითადი თავისებურებანი. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ჩვენი საარჩევნო კანონი ნამდვილად უზრუნველყოფს თანმიმდევრულ სოციალისტურ დემოკრატიზმს, იმას, რომ არჩევნებს კომუნიზმის მშენებელ ჩვენს დიად ქვეყანაში ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დისციპლინის ცნების, არსისა და მნიშვნელობის საკითხისათვის

პროფ. გ. ბანძელაძე

საბჭოთა ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის თანამედროვე პირობებში, როცა მშრომელთა კოლექტივების თითქმის ყველა გეგმა და ვალდებულება საკმაოდ დაძაბულია — წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი საქმიანობის ყოველი უბნისადმი გონივრული და ოპერატიული ხელმძღვანელობა, როგორი იქნება მშრომელთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნება და დისციპლინა. მითუმეტეს ეს ითქმის ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ დღეზე, როცა ფართო ფრონტით არის გაშლილი ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ასეთ მოვლენებს შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ სწორედ კანონიერებისა და დისციპლინის მოშლა, რასაც ჩვენს რესპუბლიკაში ათეული წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი.

ეხლა, როცა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის მეტად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, ყველაფერი დამოკიდებულია კანონიერების აღდგენაზე, დისციპლინის განმტკიცებაზე. ასეთი ვითარება განსაკუთრებით აქტუალურს ხდის დისციპლინის ცნებისა და მისი არსებითი ნიშნების როგორც თეორიული გააზრებისა და ანალიზის, ისე სათანადო დასკვნების ფართო პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეს.

დისციპლინას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა ქვეყნისა და სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლა წარმოუდგენელია, თუ არ იქნა დისციპლინა და თუ არ ვიბრძოლეთ მისი მუდმივი განმტკიცებისათვის.

დისციპლინა კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება და კომუნისტური საზოგადოების ღირებულებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შინაარსია. დისციპლინა ჩვენ მხოლოდ იმისთვის კი არ გვინდა, რომ მისი საშუალებით, ისევე როგორც მშენებლობაზე ხარაჩოებით, კომუნიზმის შენობა ავაგოთ და შემდეგ კი თავიდან მოვიშოროთ, არამედ იგი თვითონაც არის გარკვეული ღირებულება და შინაარსი საზოგადოებრივი პროგრესისა, რამდენადაც დისციპლინა განიხილება როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისა და პროგრესის ერთ-ერთი მთავარი პირობა.

დისციპლინის სოციალური ეფექტურობისა და მისადმი გაზრდილი ყურადღების საუკეთესო მაგალითია რუსთაველ მშრომელთა ინიციატივა — „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ საყოველთაო გავრცელებისა და მხარდაჭერის მასშტაბებით ეს ინიციატივა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მრავალ თაოსნობათა შორის. ამ წამოწყებისადმი პარტიის მუდმივი ყურადღებითა და მხარდაჭერით რუსთაველთა თაოსნობა რესპუბლიკის საწარმოთა დამკვრელური შრომისა და კომუნისტური ცხოვრების კონკრეტულ ორიენტირად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დისციპლინა ადამიანთა ქცევებისა და მოქმედებების გარკვეული წესრიგია, რომელსაც განსაზღვრავს პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი კრედო. ამის მიხედვით ანსხვავებენ პარტიულ, სახელმწიფოებრივ, სამხედრო, პროფესიულ, შრომით და ზოგად მოქალაქეობრივ დისციპლინას. სახელმწიფოებრივი დისციპლინა, თავის მხრივ, მოიცავს გეგმიურ, ფინანსურ, სახელშეკრულებო, სამსახურებრივ და დისციპლინის სხვა ფორმებს.

კარგად აწყობილ სახელმწიფოში დისციპლინის არცერთი ფორმა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პირიქით, ისინი ორგანულად მოითხოვენ და ამდიდრებენ ერთი-მეორეს. საბჭოთა მოქალაქე, იქნება იგი მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი — ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე — თუ არ დაიცვა როგორც პარტიული და მოქალაქეობრივი, ზნეობრივი დისციპლინა, ისე სახელმწიფოებრივი, სამსახურებრივი, შრომითი და პროფესიული დისციპლინა.

სოციალური ორგანიზმის სტრუქტურული სირთულე და ფუნქციური მრავალფეროვნება მოითხოვს დისციპლინის სახესხვაობათა ორგანულ სინთეზს და მათ დინამიურ ერთიანობას. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველი კონკრეტული სფერო დროისა, სივრცისა და გარემოების მიხედვით წინა პლანზე წამოსწევს დისციპლინის ამა თუ იმ ფორმას, როგორც მადომინირებელს. თავისთავად ცხადია, მაგალითად, რომ სამრეწველო საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწარმოო, ტექნოლოგიურ დისციპლინას, როგორც მთავარი საქმის — წარმოების — ნორმალური უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას. იგივე ითქმის სოფლის მეურნეობის საწარმოებზე, მშენებლობაზეც და ა. შ.

მაგრამ საწარმოო, ტექნოლოგიური და საერთოდ შრომითი დისციპლინის დაცვისა და განმტკიცების აუცილებელი პირობაა დისციპლინის სხვა ფორმები, მაგალითად, ფინანსური დისციპლინა, სამართლებრივი დისციპლინა, სახელმწიფოებრივი დისციპლინა, პარტიული დისციპლინა და ბოლოს, როგორც დისციპლინის ყველაზე ზოგადი და საყოველთაო ფორმა — ზნეობრივი დისციპლინა.

დისციპლინის ყველა ეს ფორმა იმიტომაა მნიშვნელოვანი და ღირებული, იმიტომაა აუცილებელი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, რომ იგი, და მხოლოდ იგი, უქმნის ადამიანს **თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის ფართო ასპარეზს და საიმედო გარანტიას.** დისციპლინა თავისუფლების პირობაა და უშიშროების გარანტია.

ალტერნატივა — დისციპლინა თუ თავისუფლება — მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის ბატონობის პირობებში ავლენს თავის ძალაუფლებას. სოციალიზმის პირობებში ასეთი ალტერნატივა არ არსებობს. იგი მხოლოდ ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა შეთხზული ალტერნატივაა. ჩვენთან საქმე ისეა აწყობილი, სოციალური ორგანიზმის სტრუქტურა თავისი იდეით ისე ოპტიმალური და რაციონალურია, რომ თუ გინდა იყო თავისუფალი — უნდა დაექვემდებარო დისციპლინას, მის ყოველ ფორმას. ეს ერთნაირად ეხება ყველა მშრომელს, რიგითსა და ხელმძღვანელს. ამასთან, რაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია პიროვნებას, მით უფრო მეტი, რთული და მაღალი დისციპლინირება მოეთხოვება მას. მაშასადამე, მით უფრო მეტია მისი შემოქმედებითი, სამოღვაწეო თავისუფლება. ასეთია სოციალისტური საზოგადოების დიალექტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ამ დიალექტიკიდან ისიც გამომდინარეობს, რომ თუ გვინდა მაღალი იყოს მშრომელთა და ხელმძღვანელთა დისციპლინა — უნდა მივცეთ მათ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, შევუქმნათ მათ თავისუფალი შემოქმედებითი ინიციატივისა და რაციონალიზაციის საშუალებები, პირობები და სტიმულები, წინააღმდეგ შემთხვევაში დისციპლინას ექნება იძულებითი, ძალდატანებითი ხასიათი. ეს კი არის ჯოხის დისციპლინა, რომელსაც არაფერი არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს საერთო სოციალისტურ, შეგნებულ დისციპლინასთან.

ვ. ი. ლენინი სოციალისტურ დისციპლინას ახასიათებდა როგორც „... ამხანაგურ, ყოველმხრივი პატივისცემისა და დაფასების, დამოუკიდებლობისა და ინიციატივის დისციპლინას“.[1]

მშრომელის დაფასება, დამოუკიდებლობა და ინიციატივა დისციპლინის აუცილებელი პირობებია, რაც არავის და არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს.

შეგნებული დისციპლინა მაღალი მოქალაქეობრივი და პიროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. იგივე ითქმის შრომის კულტურისა და შრომის დისციპლინის შესახებ.

შრომის კულტურის ცნებაში იგულისხმება: დაკისრებულ მოვალეობასა და ფუნქციებში ზუსტი გარკვევა; საკუთარ უფლებებსა და შესაძლებლობებში გათვითცნობიერება; მიზნის პროგრესულობისა და საშუალებების გამართლებაში დარწმუნება; საქმის ღრმა ცოდნა და რაციონალიზაციისადმი შეუნელებელი სწრაფვა; დისციპლინის პატივისცემა და კანონიერების სიყვარული; სამართლიანობისადმი მიდრეკილება და შემოქმედებითი ოპერატიულობა.

კულტურული და დისციპლინირებული მშრომელი არ უნდა იყოს არც ნივთის მონა და არც ინსტრუქციის ტყვე, მაგრამ იგი პატივს უნდა სცემდეს ნივთში გასაგნებულ ადამიანურ შრომას, შემოქმედებას და ინსტრუქციაში ფიქსირებულ გამოცდილებასა და გონივრულ დარიგებას.

კულტურული მშრომელი მკაცრად უნდა იცავდეს შრომის ლოგიკას, საწარმოო დისციპლინას, წარმოების ხასიათიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმოება არსებობს ჩვენთვის, ადამიანებისათვის და არა პირიქით. წარმოების პროცესსა და შრომის კულტურაში ეკონომიური ეფექტიანობის მოტივებს ყოველთვის წინ უნდა მიუძღოდეს ჰუმანურობის მოტივები. შრომის კულტურა — ეს იგივე შრომის ჰუმანიზმია. შრომის კულტურის განვითარების იდეალი სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური შრომის ამაღლება გონებრივი შრომის დონემდე. დამქანცველი და მომაბეზრებელი შრომის შეცვლა სახალისო და მიმზიდველი, შემოქმედებითი შრომით. მაშასადამე, შრომის კულტურა მოითხოვს გონებრივი შრომის შერწყმას ფიზიკურ შრომასთან. გონივრულობა არის მოქმედების ეკონომიურობისა და სოციალური ეფექტურობის აუცილებელი პირობა. ყოველივე ეს მიიღწევა საწარმოო და შრომითი დისციპლინის მკაცრი დაცვისა და განვითარების პირობებში.

დისციპლინის მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება იმ ეფექტის კანონზომიერი შედეგია, რაც მასთან ბუნებრივად არის დაკავშირებული:

უპირველს ყოვლისა, დისციპლინას გარკვეულობა შეაქვს ფუნქციების განაწილებასა და მოვალეობების დიფერენცირებაში, უამისოდ კი შეუძლე-

[1] ვ. ი. ლენინის თხზ., მეხუთე რუს. გამოც. ტ. 36, გვ. 500.

კ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია წარმატება ნებისმიერ შრომითს კოლექტივში და დაწესებულებაში. დისციპლინა თვითონ ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების დაზუსტებაგარკვეულობას და ამდენად იგი სოციალური ორგანიზმის განუყოფელი ატრიბუტია. დისციპლინის პირველი მოთხოვნა სწორედ იმის გარკვევაა, თუ ვინ რა უნდა აკეთოს, ვის რა ევალება და რა მოეთხოვება.

დისციპლინის მეორე მოთხოვნაა საქმის რაოდენობრივი და თვისებრივი გარკვეულობა, ანუ ის, თუ ვინ რამდენი უნდა გააკეთოს და როგორ გააკეთოს. გეგმური დისციპლინის ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად დისციპლინის სხვა ფორმებსაც ახასიათებს. არ არსებობს საქმე, შრომა, მოღვაწეობა, რომლის რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასება არ შეიძლებოდეს. ყველა სახის შრომა შეიძლება შეფასდეს ამ პარამეტრებით. მაგრამ ყოველი კონკრეტული შრომა და მისი პროდუქცია სხვადასხვა დოზითა და შეფარდებით მოითხოვს რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით მიდგომას.

ამასთან, დროთა განმავლობაში იცვლება თვით ამ პარამეტრების ურთიერთშეფარდება. თავისთავად ცხადია, რომ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში მთავარი ყურადღება ექცევა სწორედ ეფექტიანობასა **და ხარისხს,** ანუ **თვისებრივ** პარამეტრებს. დღეისათვის ჩვენში ხარისხია გადამწყვეტი, ყოველი პროდუქციისა და ყოველი შრომა-მოღვაწეობის ხარისხი.

მაგრამ ხარისხის გაუმჯობესებისა და მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის ბრძოლა სრულებითაც არ უპირისპირდება და არ ხსნის რაოდენობისათვის, მისი ზრდისა და ამაღლებისათვის ბრძოლის ამოცანას. ხარისხისათვის ბრძოლა არც იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი პარტიული და ხალხმეურნეობრივი საქმე, ის რომ რაოდენობრივი ფაქტორის შეზღუდვისა და იგნორირების ხარჯზე ხორციელდებოდეს. ლაპარაკია ამ ორი ფაქტორის სინქრონულ, ჰარმონიულ შერწყმაზე. პროდუქტთა საჭირო სიუხვე ჯერ არ არის მიღწეული, ამიტომ ხარისხისათვის ბრძოლა გულისხმობს რაოდენობისათვის ბრძოლასაც, ანუ სადღეისო ამოცანაა — **რაც შეიძლება მეტი და კარგი პროდუქცია.** სწორედ ამას გამოხატავს წარმოების **ეფექტიანობის** ამაღლების მოთხოვნა.

ეფექტიანობის ცნება შრომის რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ბუნებრივი სინთეზია. იგი შრომისნაყოფიერების ყველაზე ღრმა, არსებითი და უშუალო გამოხატულებაა. თუ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარი პირობა შრომისნაყოფიერების პერმანენტური ზრდაა, ამის კონკრეტული და საქმიანი რეალიზაცია ხდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და სრულყოფაში. ამ უკანასკნელის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა დისციპლინა, მისი ყველა ფორმა და ყველა სახე, საწარმოო-ტექნოლოგიურით დაწყებული და პარტიულ-მოქალაქეობრივით დამთავრებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ შრომის კონკრეტული სახეობა განსაზღვრავს ამას, თუ მისი რომელი პარამეტრია დისციპლინის ფუნქციობისა და რეალიზაციის ცენტრში — რაოდენობრივი თუ თვისებრივი. იყო დრო, როცა ეს საკითხი წყდებოდა გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებისა და განსხვავების მიხედვით: რაც უფრო გონებრივი და შემოქმედებითი იყო შრომა— მით უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის რაოდენობრივ მაჩვენებლებს; ხოლო რაც უფრო ფიზიკური და მექანიკური იყო შრომა — მით უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის თვისებრივ მაჩვენებლებს. ეს პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა წარსულს ჩაბარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სხვა ვითარებაა. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და მიხი დაჩქარების საყოველთაო აუცილებლობამ მოღვაწეობის ყველა სფეროში წინა პლანზე წამოსწია თვისებრიობისა და ხარისხის მაჩვენებლები. დღეს ხარისხისათვის ბრძოლა ერთნაირად მოეთხოვებათ როგორც რიგით მუშასა და კოლმეურნეს, ისე წარმოებისა და კოლექტივის მეთაურს. პროდუქციის მაღალი ხარისხი ერთნაირად აუცილებელია როგორც მეცნიერისა და ხელოვანის მოღვაწეობაში, ისე ექიმის, პედაგოგის, მოსამართლის, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობაში.

ხარისხისათვის ბრძოლა საყოველთაო და ტოტალური გახდა. დისციპლინის ყოველი ფორმა სწორედ ამას ითვალისწინებს უპირველეს ყოვლისა და მოითხოვს მოღვაწეობის ყოველ სფეროში ხარისხის ნათელი და გარკვეული კრიტერიუმების შემუშავებას. ძნელია შრომითი დისციპლინის განმტკიცება იქ, სადაც გარკვეული არაა ამ კონკრეტული შრომის შეფასების კრიტერიუმები.

მაგრამ შრომითი დისციპლინა აუცილებლობით გულისხმობს დროის, სახსრების, ნედლეულისა და ენერგიის გეგმაზომიერი განაწილების აუცილებლობასაც. ეს კი მოითხოვს შრომითი მოღვაწეობის რაოდენობრივ შეფასებას, აღრიცხვასა და კონტროლს. სოციალიზმი, როგორც გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, წარმოუდგენელია აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე. მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდა, შრომის პირობების გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება ბუნებრივად ვლინდება პროდუქციის არა მარტო ხარისხის ამაღლებაში, არამედ, ასევე რაოდენობის ზრდაშიც. წარმოების მოცულობის ზრდა და პროდუქციის რაოდენობრივი მატება, ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ჩვენი, სოციალისტური ცხოვრების კანონია. იგი ფაქტიცაა და ამოცანაც, შედეგიცა და მიზანიც.

ის სპეციფიკა, რომელიც თანამედროვე ეპოქამ და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მოიტანა მშრომელთა დისციპლინის რაოდენობრივი ასპექტების შეფასებაში — იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადრე ვხელმძღვანელობდით ლოზუნგით: „უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგი!“, ახლა ეს აღარაა საკმარისი. თანამედროვე ცხოვრების ტემპები და მასშტაბები აყენებენ ახალ ლოზუნგს: „მეტიც და უკეთესიც!“ სწორედ ამას გამოხატავს ახალი ხუთწლედის დევიზი: „ეფექტიანობა და ხარისხი“.

ამასთან, თანამედროვე ეპოქისა და დროის სპეციფიკა იმითაც ვლინდება, რომ ეს მოთხოვნა ერთნაირად ეხება როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი, შემოქმედებითი შრომის მუშაკს. თუ ჩვენი სოფლისა და ქალაქის მშრომელებისაგან ყოველწლიურად სულ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტების მოყვანასა და წარმოებას მოვითხოვთ, თუ სულ უფრო მეტი და უკეთესი ჩაი, ყურძენი, მარგანეცი და ფოლადი გვინდა, ასევე გვინდა სულ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი წიგნი და სპექტაკლი, მხატვრული ტილო და მუსიკა, კანონი და სამართალი, აღზრდა და სწავლება, მკურნალობა და ხელმძღვანელობა.

დღეს უკვე აღარ შეიძლება თვითდინებაზე იყოს მიშვებული გონებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის, ადმინისტრაციული და სახელმწიფო საქმიანობის ეფექტიანობის საქმე. თუ ადრე „ხარისხისათვის უპირატესი ზრუნვის“ საფარქვეშ არც თუ ისე იშვიათად სიზარმაცე და უინიციატივობა იმალებოდა, — დღეს ფარდა უნდა ჩამოეხადოს ყოველგვარ რუტინას და მოშვებულობას, სიზანტეს და მოუქნელობას. ყოველ მეცნიერსა და შემოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედს, ყოველ ორგანიზატორს, ადმინისტრატორსა და მომსახურების დარგის მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ მას უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე გააკეთა, მისი უნარი და პოტენცია მეტია, ვიდრე მათი პრაქტიკული რეალიზაცია. ამის შეგნებიდან იბადება დევიზი: „დღეს უკეთ, ვიდრე — გუშინ“ (საჭირო აღარაა ამ დევიზის სიტყვიერი გაგრძელება: „ხვალ — უკეთ, ვიდრე — დღეს“, რადგან თუ ამ ლოზუნგს ცალკე დამოუკიდებელ მნიშვნელობას მივანიჭებთ, როგორც ეს ზოგჯერ გვხვდება გამოკრული ლოზუნგის სახით საწარმოებში ან გზებზე — იგი ხვალინდელი გაყოჩაღების იმედით დღევანდელ სიზარმაცეს ამართლებს).

მოღვაწეობის ყველა სფეროში მეტი პროდუქტიულობისა და აქტიურობისათვის ბრძოლა თანამედროვე შეგნებული დისციპლინის არსებითი ნიშანი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ V პლენუმზე ამხ. ე. შევარდნაძის სიტყვაში და ზოგიერთ სხვა გამოსვლებში სავსებით კანონზომიერად იქნა გამახვილებული ყურადღება დისციპლინის გადამწყვეტ როლზე ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ პლენუმის მასალებში მეტად საინტერესოდ დაყენებულია საკითხი დისციპლინის კიდევ ერთი სპეციფიკური ფორმისა — დროის დისციპლინის შესახებ. საქმე ეხება დროის დაზოგვისა და ოპტიმალური გამოყენების დისციპლინას, იმას თუ როგორ გავუფრთხილდეთ, როგორ დავაფასოთ იგი. პლენუმის მონაწილეებს შეახსენეს კ. მარქსის სიტყვები დროის დაზოგვისა და მისი შინაარსიანი შევსების მაღალი ღირებულების შესახებ.

პლენუმზე ითქვა, თუ რამდენი დრო ეკარგება ბევრ ჩვენგანს სიზარმაცისა და არაორგანიზებულობის გამო, ან რამდენ დროს გვაკარგვინებენ უკანონოდ და უაზროდ თანამდებობის პირთა მისაღებებში, სავაჭრო და სამომსახურებო ან სამკურნალო დაწესებულებებში, სატელეფონო სალაპარაკო სადგურებში და სხვაგან. დროის დაზოგვის კულტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ჩვენში, რაც დღითიდღე მოუთმენელი ხდება. თავის მხრივ კი დროის დისციპლინის მოშლა აიხსნება შრომის დისციპლინის ჩამორჩენითა, უნიათობითა და უპასუხისმგებლობით.

დროის დისციპლინის საკითხის უკან, როგორც პლენუმზე ითქვა, სერიოზული სოციალური პრობლემები დგას. როცა ადამიანი არ აფასებს დროის ფაქტორს და არ ავსებს მას კულტურული მოთხოვნილებებით და სულიერი ინტერესებით, მაშინ იგი საკუთარი არსებობის სულიერ ვაკუუმს ავსებს ნივთებისა და მატერიალური ღირებულებების გაფეტიშებით, მომხმარებლური ფსიქოლოგიითა და კერძომესაკუთრული მისწრაფებებით. ასე ექმნება ნოყიერი ნიადაგი მეშჩანობას და ობივატელობას. ეს კი ფრიად სერიოზული სოციალური პრობლემაა. ამას ემატება დროის უაზრო და უსაფუძვლო გაცდენები, უსაქმურობა და მუქთახორობა, ოჯახისა და საზოგადოების კმაყოფაზე ყოფნის ყოვლად მოუთმენელი ტენდენციები. ყველა ამ ბოროტების აღმოფხვრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად განიხილება საერთოდ დისციპლინისა და კერძოდ დროის დისციპლინის განმტკიცება.

დისციპლინის ერთერთი არსებითი ნიშანი, რაც მას სოციალურად ღირებულს ხდის — იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მარტო მოითხოვს აქტიურობასა და ინიციატივას, არა მარტო გვავალებს ვიყოთ რაც შეიძლება პროდუქტიულნი და ვეძებოთ ყოველი საქმის ოპტიმალური გადაწყვეტა, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ იგი, დისციპლინა, თვითონ არის პირობა და საშუალება მეტი პროდუქტიულობისა და ოპტიმალურობის მიღწევისათვის. თუ ყველა მშრომელი და ხელმძღვანელი მკაცრად დაიცავს დისციპლინას, პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, ანუ მაქსიმალურად პროდუქტიული, ოპერატიული და შემოქმედებითი იქნება, თუ ყოველ, შემთხვევით ან კანონზომიერ სიძნელეს დაუპირისპირებს მაღალ ორგანიზებულობას, ნებისყოფას და სიმამაცეს, მაშინ მოსავალიც უხვი მოვა და წესრიგი და კანონიერებაც დამყარდება.

მტკიცე დისციპლინას და ორგანიზებულობას, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სიბრძნესთან ერთად, არაერთხელ მოუხდენია სოციალური სასწაულები. დისციპლინა ასეთ „სასწაულს“ მაშინ მოახდენს, თუ იგი გონივრული და ცოცხალი, ქმედითი იქნება. აცოცხლებს დისციპლინას მომთხოვნელობა და კონტროლი, დარწმუნება და სტიმულირება. შესრულების შემოწმება და კონტროლი იმდენად მნიშვნელოვანი უბანია ჩვენს ცხოვრებაში, რომ ამ საკითხს სპეციალური პლენუმი მიუძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ პლენუმის მასალებში მრავალი საყურადღებო შეგონება და გონივრული რეკომენდაცია იყო მოცემული. საჭიროა მხოლოდ თვით ამ შეგონებათა და რეკომენდაციათა პრაქტიკული რეალიზაციისადმი კონტროლი და შემოწმება. დისციპლინა, მისი განმტკიცება წარმოუდგენელია ასეთი შემოწმებისა და კონტროლის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გარეშე. დისციპლინა ცოცხალი, სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია და ყოვლად შეუძლებელია მისი დაყვანა კედელზე გაკრული შინაგანაწესის ცნებამდე.

აქ ჩვენ მივადექით დისციპლინის კიდევ ერთ და, შეიძლება, ყველაზე საინტერესო თავისებურებას: დისციპლინა, თუ იგი შეგნებული და გონივრულია, გვეხმარება არა მარტო დროისა და სახსრების დაზოგვაში, არამედ, რაც მთავარია, ნერვების დაზოგვაში, კოლექტივის ფსიქოლოგიური კლიმატისა და მის წევრთა ღირსება-თავმოყვარეობის დაცვა-განვითარებაში.

დისციპლინის ეს ფსიქოლოგიური და მორალური ასპექტი ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია, რასაც, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცევა სათანადო თეორიულ და სპეციალურ ლიტერატურაში.

დისციპლინა, მისი ერთიანი, საყოველთაო და კატეგორიული ბუნება, მისი სოციალური, ავტორიტარული და სანქციონირებული ხასიათი როგორც კოლექტივების, ისე ცალკეული პიროვნებების ღირსების, თავისუფლებისა და თავმოყვარეობის ხელშეუხებლობის გარანტიაა. იგი ამ ფუნქციას იმით ასრულებს, რომ უფლებრივად აერთიანებს ადამიანებს; კანონისა და დისციპლინის წინაშე ყველა ერთიანი და თანასწორია. იგი მკაცრად იცავს ყველას ზოგადსა და განსაკუთრებულ უფლებებს, ყველას ერთნაირ პირობას უქმნის გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და შეასრულოს მოვალეობა.

პიროვნების უნარის, უფლებებისა და მოვალეობების მრავალფეროვანი დიფერენციაციის ვითარებაში მხოლოდ ერთიან დისციპლინასა და კანონიერებას შეაქვს გონივრული წესრიგი და ჰარმონია, რაც აუცილებელი პირობაა სოციალური ორგანიზმის ყოველი უჯრედისა და მთელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

როცა კოლექტივის ყოველი წევრი შეგნებული დისციპლინით ხელმძღვანელობს და საერთო სატკივარი ყველას თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია, მაშინ ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელობა ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვაგონებს „აწყობილი ორკესტრისადმი რბილ დირიჟორობას“[2]. დისციპლინა პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამებისა და ჰარმონიის მიღწევის მთავარი საშუალება და მისი ოპტიმალური ფორმაა.

ბოლოს, დისციპლინის კიდევ ერთი თავისებურება, რაც მის სოციალურ ღირებულებას ზრდის — მდგომარეობს მის შინაგან დინამიურობასა და მობილურობაში. დისციპლინა არ არის ერთ ადგილზე გაყინული, მკვდარი, დოგმატური სისტემა. იგი მუდმივ განვითარებასა და დახვეწას განიცდის. ჩვეულებრივ დისციპლინის ამ მხარეს გამოვხატავთ პრედიკატებით: „სოციალისტური“, „შეგნებული“, „შემოქმედებითი“, „პროგრესული“ და ა. შ. მართალია, დისციპლინა კონკრეტულად ყოველთვის **გარკვეული** ნორმებისადმი პატივისცემაში და მის **ზუსტად** დაცვაში მდგომარეობს, მაგრამ, ჩვენი, სოციალისტური და შეგნებული დისციპლინა თავისი ბუნებით შორსაა პედანტური დოგმატიზმისაგან და ნორმებისადმი ბრმა მორჩილებისაგან. მთავარია დისციპლინის **სულისკვეთებისა და ძირითადი მიზნისადმი ერთგულება** და არა მისი ზოგიერთი მოძველებული პუნქტების მექანიკური შესრულება.

ცხოვრება წინ მიდის, პირობები და ვითარება იცვლება. ახალ სიტუაციას ალბ შეეფერება ძველი დისციპლინარული ინსტრუქციები და მისი ცალკეული პუნქტები. ყოველდღე ამ უკანასკნელთა შეცვლა შეუძლებელია, ისინი იცვლებიან და ზუსტდებიან დრო და დრო რეალური ვითარებისა და ნორმატიული მოთხოვნის შეუსაბამისი ფაქტების გარკვეული რაოდენობრივი დაგროვების შემდეგ, ისევე, როგორც კანონმდებლობა საერთოდ. დისციპლინარულ ნორმათა ცვლილებიდან ცვლილებამდე შუალედ პერიოდში დისციპლინის მობილურობას უზრუნველყოფს მისადმი შეგნებული და შემოქმედებითი მიდგომა.

თუ საქმე ეხება დისციპლინარული რეგულირების ისეთ სფეროს, სადაც ნორმის თავისუფალი ინტერპრეტაცია შეუძლებელია და იგი მკაცრად და უცვლელად უნდა იქნას დაცული (მაგ. სამხედრო დისციპლინარული წესდება) — ამ შემთხვევაშიც დისციპლინა ინარჩუნებს მაღალ ღირებულებას იმის გამო, რომ იგი განიხილება როგორც ოპტიმალური შესაძლებლობა მოცემულ ვითარებაში.

დისციპლინა, მართალია, ზოგჯერ ზღუდავს ცალკეულ პიროვნებათა ინდივიდუალურ ნებასურვილს, მიდრეკილებებს და მისწრაფებებს, მაგრამ ზღუდავს მხოლოდ იმიტომ და მხოლოდ მაშინ, როცა ეს კონკრეტული ინდივიდუალური მიდრეკილებანი კონფლიქტშია სხვა ინდივიდებისა და მთელი საზოგადოების ან კოლექტივის ინტერესებთან. დისციპლინა იმის გამოხატულებაა, რომ ადამიანები შეგნებულად იზღუდავენ თავს ზოგიერთი მისწრაფებებისაგან, თავისუფლების ზოგიერთი გამოვლინებისაგან, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ სხვა ადამიანების „ასეთსავე“ მისწაფებებთან, არ შეზღუდონ სხვები, არ შეკვეცონ სხვების უფრო მეტი თავისუფლება. **მცირე თავისუფლება შეგნებულად და წინასწარ უნდა დათმო, რომ მთავარი თავისუფლება შეუზღუდავად და გარანტირებულად მიიღო.** ასეთია სოციალური ორგანიზმის როგორც ისტორიული ჩამოყალიბების, ისე ლოგიკური ფუნქციონირების შინაგანი კანონზომიერება.

ამით აიხსნება, რომ არამეცნიერული, უსაფუძვლო და დემაგოგიურია

---

[2] ფ. ა. ლენინი, თხზ. V გამოც. ტ. 36, გვ. 200, რუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი პრეტენზია აბსოლუტურ თავისუფლებაზე. რეალურად აბსოლუტური თავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ ანარქიის საფუძველი, ისევე, როგორც აბსოლუტური უუფლებობა არის ტირანიის საფუძველი. შეგნებული დისციპლინა ერთგვარი „ოქროს შუაგულია“ ამ უკიდურესობებს შორის.

პრაქტიკულად არსებობს მხოლოდ შეფარდებითი თავისუფლება, რომლის პროგრესულობის ხარისხი საზოგადოებრივი ორგანიზმის პოლიტიკურ სტრუქტურაზეა დამოკიდებული. სოციალისტური კანონიერება და დისციპლინა, თუ მათ სწორად გავიგებთ და ზუსტად განვახორციელებთ, იძლევიან დღეისათვის მაქსიმალურ შესაძლებელ თავისუფლებას მშრომელი ხალხისათვის. მაგრამ ეს კანონიერება და დისციპლინა საკუთარი რეალიზაციის პირობად მიიჩნევენ **სოციალისტური დემოკრატიის მუდმივი სრულქმნისა და გაფართოებისათვის ბრძოლას,** დარწმუნებისა და სტიმულირების მეთოდებისა და ფორმების სრულქმნაზე ინტენსიურ ზრუნვას, კრიტიკის თავისუფლების დაცვისათვის შეუნელებელ სიფხიზლესა და აქტიურობას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს **ვ. ი. ლენინის** ბრძნული სიტყვები: „პრინციპულად ჩვენ არაერთხელ ვამოვვითქვამს ჩვენი თვალსაზრისი დისციპლინის მნიშვნელობისა და მისი გაგების შესახებ მუშათა პარტიაში. **მოქმედების ერთიანობა, განხილვისა და კრიტიკის თავისუფლება** — აი, ჩვენი განსაზღვრება. მხოლოდ ასეთი დისციპლინა შეეფერება მოწინავე კლასის დემოკრატიულ პარტიას“.[3] **ბელადის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს პრინციპული მნიშვნელობა.**

ერთი სიტყვით, დისციპლინა და დემოკრატია, წესრიგი და თავისუფლება გარდუვალად მოითხოვენ ერთმანეთს. ამ დაპირისპირებულ ცნებათა დიალექტიკური ერთიანობისა და სინთეზის გამოხატულებაა ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციულ-პოლიტიკური პრინციპი — **დემოკრატიული ცენტრალიზმი.** შეგნებული დისციპლინა ამ უკანასკნელის არსებითი შინაარსი და მისი რეალიზაციის მთავარი პირობაა. ამიტომ არის აუცილებელი ბრძოლა შეგნებული დისციპლინის საყოველთაო დამკვიდრებისათვის.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი სიახლე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში

დოც. ვ. ლორია

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ იცავენ მშრომელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოება. იგი გამომდინარეობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, რომელმაც დიდი ამოცანები დასახა სოციალისტური დემოკრატიის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების შემდგომი ამაღლების დარგში. სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი .ბრეჟნევი აღნიშნავდა: „როგორც ნამდვილი დემოკრატიაა შეუძლებელი უსოციალიზმოდ, ისევე სოციალიზმი შეუძლებელია დემოკრატიის მუდმივი განვითარების გარეშე“.[1]

მშრომელთა ინტერესებისათვის ზრუნვა, მათი პოლიტიკური, მატერიალური, კულტურული, სოციალური უფლებების განუხრელად დაცვა და განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელი ნიშანია. ამ მხრივ ნიშანდობლივია მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა ხალხის ინტერესების შესაბამისად, მათი გამოყენება ადამიანების სასარგებლოდ. განსაკუთრებით საყურადღებოა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცალკეული ნორმების შეფარდებისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების გაფართოება. იგულისხმება შედარებით უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენება იმ ზოგიერთი უმნიშვნელო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე. ასეთი წესი შემოიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებამ „სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.[2]

ბრძანებულებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის 25 დეკემბრის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლს დაემატა მესამე და მეოთხე ნაწილები, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რაც არ არის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან და მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.თუ მიჩნეულ იქნება, რომ მისი გამოსწორება და ხელახალი აღზრდა შესაძლოა სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად. გათვალისწინებულია, რომ ასეთ შემთხვევაში საქმის მასალები შეიძლება განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მშრომელთა კოლექტივს, პირის თავდებქვეშ გადაცემით. სი-

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 119.

2 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 7, მუხ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით დასაშვებია მხოლოდ ისეთ დანაშაულობებზე, რისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს (43-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ეს არის პირველი შემთხვევა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულისათვის პირი მიეცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, ნაცვლად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა. მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშულის ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას (მაგალითად, დამნაშავე სამხედრო მოსამსახურეების მიმართ), საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებასაც, მაგრამ ასეთ დროს გათვალისწინებული არ იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება. ამიტომ, ბუნებრივია, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სასჯელი მხოლოდ გარეგნულად თუ ემსგავსება ადმინისტრაციულ სახდელს, სინამდვილეში მათ შორის სხვაობა ძალიან დიდია. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად ჯარიმა შეიძლება დაეკისროს დამნაშავეს არა ნაკლებ 10 მანეთისა და 100 მანეთზე მეტიც, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმა შეიძლება იყოს 50 კაპ., მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს მოქალაქეთა მიმართ მაქსიმუმ 50 მანეთს, ხოლო თანამდებობის პირების მიმართ — 100 მანეთს. ჯარიმა-სასჯელი შეიძლება ამოღებულ იქნეს დამნაშავის ქონებიდან, ხოლო თუ ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია, სასამართლოს განჩინებით ჯარიმა შეიცვლება გამასწორებელი სამუშაოებით. ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმა კი ძირითადად ამოღებულ უნდა იქნეს დამრღვევის ხელფასიდან, ხოლო ქონებიდან ამოღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამრღვევი არ მუშაობს, მაგრამ ადმინისტრაციული ჯარიმის შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა ,დაუშვებელია.[3] ყველაზე მთავარი განსხვავება ამ ორი სახის ერთმანეთის მსგავს ღონისძიებას შორის იმაშია, რომ ჯარიმა-სასჯელი ყოველთვის იწვევს ნასამართლობას (საქართველოს სსრ სსკ 57-ე მუხ.), ხოლო ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმა ნასამართლობას არ იწვევს.

ამრიგად, სისხლის სამართლებრივ სასჯელსა და ადმინისტრაციულ სახდელს შორის სხვაობა მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მათი ხასიათის, მოცულობისა და აღსრულების წესის მიხედვით, არამედ სამართლებრივი შედეგების მიხედვითაც .ეს უნდა ითქვას იმ ადმინისტრაციულ სახდელებზეც, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი კანონმდებლობის თანახმად ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის მეორე ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამრთლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის ზო-

3 იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961, № 35, მუხ. 368.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების გამოყენების წესის შესახებ“ მიხედვით ადმინისტრაციული სახდელები შეიძლება იყოს: ჯარიმა 50 მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები დამნაშავის სამუშაო ადგილის მიხედვით ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასის 20 პროცენტამდე დაქვითვით, ან პატიმრობა ვადით 15 დღეღამემდე[4].

ადმინისტრაციულ სახდელები ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას არ ატარებს სისხლის სამართლის სასჯელის ხასიათს, ამიტომ ბუნებრივია, მათ არ შეიძლება გამოიწვიონ ნასამართლობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების წესს სისხლის სამართლის ზოგიერთ დამნაშავეთა მიმართ. კერძოდ, არაა აღნიშნული, რომ ადმინისტრაციული ჯარიმა ექვემდებარება უდავო წესით აღსრულებას და თუ დამრღვევი არ გადაიხდის ჯარიმას, იგი ამოიღება მისი ხელფასიდან როგორც ეს 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების გამოყენების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის დადგენილებაშია აღნიშნული).[5] ჯარიმის ამოღება სისხლის სამართლის წესით (ე. ი. მისი შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით) აქ, ალბათ, დაუშვებელია, ვინაიდან ადმინისტრაციულმა კანონმდებლობამ არ იცის ასეთი შეცვლა (თვით 1961 წლის 21 ივნისის და 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებებიც კი არ უშვებენ ამას). ამასთან მიზანშეწონილია ადმინისტრაციული ჯარიმის ამოღების იმ წესის დაცვაც, რომელიც 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებაშია მოცემული და რომლის თანახმად თუ დამრღვევი არ მუშაობს ჯარიმა ამოღებულ უნდა იქნას მისი ქონებიდან სასამართლოს აღმასრულებლის მიერ. ამ წესის დაცვა ყოველთვის აუცილებელია, ვინაიდან უკანასკნელი პერიოდის საბჭოთა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას უმუშევრად ყოფნისათვის და ამიტომ ადვილი შესაძლებელია დამრღვევი არ მუშაობდეს, რის გამოც ჯარიმის ამოღება ხელფასიდან შეუძლებელი იქნება, ხოლო ჯარიმის ნაცვლად გამასწორებელი სამუშაოების დაკისრება, როგორც აღვნიშნეთ, დაუშვებელია. ადმინისტრაციული ჯარიმის განსხვავება გამასწორებელი სამუაოებისაგან სწორედ იმაშია, რომ დამრღვევზე ერთბაშად ხდება მატერიალური იძულების გამოყენება და არა ნაწილ-ნაწილ (ხელფასის 20 პროცენტი), როგორც ეს გამასწორებელი სამუშაოების დროსაა. ზოგიერთი ბოროტი დამრღვევის მიმართ კი ასეთი ერთდროული მკაცრი სახდელია (ჯარიმა) საჭირო.

1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულება არ განმარტავს შეიძლება თუ არა წვრილმანი ხულიგნობისათვის დაწესებული ადმინისტრაციული სახდელი გამასწორებელი სამუშაოები, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ორ თვეს, შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით, როდესაც დამრღვევი თავს არიდებს გამასწორებელ სამუშაოებს. ვფიქრობთ, ასეთი შეცვლა შესაძლო უნდა იყოს თუ პირი თავს არიდებს მოქმედი ახალი კანონმდებლობის თანახმად მასზე დაკისრებულ გამასწორებელ სამუშაოებს, ვინაიდან ასეთი შეცვლით თავისუფლების აღკვეთა არ აღემატება 20 დღეს (გამასწორებელი სამუშაოების სამი დღე თავისუფლების აღკვეთის ერთი დღის ტოლია), რაც დასაშვებია საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლით (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობისათვის).

ახალმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა არა მარ-

4 იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 7, მუხ. 117.

5 იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1966, № 30, მუხ. 596.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროში, არამედ ზოგიერთ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის საკითხშიც. კერძოდ, 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულება ფაქტიურად გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენისათვის (საქართველოს სსრ სსკ 228 მუხ. 1 ნაწ.). ვინაიდან ამ ბრძანებულების II განყოფილების „გ“ პუნქტში სისხლის სამართლის წესით დასჯად ხულიგნობად მიჩნეულია — „განზრახი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი“. და მაშასადმე, ამორიცხულია განმეორებით ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა. სამაგიეროდ, ამავე ბრძანებულების II განყოფილების „ა“ პუნქტის თანახმად გაიზარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 10-დან 50 მანეთამდე (ნაცვლად 10-დან 30 მანეთისა). ამასთან გათვალისწინებულია, რომ *გაუქმდეს ხულიგნობის ჩამდენი პირის მიმართ საქმის განხილვამდე გამოყენებული* აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით. ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს მოქალაქეთა პირადი ხელშეუხებლობის შემდგომ განმტკიცებას ჩვენი კანონმდებლის მიერ, საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც თითოეული მოქალაქე, მშრომელთა კოლექტივი იმდენად მაღალი შეგნებისაა, რომ მათ თვითონ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა და დამრღვევების აღზრდა-გამოსწორება (მათ შორის წვრილმანი ხულიგნობისა), მიზანშეწონილი არ არის დამრღვევთა მიმართ ცალკეული შემზღუდველი ღონისძიებების თუ მკაცრი პასუხისმგებლობის გამოყენება.

1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულების მთელი არსი იმაშია, რომ შეამსუბუქოს პასუხისმგებლობა ზოგიერთი სისხლის სამართლის დამნაშავისათვის, რომლის აღზრდა და გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით, რაც კიდევ უფრო ამაღლებს საზოგადოებრიობის როლს სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. ამ მიზნით სახალხო სასამართლოები ფართოდ გამოიყენებენ დამნაშავეთა მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს, მაგრამ ეს ახალი წესი მოითხოვს მთელი რიგი საკითხების დაზუსტებას და თეორიულ გააზრებას.

ასეთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს სხვა საკითხებს შორის დიდ ინტერესს იწვევს პროცესუალური საკითხებიც. 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებაში „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენების წესის შესახებ“ აღნიშნულია, რომ პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს პროკურორის თანხმობით უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე ისეთ პირის მიმართ, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს .ამასთან საქმის შეწყვეტის შემთხვევაში მათ უფლება არა აქვთ აღძრან ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დამრღვევის მიმართ გამოიყენონ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება (ადმინისტრაციული სახდელი).

ბრძანებულებაში მითითებულია, რომ ასეთ დროს წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა მთავრდება მოტივირებული დადგენილებით სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სახდელის გამოსაყენებლად სასამართლოში მასალების გადაგზავნის შესახებ.

ამრიგად, ზოგიერთი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების მთელი უფლებამოსილება განეკუთვნება სასამართლოებს და არა ადმინისტრაციულ თუ საგამოძიებო ორგანოებს. ეს კარგად ჩანს დასახელებული ბრძანებულების მე-4 პუნქტის მე-3 აბზაციდანაც, რომლის მიხედვით თუ სახალხო მოსამართლე დაასკვნის, რომ პროკურორმა, გამომძიებელმა ან მოკვლევის ორგანომ დაუსაბუთებლად შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე, მას გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის[6] ზომების გამოყენებაზე უარის თქმისა და პროკურორისათვის საქმის დაბრუნების შესახებ. საქმის ასეთი დაბრუნება კი ხდება სისხლის სამართლის წესით და არა ადმინისტრაციული პროცესის ფორმით, ვინაიდან საკითხი ეხება სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც პროკურორს არ აღუძრავს ადმინისტრაციული წარმოება, არამედ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება საქმეზე არა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, არამედ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის უკანვე დაბრუნებისა და სისხლის სამართლის წარმოების განახლების აუცილებლობის შესახებ. ამრიგად, ასეთ საქმეებზე ადმინისტრაციული წარმოების აღძვრას ადგილი არა აქვს არც პროკურატურაში და არც სასამართლოში.

ბრძანებულებით სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეწყვეტა დამრღვევისადმი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად შეუძლია აგრეთვე სახალხო სასმართლოსაც, რომელსაც ბრძანებულების პირველი პუნქტის მე-2 აბზაცის თანახმად უფლება აქვს იმავე საფუძვლებით შეწყვიტოს მასთან შესული სისხლის სამართლის საქმე მოტივირებული განჩინებით განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომაზე.

სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში იწყება სასამართლო-ადმინისტრაციული წარმოება. ეს სრულიად ახალი რამ არის სასამართლოების საქმიანობაში და სრულებითაც არ წააგავს სასამართლოში ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა განხილვას. უნდა ვიფიქროთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო-ადმინისტრაციული წარმოების დაწყება უკავშირდება დამრღვევისადმი არა მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას, იგი მოასწავებს მთელი რიგი სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩატარებასაც ვიდრე გამოტანილი იქნება სასამართლოს განჩინება ადმინისტრაციული სახდელის ზომის გამოყენების შესახებ. ამას მოწმობს ბრძანებულების მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ დამნაშავისადმი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მასალებს მოსამართლე განიხილავს „ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემი

---

6 სამწუხაროდ, ჩვენს კანონმდებლობაში (ქართულ ტექსტში) ჯერ კიდევ ადგილი აქვს „ადმინისტრაციული სასჯელები“ ტერმინის ხმარებას. სასჯელი შეიძლება სისხლისსამართლებრივი იყოს, ადმინისტრაციული კი სახდელია. ამ უკანასკნელი ტერმინით სარგებლობს ჩვენი ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, იგი მიღებული და აღიარებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერაც. დრო კანონის ქართულ ტექსტებშიაც. ვიხმაროთ ეს ტერმინი, ვინაიდან რუსულ „ზიზკანიეს“ შეესაბამება „ადმინისტრაციული სახდელი“ და არა სასჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვა ადმინისტრაციული პროცესის მეშვეობით ხდება[9], მეორენი კი არ ეთანხმებიან ამას. მათი აზრით, აქ სამოქალაქო პროცესია[10].

საბჭოთა ლიტერატურაში სპეციალურად არ არის შესწავლილი მთლიანად სასამართლო საქმიანობის თავისებურება, გამახავილებულია ყურადღება მხოლოდ მის ცალკეულ მხარეებზე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო პროცესების სახით. სასამართლო მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმების არასაკმაო შესწავლის შედეგია ის, რომ დღეს სამართლის თეორია არ გვაძლევს პასუხს თუ პროცესის რა სახეს მიეკუთვნება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა და დამრღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება. ამ საკითხის მარტივად გადაწყვეტა სწორი არ იქნებოდა. თვით ბრძანებულების ტექსტიდანაც ნათლად ჩანს, რომ სასამართლო-ადმინისტრაციული პროცესი გამოკვეთილად, პროცესის სხვა სახეა.

მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება სისხლის სამართლის საქმეს, რომლის განხილვისას დაუშვებელია ბევრი ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმის გამოყენება .მაგალითად, საქმე არ შეიძლება განვიხილოთ დამრღვევის მონაწილეობის მიუღებლად, როგორც ეს ადმინისტრაციულ პროცესში ხდება; საქმეს ერთპიროვნულად მოსამართლე განიხილავს და არა სასამართლოს შემადგენლობა, როგორც ეს ადმინისტრაციულ საქმეზე ხდება (გამონაკლისია მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობის საქმე), დაუშვებელია გასაჩივრების ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესის განხორციელება და სხვ. მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება გამორიცხავს სისხლის სამართლის პროცესის ფორმებს, კერძოდ, ალბათ აქ დაუშვებელია სახელმწიფო ბრალმდებლისა და დამცველის ინსტიტუტის გამოყენება, რამდენადაც პროცესი გულისხმობს საქმის ერთპიროვნულად გადაწყვეტას. გარდა ამისა, გამოკვლევის ჩატარებისა და მოწმეთა დაკითხვისას დაუშვებელია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შეფარდება და სხვ. აქ აგრეთვე ვერ ვხედავთ სამოქალაქო პროცესის ფორმებსაც (არ არის მოსარჩლე და მოპასუხე, არ არის შეჯიბრებითობის პრინციპი და სხვ.).

ისეთი კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვა, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენებასთან, სულ სხვა დამოუკიდებელი ხასიათისაა, სასამართლო საქმისწარმოების ერთ-ერთ დამოუკიდებელ ფორმას გამოხატავს. სასამართლო-ადმინისტრაციული საქმისწარმოების თავისებურება ის არის, რომ იგი არა მარტო ახალი ფორმაა სასამართლო პროცესუალური საქმიანობის, არამედ შეიცავს იურიდიული პროცესის სამი ფორმის ელემენტებსაც, რის გამოც სასამართლო-ადმინსტრაციული საქმისწარმოება ახალ ნიშანთვისებებს იძენს. კერძოდ, საქმის ერთპიროვნული განხილვა და გადაწყვეტა მოსამართლის მიერ 10 დღის ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის უფლებებს წაიგავს ადმინისტრაციულ პროცესში.

მოსამართლე, ისევე როგორც მმართველობის ორგანოს თანმდებობის პირი, ერთპიროვნულად ცნობს მიზანშეწონილად გამოიყენოს დამრღვევის მი-

---

[9] იხ. Н. Г. Салищева. Административный процесс в СССР, М., 1964, с. 154; В. Д. Сорокин. Проблемы административного процесса, М., 1968, с. 62 и др.

[10] Д. М. Чечот. Административная юстиция (теоретические проблемы), изд. ЛГУ 1973, с. 63—65; Д. И. Бахрах, А. Т. Боннер. Административная юстиция развитие и проблема совершенствования, — «Советское государство и право», 1975, № 8, с. 19 и др. ჩვენი აზრი ამ საკითხზე იხ.: Существует ли административная юстиция в советском праве, — «Правовеедние», 1970, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართ ადმინისტრაციული იძულების ზომები, ასევე მის ერპიროვნულ უფლებას შეადგენს ამ ზომების გამოყენებაზე უარის თქმა. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვის შედეგად მოსამართლე დამრღვევს შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას, პატიმრობას ან გამასწორებელ სამუშაოს), მისი აღსრულება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წესით. კერძოდ, თუ დამრღვევი არ გადაიხდის ჯარიმის თანხას, იგი ამოღებულ უნდა იქნეს მისი ხელფასიდან. აქ არ შეიძლება როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის გამოყენება (სსსკ მუხ. 30), ვინაიდან ადმინისტრაციული ჯარიმის ამოღების საკითხი მოწესრიგებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენებს შემდგომი შეზღუდვის შესახებ". ბუნებრივა, ადმინისტრაციული ჯარიმა არც სამოქალაქო წესით გადაიხდევინება, ვინაიდან იგი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგი არ არის.

მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენებისას გვაქვს სისხლის სამართლის პროცესის ელემენტებიც. კერძოდ, თუ დამრღვევი თავს აარიდებს ადმინისტრაციული წესით დაკისრებულ გამასწორებელ სამუშაოებს, უკანასკნელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, რაც სწორედ სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმებით უნდა განხორციელდეს.

გარდა ამისა, 1977 წლის 8 თებერვლის დასახელებული მეორე ბრძანებულება მიზანშეწონილად მიიჩნევს სისხლის სამართლის ბევრი საპროცესო ნორმის შესრულებას დამნაშავის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენებისას. მაგალითად, ბრძანებულების მე-4 პუნქტის მესამე აბზაცში აღნიშნულია, რომ თუ სახალხო მოსამართლე დაასკვნის, რომ პროკურორმა, გამომძიებელმა ან მოკვლევის ორგანომ დაუსაბუთებლად შეწყვიტეს სისხლის სამართლის საქმე, მას გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებაზე უარის თქმისა და პროკურორისათვის საქმის დაბრუნების შესახებ. მაშასადამე, მოსამართლე კვლავ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და დაუბრუნებს მას გამოძიებას. ამასთან ბრძანებულება ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრების სასამართლო წესს. კერძოდ, ბრძანებულების მე-4 პუნქტის ბოლო აბზაცში აღნიშნულია, რომ სახალხო მოსამართლის დადგენილებები და სასამართლოს განჩინება დასახელებული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულია ადმინისტრაციული სახდელი და გააპროტესტოს პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში მათი გამოტანის დღიდან 7 დღეღამის განმავლობაში.' გასაჩივრების ეს წესი ძალიან წააგავს სსსკ 337, 338, 340, 34 მუხლებით დადგენილ წესს. მართალია, აქ გასაჩივრების ვადა ნაცვლად 5 დღისა განსაზღვრულია 7 დღით, მაგრამ იგი განსხვავდება ადმინისტრაციული საქმის გასაჩივრების 10-დღიანი ვადისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ გასაჩივრება უნდა მოხდეს ზემდგომი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, ვინაიდან ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო კოლეგია საერთოდ არ არსებობს. გასაჩივრების ეს წესი კი გულისხმობს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების გამოყენებას და სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებას.

გამოდის, რომ სისხლის სამართლის ზოგიერთ კანონით განსაზღვრულ სა-

ქმეზე იწყება სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც შეიძლება შეწყდეს პროკურორის მიერ და გადაეგზავნოს სახალხო მოსამართლეს; უკანასკნელი კი განახორციელებს სასამართლო-ადმინისტრაციულ წარმოებას ასეთ საქმეზე, რომელზეც გასაჩივრების შემდეგ კვლავ იწყება სისხლის სამართლის პროცესის მოქმედება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ბუნებრივია, ზემდგომი ინსტანციის სასმართლოს ასეთ შემთხვევაში უფლება არა აქვს დაამძიმოს პასუხისმგებლობა, მაგრამ როგორც ზემდგომ სასამართლო ორგანოს, ალბათ მას უფლება ექნება გააუქმოს სახალხო მოსამართლის ან სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ და გადაგზავნოს საქმე ახალი გამოკვლევისათვის ან ახალი განხილვისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსრკ 351-ე მუხლით.

სასამრთლო პროცესუალური ფორმების ასეთი ცვალებადობა დაკავშირებულია პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის გამოყენებასთან. იურიდიული პროცესი მატერიალური სამართლის „მომსახურების“ მიზნით იქმნება. ბუნებრივია, იძულების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცესი მიზნად ისახავს იურიდიული იძულების შესაბამისი სახეობის „მომსახურებას“. რამდენადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დიდად განსხვავდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, განსხვავებულია პასუხისმგებლობის ამ სახეობათა გამოყენების პროცესუალური ფორმებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში არ ხდება, საქმის წარმოება მთავრდება სახალხო სასამართლოში და ხდება გამოტანილი ადმინისტრაციული სახდელის დაუყოვნებლივ აღსრულება (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობის, მილიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, რადიოგადმცემ სამუალებათა უკანონოდ მოწყობისა და სხვა საქმესთან დაკავშირებით). ეს, მართალია, ზღუდავს მოქალაქეთა საჩივრის უფლებას და არ ქმნის გარანტიას სოციალისტური კანონიერების უზრუნველსაყოფად სახალხო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას, მაგრამ ვინაიდან ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მხოლოდ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა საკასაციო წარმოებას განახორციელებს, ხოლო კასაციის ასეთი წესით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა დაუშვებელია, ამიტომ მიზანშეწონილი არ არის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლოში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ზემდგომ სასამართლოს არ შეეძლოს შეამოწმოს სახალხო სასამართლოების მუშაობა ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ხაზით და არ აღკვეთოს სოციალისტური კანონიერების დარღვევა მათი განხილვის დროს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის დადგენილებაში — „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ — აღინიშნა, რომ სახალხო მოსამართლის დადგენილება წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს თვით ამ მოსამართლის მიერ და ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერაც.

მაგრამ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი ადმინისტრაციული სახდელის კანონიერების უზრუნველსაყოფად კანონმდებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო შორს წავიდა და დააწესა ასეთი სახდელის გასაჩივრებისა და გაპროტესტების უფლება ზემდგომ სასამართლოში საკასაციო წარმოების სახით. გასაჩივრების შემდეგ კი უმაღლესი სასამართლო საკასაციო წარმოებას განახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 344-366 მუხლების შესაბამისად (რასაკვირველია, ზოგიერთი გამონაკლისების გათვალისწინებით).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ახალმა კანონმდებლობამ, რომელმაც შემოიღო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, არ განსაზღვრა ზოგიერთი პროცესუალური საკითხი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებები, რომლებიც ძალაში შევიდა 1977 წლის 1 აპრილიდან, საჭიროს ხდის ახალი საკანონმდებლო აქტების გამოცემას ან დამატებებს მოქმედ კანონმდებლობაში.

სასამართლო-ადმინისტრაციული წარმოება ჩვენს ქვეყანაში არ არის მოწესრიგებული ერთიანი საკანონმდებლო აქტით, ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დამრღვევზე დაკისრების დროს სახალხო სასმართლოს უხდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, სასამართლო წყობილებისა და ხვა კანონმდებლოების გამოყენება .მას არ შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კანონმდებლობას, რომელიც მმართველობის ორგანოებს შეეხება, ხოლო სასამარლო სახელმწიფო მმართველობას არ ახორციელებს. ამიტომ სასამართლო-ადმინისტრაციული წარმოების სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადმინისტრაციულ-პროცესუალური მოწესრიგებისაგან, საჭიროებს სპეციალური აქტის გამოცემას, რომელიც შემდგომ სრულყოფს და დახვეწავს მას. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება შემუშავდეს საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა სპეციალურად სასამართლო-ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების პროცესუალური თავისებურებები.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ხარჯზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროს გაფართოება საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის მანიშნებელია. საბჭოთა საზოგადოებრიობას განვითარების დღევანდელ ეტაპზე ახასიათებს ორგანიზებულობა, უფრო მტკიცე საზოგადოებრივი დისციპლინა, აღმზრდელობითი ზემოქმედების მეტი ეფექტუბა, რაც საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის ზოგიერთ დამნაშაევთა აღზრდა-გამოსწორება თვით კოლექტივებს, საზოგადოებას მივანდოთ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებით. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა სკკპ XXV ყრილობაზე, „ვზრუნავთ რა მოქალაქეთა პიროვნების, უფლებების ყოველმხრივ განვითარებისათვის, ამასთან ჯერეოვან ყურადღებას ვუთმობთ საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრობლემას, იმას, რომ ყველა მოქალქე იხდიდეს თავის ვალს საზოგადოების წინაშე, რადგან დისციპლინისა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის გარეშე დემოკრატია შეუძლებელია“[11].

---

11 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცკ ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი დებულება საწარმოებისათვის მიყენებული ზარალის გამო მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

ლ. ადეიშვილი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით დასახულია ხალხის ცხოვრების დონის ახალი აღმავლობა, საზოგადოებრივი საკუთრების შემდგომი ზრდა. სოციალისტური საკუთრების, როგორც ხალხის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყაროს დაცვა და განმტკიცება, საერთო სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ამოცანაა. მის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს სოციალისტური სამართალი მთლიანად და, კერძოდ, საბჭოთა შრომის სამართლის ნორმები მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის თაობაზე.

მუშა-მოსამსახურეები, როგორც შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, მოვალენი არიან მზრუნველად მოეპყრონ, გაუფრთხილდნენ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას, სადაც მუშაობენ. ეს მოვალეობა განმტკიცებულია საბჭოთა შრომის კანონმდებლობის შესაბამისი აქტებით, რომლის შეუსრულებლობა, თუ მას შედეგად მოჰყვა საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანი, იწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას. მუშა ან მოსამსახურე ვალდებულია აანაზღაუროს ქონებრივი ზიანი, რაც შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო განიცადა საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ[1].

შრომითი ურთიერთობის პროცესში საწარმოსათვის მიყენებულ ქონებრივ ზიანს მუშა-მოსამსახურენი აანაზღაურებენ ახალი დებულებით საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალის გამო მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელშიც დაზუსტებულია მატერიალური პასუხისმგებლობის წესები. დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით და სამოქმედოდაა შემოღებული 1977 წლის 1 იანვრიდან[2].

დებულებაში თავმოყრილია მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან დაკავშირებული თითქმის ყველა ნორმა, დეტალურად გადმოცემულია ისინი და ამასთანავე დადგენილია საწარმოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების ახალ წესები.

მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძვლად მიჩნეულია საწარმოსათვის მიყენებული პირდაპირი ნამდვილი ზიანი. მუშაკს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოიხატა საწარმოს ქონების ღირებულების

---

1 შემდგომში შემოკლებით „საწარმო“.

2 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები 1976, № 29, მუხ. 427.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგვასა თუ შემცირებაში ანდა საწარმოს მიერ ზედმეტი ხარჯების გაღების საჭიროებაში. დებულება კრძალავს მუშაკისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ ზიანისათვის, რაც ნორმალურ საწარმოო-სამეურნეო რისკის შედეგად წარმოიქმნა[3].

მატერიალური პასუხისმგებლობის პირობად დებულება, ისევე როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, ავრეთვე შრომის კანონთა რესპუბლიკური კოდექსები, თვლის ზიანის მიყენებაში მუშაკის ბრალს. შემთხვევით მიყენებული ზიანისათვის მუშა-მოსამსახურეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ბრალის გარდა მატერიალური პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობად მიჩნეულია მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მის მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობა. ერთი აუცილებელი პირობა არის კიდევ ის, რომ მუშის ან მოსამსახურის მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამ სამ პირობათაგან თუნდაც ერთის არარსებობისას დაუშვებელია მუშაკისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საწარმოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება ხდება მუშის ან მოსამსახურის ხელფასიდან დაქვითვის გზით. ამასთანავე დებულება ითვალისწინებს, რომ ზიანის მიმყენებელ პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით აანაზღაუროს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ, ხოლო საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით შეუძლია აანაზღაუროს ზარალი ტოლფასოვანი ქონებით ან შეაკეთოს დაზიანებული.

ზიანის ანაზღაურების წესი დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობითაც (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 118-ე და 123-ე მუხლები), მაგრამ დებულებამ გააფართოვა, უფრო დააზუსტა ეს წესი და გარკვეული სიახლეც შეიტანა მასში. კანონმდებლობაში არ იყო მითითება, რომ მუშაკს შეეძლო ნებაყოფლობით აენაზღაურებინა მიყენებული ქონებრივი ზიანი ფულადი სახით, თუმცა პრაქტიკაში ასეთი ანაზღაურება არცთუ იშვიათად ხდებოდა. ახლა ანაზღაურების ეს ფორმა ნებადართულია საერთო-საკავშირო აქტით. დებულება მუშაკს უფლებას აძლევს ნაწილობრივ აანაზღაუროს ზიანი სხვა ნაწილის საერთო წესით გადახდის პირობებში. იგულისხმება, რომ ასეთი უფლება მშრომელს აქვს ანაზღაურებისათვის განკუთვნილი მთელი დროის მანძილზე. მას შეუძლია ვადამდე ერთდროულად გადაიხადოს დარჩენილი ნაწილი.

სიახლეა მიყენებული ზიანის ნატურით ანაზღაურების წესშიც. ადრე კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობის აუცილებლობას ზიანის ნატურით ანაზღაურების ფორმისათვის (ტოლფასოვანი ქონების წარმოდგენა ან დაზიანებულის შეკეთება). თუ მუშაკი მოისურვებდა ნატურით აენაზღაურებია ზიანი, ადმინისტრაციას უნდა მიეღო იგი. ახლა ამ წესით ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციის ნებაზეა დამოკი-

---

3 საწარმოო-სამეურნეო რისკი ნორმალურად ჩაითვლება თუ: 1) რისკი სასარგებლო შედეგის მიღებას ისახავს მიზნად და დაცული იქნება მისი შესრულებისათვის ცალკე დადგენილი ნორმები; 2) რისკი ნებადართულია ადმინისტრაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და 3) მუშაკის (მუშაკთა ჯგუფის) მიერ მიღებულია ყველა შესაძლო ღონისძიება შრომის პირობების არსებული დონის ვითარებაში ზიანის თავიდან ასაცილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული. საწარმოს ინტერესების გათვალისწინებით ადმინისტრაცია თუ მიიჩნევს მიზანშეწონილად ნატურით აინაზღაუროს ზიანი, იგი მისცემს მუშაკს ასეთ უფლებას.

დებულებით მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ძირითადი სახეა შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა. მუშაკს, რომლის ბრალითაც მიყენებულია ზიანი, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ნამდვილი ზიანის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს მისი თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთი მესამედისა. მაშასადამე, მიყენებული ზიანი მთლიანად ანაზღაურდება, თუ მისი ოდენობა არ აღემატება მუშაკის სატარიფო განაკვეთის ერთ მესამედს. შეზღუდული პასუხისმგებლობა საშუალო ერთთვიური ხელფასის ორი მესამედის ფარგლებში ეკისრებათ მუშა-მოსამსახურეებს: ა) მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის) დაუდევრობით გაფუჭების ან მოსპობისათვის, მათ შორის მათი დამზადებისას, ბ) დაუდევრობით ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლისა და სხვა იმ საგნების გაფუჭებისა თუ მოსპობისათვის, რომლებიც საწარმომ მუშაკს მისცა სარგებლობისათვის.

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა ერთთვიური საშუალო ხელფასის ფარგლებში დაწესებულია საწარმოს ხელმძღვანელთა და მათი მოადგილეების, საწარმოს სტრუქტურული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებისა და მოადგილეებისათვის, თუ ზიანი გამოწვეულია ზედმეტი ფულადი გადახდებით, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის არასწორი ორგანიზაციის გამო, მოცდენების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის გატაცების, მოსპობისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობის მიზეზით. დებულებით დადგენილი ამ წესისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონმდებლობის სათანადო ნორმათა (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლი) შედარება გვიჩვენებს, რომ შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის ეს სახე დებულებით უფრო მკაფიოდ არის რეგლამენტირებული. ჯერ ერთი, ნათლად გამოიკვეთა ამგვარი პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრე. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლი ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალს თვლის ამ პასუხისმგებლობის სუბიექტად, დებულებაში კი კონკრეტულად მინიშნებულია შესაბამისი თანამდებობის პირი, რაც თავიდან გვაშორებს მოსალოდნელ გართულებას სუბიექტთა წრის განსაზღვრაში. მ ე ო რ ე, დებულებამ აღარ გაიმეორა კოდექსში მოცემული სანიმუშო, არასრული ჩამოთვლა იმ ქონებისა, რომლის არასწორი აღრიცხვისა და დაუცველობისათვის ზომების მიუღებლობა იწვევს აღნიშნულ პასუხისმგებლობას. დებულებაში სიის ნაცვლად ნახმარია გამოთქმა „მატერიალური ან ფულადი ფასეულობა“, რაც არსებითად აფართოებს პასუხისმგებლობის ამ სახის სფეროს. გარდა იმისა, რომ მატერიალურ ფასეულობად ითვლება საწარმოს ყოველგვარი ქონება, პასუხისმგებლობის საფუძველს დაემატა ფულადი ფასეულობის აღრიცხვა-დაცვის საქმის არასწორად დაყენებით გამოწვეული ზიანიც. მ ე ს ა მ ე, საწარმოს ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების, სტრუქტურული ქვეგანაყოფების უფროსთა და მოადგილეების მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმით, რომ დარღვევათა რიცხვს, რაც პასუხისმგებლობას იწვევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემატა მათი ბრალის გამო ზედმეტი ფულადი გადახდებით გამოწვეული ზიანი, აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც საწარმოო მოცდენებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებათა მიუღებლობას შედეგად მოჰყვა მატერიალური ზიანი.

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა სამი თვის ხელფასის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამდებობის პირებისათვის, რომელთაც ბრალი მიუძღვით მუშაკის უკანონო დათხოვნასა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, აგრეთვე *სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებაში. ასეთივე* პასუხისმგებლობა დებულებით შეიძლება დაეკისროს თანამდებობის პირს მაშინაც, თუ იგი დააყოვნებს დაქვემდებარების წესით ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებას მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

დებულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებთან და შრომის კანონთა კოდექსებთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს აწესებს სრული მოცულობით მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხში. გამოვყოფთ ამ სიახლეთა სამ ჯგუფს.

1. მუშა-მოსამსახურეებს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოსათვის მიყენებული ზიანის გამო დამატებით ეკისრებათ თუ ქონება და სხვა ფასეულობა მუშაკს მიღებული აქვს ერთჯერადი მინდობილობით ან სხვა ერთჯერადი დოკუმენტებით და ზიანი მისი ბრალითაა გამოწვეული. ადრე მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა უშვებდა ფასეულობათა დანაკლისის გამო სრული მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ მუშაკისადმი, რომელმაც მინდობილობით, ზედნადებით ან სხვა დოკუმენტით მიიღო ფასეულობანი (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1974 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-12 პუნქტი); თუ ზიანი მიყენებულია მასალების, ნახევარფაბრიკატების ნაწარმის (მათ შორის მათი დამზადებისას), აგრეთვე ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლისა და სხვა იმ საგნების დანაკლისით, განზრახ მოსპობით ან განზრახ გაფუჭებით, რომლებიც საწარმომ მუშაკს სარგებლობისათვის მისცა. შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამდე ჩამოთვლილი ქონების განზრახ განადგურების ან განზრახ გაფუჭებისათვის მუშაკს ეკისრებოდა გადიდებული (ხუთმაგი ოდენობით) მატერიალური პასუხისმგებლობა.

2. განსაზღვრულია სრული მატერიალური პასუხისმგებლობის თაობაზე ხელშეკრულების დადების წესი. დებულების მე-11 პუნქტის თანახმად წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ საწარმომ შეიძლება დადოს 18 წლის ასაკს მიღწეულ მუშაკთან, რომელსაც უკავია ისეთი თანამდებობა ან ასრულებს იმ სამუშაოს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მათთვის გადაცემული ფასეულობის შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასა (გაცემასა) და გადაზიდვასთან ანდა წარმოების პროცესში გამოყენებასთან. ასეთი თანამდებობისა და სამუშაოების ნუსხა, აგრეთვე ტიპიური ხელშეკრულება სრული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. იგულისხმება, რომ, თუ ნუსხაში ჩამოთვლილ მუშაკებთან არ არის დადებული წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, მათ დაეკისრებათ მხოლოდ შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა. ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქმის იმ პირებზე, რომლებიც მოხსენებული არიან ნუსხაში და სპეციალურ დადგენილებათა შესაბამისად პასუხს აგებენ მათი ბრალით საწარმოსათვის მიყენებული ზიანისათვის სრული ოდენობით (მოლარეები, საწყობის მუშაკები და სხვ.). მართალია, პრაქტიკულად მათთანაც იდება წერილობითი ხელშეკრულებები, მაგრამ ამას მნიშვნელობა აქვს თვით მუშაკთა მოვალეობების დაზუსტებისა და ადმინისტრაციის ვალდებულებათა დადგენის თვალსაზრისით.

3. მატერიალური პასუხისმგებლობის სრული ანაზღაურების სფეროში პირველად არის დადგენილი ნორმები კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. სრული მატერიალური პასუხისმგებლობის ეს სახესხვაობა შეიძლება დადგინდეს კოლექტივის მუშაობის არა ყველა შემთხვევაში, არამედ სულ მცირე ორი პირობის არსებობისას. ერთია ის, რომ კოლექტივის (ბრიგადის) წევრები, რომელთა მუშაობა დაკავშირებულია მათთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასა და დამუშავებასა ან გაყიდვასთან, აგრეთვე გადაზიდვასა თუ წარმოების პროცესში გამოყენებასთან, ერთობლივად უნდა მუშაობდნენ. აუცილებელი არაა ფასეულობათა მომსახურე პირთა მუშაობა სრულდებოდეს ერთსა და იმავე დროს (სამუშაო საათები, დღეები და ა. შ.). მეორე, საჭირო პირობა არის ის, რომ მატერიალური პასუხისმგებლობის გამიჯვნა და ცალკე დაკისრება კოლექტივის (ბრიგადის) ყოველ წევრზე ორგანიზაციულად, წარმოების (მუშაობის) პროცესის სპეციფიკის გამო შეუძლებელია. ხელშეკრულება ასეთი პასუხისმგებლობის შესახებ იდება წერილობითი ფორმით საწარმოს ადმინისტრაციასა და კოლექტივის ყველა წევრს შორის.

პასუხისმგებლობის ეს სახე პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საცალო ვაჭრობის საწარმოებში, ბითუმი და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციათა ბაზებსა და საწყობებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. იგი მოქმედებდა მშენებლობასა და იმ საწარმოებში, სადაც ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების, სინთეტური კორუნდის გადამუშავება ან წარმოების პროცესში მათი (აგრეთვე მათგან დამზადებული ნაწარმის) გამოყენება ხდება. ახალი დებულების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ კოლექტიური მატერიალური პასუხისმგბლობა შეიძლება დაწესდეს ყოველ საწარმოსა და დაწესებულებაში დარგობრივი ნიშნის მიუხედავად, ოღონდ იმ სამუშაოებზე, რომელთა ნუსხა მტკიცდება სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ. კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის არსი იმაშია, რომ მთელ კოლექტივს (ბრიგადას) ეკისრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ხოლო თითოეული წევრი პასუხს აგებს ხელფასის (სატარიფო განაკვეთის) და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის უკანასკნელი აღრიცხვის ჩატარების დღიდან ზიანის დადგენის მომენტამდე ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება ბრალის გაუთვალისწინებლად ხდებოდეს. ზიანის ანაზღაურება კოლექტივის წევრებს არ დაეკისრება, თუ დამტკიცდება, რომ იგი მუშაკთა ამ ჯგუფის მიერ არაა მიყენებული ანდა თუ გამოვლენილი იქნება კოლექტივის წევრი, ვინც უშუალოდ მიაყენა საწარმოს ზიანი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ანაზღაურება მხოლოდ მას ეკალება, ვისი ბრალეული მოქმედებაც დადგინდება.

ვინაიდან კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობა ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების განსაკუთრებული სახეა თავისი დამახასიათებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციფიური ნიშნებით, მისი შემოღება განსხვავებულ წესსაც საჭიროებს. ამიტომაც დებულებით გათვალისწინებულია, რომ კოლექტიურ (ბრიგადულ) მატერიალურ პასუხისმგებლობას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ადგენს პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

დებულებაში მოცემულია მუშა-მოსამსახურეთა და ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ საწარმოსადმი მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების წესები, რომელთა უმრავლესობა ახალია, განსაკუთრებით ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში. ზუსტი ნორმატიული დებულებები, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა საწარმოსადმი მიყენებული ზიანის განსაზღვრა, აქამდე არ იყო, რაც პრაქტიკაში იწვევდა საკითხისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომას და სირთულეებს.

დებულებით საწარმოსადმი მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივი დანაკარგების მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, გამომდინარე მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულებიდან (თვითღირებულებიდან). მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მატერიალურ ფასეულობათა გაცვეთა და იგი უნდა გამოაკლდეს საბალანსო ღირებულებას დადგენილი ნორმების შესაბამისად. ამ საერთო წესისაგან განსხვავებით ზიანი, რაც გამოწვეულია მატერიალურ ფასეულობათა გატაცებით, დანაკლისით, განზრახ მოსპობით ან განზრახ გაფუჭებით, განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მატერიალური ფასეულობის მოცემული სახის საცალო ფასი არაა დადგენილი, ზიანი განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით გამოითვლება. თუ ზიანი საზოგადოებრივი კვების საწარმოებში (წარმოებასა და ბუფეტებში) ან საკომისიო ვაჭრობაში პროდუქციისა და საქონლის გატაცებით ანდა დანაკლითაა მიყენებული, მისი ოდენობა იმ ფასების მიხედვით უნდა განისაზღვროს, რაც დადგენილია ამ პროდუქციისა და საქონლის გაყიდვისათვის (რეალიზაციისათვის).

პირველად საკავშირო კანონმდებლობით გათვალისწინებულია — დადგინდეს ზიანის ოდენობის განსაზღვრის განსაკუთრებული წესი, მათ შორის ჯერადი გამოანგარიშებით, თუ მიყენებული ზიანის ფაქტობრივი ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას. ამასთანავე დაზუსტებულია კანონმდებლობა იმ მხრივ, რომ კონკრეტულად ჩამოთვლილია ასეთი ზიანის გამომწვევი დარღვევები — ცალკეულ სახეობათა ქონებისა და სხვა ფასეულობათა გატაცება, დანაკლისი ან დაკარგვა. თუ საწარმოსადმი მიყენებული ზიანის ფაქტობრივი ოდენობა მის ნომინალურ ოდენობას აღემატება, მაგრამ ზიანის გამომწვევი მიზეზი არ იყო არცერთი ხსენებული დარღვევა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაკუთრებული, მათ შორის ჯერადი გამოანგარიშების წესი. ასეთი წესის დადგენა საჭიროა იმიტომ, რომ ცალკეული სახეობის ქონებისა და ფასეულობათა, კერძოდ, ძვირფასი და დეფიციტური ქონების გატაცებით, დანაკლისით, თუ დაკარგვით გამოწვეული ნამდვილი ზიანი ვერ ანაზღაურდება მათი ნომინალური ოდენობის გადახდით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრის განსაკუთრებულ წესს არავითარი საერთო არ აქვს შრომის კანონმდებლობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე ცნობილ ეგრეთ წოდებულ გადიდებულ მატერიალურ პასუხისმგებლობასთან. თუ ეს უკანასკნელი ზიანის ანაზღაურების გარდა დაჯარიმების ელემენტებსაც შეიცავდა, ახალი დებულებით დაშვებული განსაკუთრებული წესი მხოლოდ და მხოლოდ მიყენებული რეალური ზიანის გადახდევინებას ისახავს მიზნად, ოღონდ ცალკეული შემთხვევებისათვის ფაქტიური ზიანის ოდენობის განსაზღვრის საერთო წესისაგან განსხვავებულ ხერხს ითვალისწინებს.

დებულება შეიცავს ახალ ნორმას, რომლის თანახმად საწარმოს დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები ბრალით მიყენებულ ზიანს ანაზღაურებენ დაქვემდებარების წესით ზემდგომი ორგანოს განკარგულებით. ასეთი განკარგულება შეიძლება გაიცეს, თუ მატერიალური პასუხისმგებლობა თანამდებობრივი სარგოს ერთ მესამედს არ აღემატება და თვითონ ბრალეული პირი წერილობით გამოთქვამს თანხმობას ხელფასიდან დაქვითვაზე. სხვა შემთხვევაში ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები მატერიალურ ზიანს აანაზღაურებენ სასამართლო წესით, ზემდგომი ორგანოს ან პროკურორის სარჩელის მიხედვით.

ახალი დებულების მიღება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული მნიშვნელოვანი ამოცანის — საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების პრაქტიკული განხორციელების სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულებრივი ქმედების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობა მიზეზობრიობის ფილოსოფიური პრობლემის ასპექტში

გ. ვეკუა,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე

სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ დამნაშავეობა მკვეთრად შემცირდეს. თანამედროვე პირობებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიმართულებაა მისი თავიდან აცილება. დამნაშავეობის პროფილაქტიკა მრავალი არაერთგვაროვანი ღონისძიების მომცველი მეტად რთული პროცესია, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სხვადასხვა დანაშაულის წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრა. დამნაშავეობის მიზეზების აღმოფხვრა მით უფრო წარმატებითი იქნება, რაც უფრო კარგად გვეცოდინება ისინი. დამნაშავეობის მიზეზობრივი განპირობებულობის საკითხი თავისთავად, მეტად რთული და მრავალმხრივია. აქ განვიხილავთ ამ პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს — დანაშაულებრივი ქმედების გარეგანი და შინაგანი ფაქტორების თანაფარდობის საკითხს, რომლის სწორი გადაწყვეტა შეუძლებელია მიზეზობრიობის ფილოსოფიური პრობლემის გაურკვევლად.

მიზეზობრიობა, ჩვენი გაგებით, ეს არის ერთი ობიექტის — მიზეზის გარეგანი კომპონენტის დროში ზემოქმედება მეორე ობიექტზე — მიზეზის შინაგან კომპონენტზე, რის შედეგად ხდება ამ მეორე ობიექტის შეცვლა.

სიმბოლურად: $(ა \rightarrow ბ) = ბ_1$, სადაც ა—მიზეზის გარეგანი კომპონენტია, ბ — მიზეზის შინაგანი კომპონენტი $ბ_1$ კი — შედეგი.

მიზეზობრიობის ასეთი გაგება შესაძლებლობას იძლევა სწორად გადაწყდეს შინაგანისა და გარეგანის ურთიერთდამოკიდებულების რთული საკითხი. მართლაც, თუკი მიზეზი ყოველთვის გარეგანისა და შინაგანის ერთიანობაა, მაშინ შედეგის ხასიათი, მისი რაობა უმთავრესად მიზეზის შინაგანი კომპონენტით განისაზღვრება, რადგან ის, თუ როგორ შეიცვლება ობიექტი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია თვით ამ ობიექტის შინაგან ბუნებაზე.

როცა ვამბობთ, რომ შედეგის ხასიათი უმთავრესად მიზეზის შინაგან კომპონენტზეა დამოკიდებული, ეს არ ნიშნავს, რომ სინამდვილის სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა კონკრეტულ ვითარებაში მიზეზის შინაგანი და გარეგანი კომპონენტების თანაფარდობა ყოველთვის ერთნაირია. მრავალი სხვადასხვა შესაძლო ურთიერთდამოკიდებულებიდან განვიხილოთ რამდენიმე ყველაზე უფრო დამახასიათებელი შემთხვევა. თავდაპირველად ავიღოთ ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელშიც მიზეზის გარეგანი კომპონენტი უფრო ძლიერია, შინაგანი კი შედარებით სუსტი. როგორი იქნება შედეგი ამ შემთხვევაში? მივმართოთ შესაბამის ფორმულას:

$/ა(ძკ) \rightarrow ბ(სკ)/ = ბ_1(ა)$, სადაც ა(ძკ) — მიზეზის ძლიერი გარეგანი კომპონენტია, ბ(სკ) — მიზეზის სუსტი შინაგანი კომპონენტი, $ბ_1(ბ)$ კი — შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, მიზეზის ძლიერი გარეგანი კომპონენტის ზემოქმედება მიზეზის სუსტ შინაგან კომპონენტზე იწვევს ისეთ შედეგს, რომლის ხასიათსა და ბუნებას გარეგანი კომპონენტი გარკვეულ დაღს ასვამს, ზოგჯერ კი თითქმის მთლიანად თავის ყაიდაზე გარდაქმნის. თუ ავიღებთ ისეთ უკიდურეს შემთხვევას, როცა მიზეზის გარეგანი კომპონენტი ძალზე ძლიერი იქნება, შინაგანი კი ძალზე სუსტი, არამყარი, მაშინ მიზეზის ამ ძლიერი გარეგანი კომპონენტის ზემოქმედებას სუსტ შინაგან კომპონენტზე შეუძლია მისი მთლიანად დაშლა, მოსპობა. სიმბოლურად /ა(ძძკ)→ბ(ძსკ)/=ბ$_1$(დ), სადაც ბ$_1$ (დ) შედეგი — დანგრეული შინაგანი კომპონენტია. მაშასადამე, მიზეზის ძლიერი გარეგანი კომპონენტის ზემოქმედებას სუსტ შინაგან კომპონენტზე აქვს თავისი ზღვარი, რომლის იქით ის იწვევს ამ უკანასკნელის დაშლას, განადგურებას, მოსპობას.

ასეთი შემთხვევები ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს შედეგს მიზეზის გარეგანი კომპონენტი განსაზღვრავდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ მიზეზის გარეგან კომპონენტს შედეგის ძირფესვიანი გარდაქმნა შეუძლია არა მისი განვითარების თვალსაზრისით, არამედ მისი მოსპობის, განადგურების თვალსაზრისით. რაც შეეხება განვითარებას, ახლის წარმოშობას, ამ შემთხვევაში უპირატესობა ყოველთვის მიზეზის შინაგან კომპონენტს ეკუთვნის. მატერიალისტური დიალექტიკა არის მოძღვრება განვითარების შესახებ, ამდენად ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ყოველთვის შინაგან ფაქტორებს ანიჭებს.

საყურადღებოა ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის განხილვა, როცა მიზეზის გარეგანი კომპონენტი მეტ-ნაკლებად სუსტია, მიზეზის შინაგანი კომპონენტი კი მეტ-ნაკლებად ძლიერი. განვიხილოთ ორი შემთხვევა:

/ა(სკ)→ბ(ძკ)/ =ბ$_1$ უ(ც) და /ა(სკ→ბ(ძძკ)/=ბ, სადაც ა(სკ)—მიზეზის სუსტი გარეგანი კომპონენტია, ბ(ძძკ) — მიზეზის ძალზე ძლიერი შინაგანი კომპონენტი, ბ$_1$ (უც) — უმნიშვნელოდ შეცვლილი შედეგი, ბ კი — შეუცვლელი შინაგანი კომპონენტი — შედეგი. ამ შემთხვევაში მიზეზის სუსტი გარეგანი კომპონენტის ზემოქმედება მიზეზის ძლიერ შინაგან კომპონენტზე იწვევს მის უმნიშვნელო შეცვლას. თუ მიზეზის შინაგანი კომპონენტი ძალზე ძლიერია, მყარია, მაშინ ასეთ ზემოქმედებას რაიმე შესამჩნევი ცვლილებები არ მოსდევს და სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ სისტემის მთლიანად შინაგანი ფაქტორებით განსაზღვრულობაზე.

მიზეზის სუსტი, გარეგანი (შემთხვევითი) კომპონენტის ზემოქმედება შინაგან კომპონენტზე არც თუ იშვიათად საწინააღმდეგო სურათს იძლევა და ამ უკანასკნელში მეტად მნიშვნელოვან, ძირეულ ცვლილებებს იწვევს. ასეთ დროს პარადოქსთან გვაქვს საქმე: მცირე მიზეზი დიდ შედეგს იწვევს. ასეთი მოვლენები მაშინ ხდება, როცა მიზეზის სუსტი გარეგანი კომპონენტი „გამოშვები მექანიზმის", ბიძგის როლში გამოდის და მოქმედებაში მოჰყავს ახალი თვისებრიობის ზღურბლზე მყოფი სისტემის შინაგანი ძალები, რის შედეგად პროცესი ლავისებურ ხასიათს იღებს. აღნიშნული პროცესი სიმბოლურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

/ა(სკ→ბ(ამყკ)/=ბ$_1$(თც), სადაც ა(სკ) — მიზეზის სუსტი (შემთხვევითი) გარეგანი კომპონენტია, ბ (ამყკ) — მიზეზის არამყარი შინაგანი კომპონენტი, ხოლო ბ$_1$(თც) — თვისებრივად შეცვლილი შედეგი. რაც უფრო მყარია მიზეზის შინაგანი კომპონენტი, ანუ რაც უფრო დამოუკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ესა თუ სისტემა, მით უფრო ნაკლებ ზეგავლენას მოახდენენ მასზე მიზეზის გარეგანი კომპონენტები, მით უფრო ნაკლებად შეიცვლება ის გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობაზე მსჯელობის დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ფაქტორების პირდაპირი და უშუალო ზემოქმედება რაიმე სისტემაზე აწმყოში. ისე კი ისტორიულად, ფილოგენეზში (და ონტოგენეზშიც) ყოველი სისტემა, მათ შორის ცოცხალი სისტემები და ადამიანიც, ზოგადად, საბოლოოდ გარეშე ფაქტორებით არის განსაზღვრული.

მიზეზის შინაგანი და გარეგანი კომპონენტების თანაფარდობა კონკრეტულ სინამდვილეში გაცილებით უფრო მრავალგვარია. აქ სხვადასხვა ვარიანტი, მოდიფიკაციაა შესაძლებელი. შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობის დიალექტიკურ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეობის მიზეზობრივი განპირობებულობის პრობლემის სწორად გადაწყვეტისათვის.

გარეგანი და შინაგანი ფაქტორების თანაფარდობაში შინაგანის გადამწყვეტი როლის დიალექტიკური გაგებიდან ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა, თვით დამნაშავის პიროვნებაში უნდა ვეძებოთ და არა მის გარეთ. სიმბოლურად:

/დ(გფ→პ(შთ)/=პ(დქ), სადაც დ(გფ) მიზეზის გარეგანი კომპონენტი — დანაშაულის ხელშემწყობი გარეშე ფაქტორია, პ(შ)თ მიზეზის შინაგანი კომპონენტი — პიროვნების ის თვისებებია, რომლებიც აპირობებენ მის მზაობას დანაშაულებრივი ქმედებისაკენ, პ (დქ) კი — შედეგი — პიროვნების დანაშაულებრივი ქმედება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, დაადგება თუ არა ესა თუ ის პიროვნება დანაშაულის გზას, ეს დამოკიდებულია არა იმდენად გარეშე ხელშემწყობ ფაქტორებზე, რამდენადაც თვით ამ პიროვნებაზე, მის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, იდეურ მრწამსზე, ზნეობრივ სიწმინდეზე, ნებისყოფის სიმტკიცეზე და სხვა მრავალ პირად (შინაგან) თვისებებზე. რაც უფრო წესიერი და პატიოსანია ადამიანი, რაც უფრო მაღალი იდეებითა და ზნეობითაა აღჭურვილი იგი, რაც უფრო მტკიცეა მისი ნებისყოფა, მით უფრო ნაკლებად აჰყვება იგი გარეშე მავნე ზემოქმედებებს, მით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიიღებს და ღირსეულ გამოსავალს იპოვნის შექმნილ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში და პირიქით, რაც უფრო ღარიბი და გამოფიტულია პიროვნების შინაგანი სულიერი სამყარო, რაც უფრო სჭარბობს მასში ქვენა გრძნობები (ეგოიზმი, კარიერიზმი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია და სხვ.) მით უფრო მეტია დანაშაულის გზაზე მისი დადგომის შესაძლებლობა. განსაკუთრებით საშიში არიან საზოგადოებისათვის ასეთი ადამიანები მაშინ, როცა რაღაც მანქანებით მაღალ პოსტებს იკავებენ. ეს იმიტომ, რომ მაღალი თანამდებობა და რეგალიები უადვილებს მათ შენიღბვას, საშუალებას აძლევს ამოეფარონ ბრტყელ დემაგოგიურ ფრაზებს და ამავე დროს განაგრძონ თავიანთი შავბნელი საქმიანობა. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში გამომზეურებული მეტად საშიში თანამდებობრივი დანაშაულებანი, კერძოდ, გელბახიანის მიერ ჩადენილი დანაშაული, ამის ნათელი დადასტურებაა.

შეიძლება იკითხონ, თუკი დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი მიზეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით დამნაშავის პიროვნებაში, მის შინაგან თვისებებში უნდა ვეძებოთ, რით ავხსნათ ისეთი შემთხვევები (რაც არც თუ იშვიათია იურიდიულ პრაქტიკაში), როცა დამსახურებული, ვალმოხდილი ადამიანი, რომელსაც ადრე საკმაო ბევრი სასარგებლო და კეთილი საქმე ჩაუდენია, დანაშაულის მოლიპულ გზას ადგება? ასეთ შემთხვევებში გარემოცვის როლი, დანაშაულის ხელშემწყობი გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება მოცემულ პიროვნებაზე უსათუოდ ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი აზრით ეს სრულიადაც არ ცვლის დანაშაულებრივი ქმედების შინაგანი ფაქტორებით განსაზღვრულობის ზოგად კანონზომიერებას. საქმე ისაა, რომ ყოველი ასეთი დანაშაულის კონკრეტული ანალიზით ვლინდება, რომ დამნაშავის ხასიათში შინაგანი უარყოფითი თვისებები ადრეც იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით არ გამომჟღავნებულა, ასე ვთქვათ, მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაშინ, როცა იმავე პიროვნების ხასიათის დადებითი მხარეები სრულ გამოვლენას პოულობდნენ და მადომინირებელ როლს ასრულებდნენ მის საქმიანობაში. გარეშე ხელშემწყობი პირობების შემთხვევაში ადრე რეცესიულ მდგომარეობაში მყოფი პიროვნების უარყოფითი შინაგანი თვისებები, მისი ნაკლოვანებანი, გარკვეულ გასაქანს პოულობენ და ზოგჯერ დანაშაულებრივი ქმედების სახით გამოვლინდებიან. პიროვნების რომელი უარყოფითი თვისება (ან თვისებები) გახდა დანაშაულებრივი ქმედების უშუალო განმსაზღვრელი: ნებისყოფის შესუსტება, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, გულის აცრუება, შურისძიების გრძნობა, თავისი საქმისადმი ინტერესი, ორგანიზმის პათოლოგიური ცვლილებები და ა. შ. ამასაც, ცხადია, კონკრეტული ანალიზი გამოავლენს.

როცა ვამტკიცებთ, რომ დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი თვით დამნაშავის პიროვნებაში უნდა ვეძებოთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს გარეგანი ფაქტორები მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ დანაშაულის ჩადენაში და მაშასადამე, დანაშაულის ხელშემწყობი გარეგანი ფაქტორების დადგენას არ ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა დამნაშავეობის პროფილაქტიკაში.

მატერიალისტური დიალექტიკა ვერასოდეს ვერ შეურიგდება საკითხის მეტაფიზიკურ დასმას: „ან-ან" — ან შინაგანი, ან გარეგანი. იგი შინაგანი ფაქტორების წამყვან როლთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგან ფაქტორებს. უფრო მეტიც, მიზეზობრიობის სწორი გაგება, როგორც მიზეზის ერთი (გარეგანი) კომპონენტის ზემოქმედება მეორეზე (შინაგანზე) და ამ ზემოქმედების შედეგად შინაგანის შეცვლა, საერთოდ, გამორიცხავს ე. წ. შინაგანი მიზეზის ცნებას. მიზეზი ყოველთვის გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ერთიანობაა. მარტო შინაგანი მიზეზის დაშვება ივიეა, რაც ბარონ მიუნჰაუზენის მიერ თავისივე საკუთარი ხელებით საკუთარი თავის ამოთრევა ჭაობიდან, ე. ი. სასწაული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ძირითად მიზეზებს გარემომცველ მოვლენებში, კერძოდ ე. წ. ეტალონური ჯგუფების არსებობაში ეძებენ. გარეშე ფაქტორებს საერთოდ, ეტალონურ ჯგუფებს, კერძოდ, უეჭველად შეუძლიათ გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ, ბიძგი მისცენ დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ იქცევიან მის განმსაზღვრელ ფაქტორად. **დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელ მიზეზად**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგანი ფაქტორების, კერძოდ ე. წ. ეტალონური ჯგუფების არსებობის მიჩნევა, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ გარკვეულ წილად ანთავისუფლებს დამნაშავეს პასუხისმგებლობისაგან (ყოველი შემთხვევაში თუ იურიდიულ პასუხისმგებლობას არა, მორალურ პასუხისმგებლობას მაინც ეტალონური ჯგუფის წევრები ვერ გაექცევიან), ვერავითარ შემთხვევაში ვერ აგვიხსნის, რატომ მაინცდამაინც პეტრე და ივანე დაადგა დანაშაულის გზას, მაშინ როცა იმავე ეტალონური ჯგუფის წარმომადგენლები პავლე და ილია ასეთ გზას არ დაადგნენ? ეტალონური ჯგუფების არსებობა, რომ დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი არ არის, ამას ისევე გელბახიანის მაგალითი ადასტურებს. იგი მართლაც, როცა შედარებით ახალგაზრდა ადამიანი სააფთიაქო სამმართველოს უფროსად დააწინაურეს, ის მაშინვე დანაშაულებრივი ქმედების გზას დაადგა (გავიხსენოთ გახმაურებული „წურბელების საქმე"), თუმცა იმ დროს არავითარი შესაბამისი ეტალონური ჯგუფები არ არსებობდა არც შეიძლებოდა არსებულიყო! გელბახიანის დაცემა განაპირობა არა იმდენად იმ დროს რესპუბლიკაში არსებულმა სიტუაციამ, რამდენად მისმა პირადმა მანკიერმა თვისებებმა. სავსებით სწორია ვ. გრიგოლავა, როცა წერს, რომ „სიტუაცია" უმთავრესად ფსიქოლოგიური ცნებაა და გულისხმობს არა უბრალოდ ობიექტურ გარემოს, არამედ გარემოს სუბიექტთან მიმართებაში და რომ იმდროინდელი „სიტუაციის" დიდ ნაწილს უდავოდ თვით გელბახიანი წარმოადგენდა[1].

რასაკვირველია, შეცდომა ყველას შეუძლია მოუვიდეს, ზოგჯერ იდეურ ადამიანსაც კი, მაგრამ შეცდომა შეცდომას გააჩნია. ღრმა შინაგანი იდეური რწმენის მქონე ადამიანი, ნამდვილი კომუნისტი, რა ვითარებაშიც არ უნდა მოხდეს იგი, რა ღრმადაც არ იყოს დარწმუნებული თავისი არასწორი ქმედების დაუჯელობაში, სულ ერთია, სისხლის სამართლის დანაშაულს მაინც არ ჩაიდენს! ეს აქსიომაა, რომელსაც გამონაკლისი არა აქვს. დანაშაულებრივი ქმედება და ღრმა შინაგანი იდეური რწმენა შეუთავსებადი, ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია.

დანაშაულებრივი ქმედების გარეგანი და შინაგანი ფაქტორების თანაფარდობის სწორი გაგებისათვის აუცილებელია გაირკვეს მიზეზისა და პირობების თანაფარდობის რთული საკითხი. როგორია დამოკიდებულება მიზეზსა და პირობებს შორის და რა გავლენას ახდენენ პირობები დანაშაულებრივ ქმედებაზე?

პირობებისა და მიზეზის ცნებები ერთმანეთისაგან განუყრელია. ჩვენი აზრით, პირობები მიზეზის არა უბრალო თანხმლები, მისი მოქმედების ხელშემწყობი (თუ ხელშემშლელი) მოვლენებია, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, არამედ თვით მიზეზის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტებია. მიზეზის ცნება გულისხმობს, შეიცავს პირობების ცნებას. მიზეზის წარმოდგენა ისე, თუ პირობები არ წარმოვიდგინეთ, შეიძლება მხოლოდ აბსტრაქციაში. მაგრამ ეს ნამდვილი მიზეზი კი არ იქნება, არამედ როგორც განყენებული, უმოქმედო საგანი. მიზეზი ყოველთვის მოქმედებაა, მოქმედება კი პირობების გარეშე შეუძლებელია. ამდენად მიზეზი არ არსებობს პირობებისაგან დამოუკიდებლად.

---

1 ვ. გრიგოლავა, ფიქრები სასამართლო პროცესის შემდეგ. „საბჭოთა სამართალი", № 5, 1976, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზი ყოველთვის შეიცავს სულ მცირე ორ კომპონენტეს. რას წარმოადგენენ ეს კომპონენტები პირობების მიმართ? ჩვენი აზრით, მიზეზის შემადგენელი კომპონენტები სხვა არაფერია, თუ არა პირობათა გარკვეული ერთობლიობა. მიზეზი არის პირობათა ერთი კომპლექსის (მიზეზის ერთი კომპონენტის) ზემოქმედება პირობათა მეორე კომპლექსზე (მიზეზის მეორე კომპონენტზე). აქედან გამომდინარე, პირობები, ისევე როგორც მიზეზის კომპონენტები, ორ ნაწილად — გარეგან და შინაგან პირობებად იყოფა.

პირობების ცნების ეს გაგება, გარკვეული აზრით, ზედმეტს ხდის მიზეზისა და პირობების თანაფარდობის საკითხის დასმას, რადგან, მიზეზი და პირობები განუყოფელი, განუყოფელი არიან, მუდამ ერთად არსებობენ და მოქმედებენ. პირობების ერთიანობა ზოგჯერ ჩამოყალიბდება მიზეზის სახით და ახალი მოვლენის წარმოშობას განაპირობებს, ზოგჯერ კი ვერ ჩამოყალიბდება მიზეზის სახით და ამდენად განვითარებაში (ახლის წარმოშობაში) არსებით როლს ვერ ასრულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზეზის არსებობა შეუძლებელია პირობების გარეშე, პირობების არსებობა კი შესაძლებელია ისე, რომ ისინი მიზეზის სახით არ ჩამოყალიბდნენ, მის შემადგენელ კომპონენტად არ გარდაიქმნან.

მიზეზისა და პირობების თანაფარდობის ამგვარი გაგებით შესაძლებელია ავხსნათ ის მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე ეტალონური ჯგუფის წევრები, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ გარეშე ზემოქმედებას განიცდიან, ამის მიუხედავად საზოგადოებაში საკმაოდ განსხვავებულ ხასიათს, ქცევას ავლენენ: ერთნი მეტ-ნაკლებად პატიოსნად შრომობენ და ხალხისათვის სარგებლობაც მოაქვთ, მაშინ როცა მეორენი დანაშაულის გზას ადგებიან და საზოგადოებისათვის ზიანი მოაქვთ. აქ მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა განსხვავებულ შინაგან პირობებში, მათთვის დამახასიათებელ პირად შინაგან თვისებებში უნდა ვეძებოთ. დაახლოებით ერთნაირ გარეგან პირობებში მყოფი ერთი და იგივე ეტალონური ჯგუფის წევრები ერთმანეთისაგან ძირითადად სწორედ შინაგანი პირობებით განსხვავდებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივ გარეშე ზემოქმედება დანაშაულებრივი ქმედებისაკენ ყველა მათგანის საშოქმედო პროგრამად, შინაგანი ქცევის ნორმად არ გადაიქცევა, რაც ერთხელ კიდევ ნათელყოფს მატერიალისტური დიალექტიკის ჭეშმარიტებას, რომ გარეგან და შინაგან პირობათა თანაფარდობაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ შინაგან პირობებს ეკუთვნის.

მიზეზისა და პირობების თანაფარდობის ზემოაღნიშნული გაგებიდან გამომდინარე დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობი პირობები ძალზე ზოგადად, სისტემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ: /დ(გხპ)→პ(დმშპ)=პ(დქ), სადაც დ(გხპ) მიზეზის გარეგანი კომპონენტი — დანაშაულის ხელშემწყობი გარეგანი პირობებია, პ(დმშპ) მიზეზის გარეგანი კომპონენტი — დანაშაულისათვის მზაობის შინაგანი პირობებია, ხოლო პ(დქ) — შედეგი — პიროვნების დანაშაულებრივი ქმედება. გასაგებია, რომ ჩაიდენს თუ არა ესა თუ ის პიროვნება დანაშაულს, ეს დამოკიდებულია არა იმდენად და არა მარტო გარეშე ხელშემწყობ პირობებზე, რამდენადაც თვით ამ ადამიანზე, მის პიროვნულ თვისებებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობი პირობები ქმნიან დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება სინამდვილედ გადაიქცეს მხოლოდ მაშინ, როცა იმოქმედებს ისეთ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნებაზე, რომელიც თავისი რაობით მზადაა ასეთი დანაშაულისათვის. თუ დანაშაულის ხელშემწყობ გარეშე ფაქტორებს მოცემულ პირობაში არ დახვდება ხელსაყრელი ნიადაგი ამ პიროვნების რაღაც უარყოფითი მიდრეკილებების, ნეგატიური თვისებების სახით, ისე დანაშაულებრივი ქმედების შესაძლებლობა შესაძლებლობად დარჩება და არავითარ შემთხვევაში სინამდვილედ არ გადაიქცევა.

მიზეზისა და პირობების თანაფარდობის ამგვარი გაგებით დამნაშავეობის პროფილაქტიკაში ძირითადად ორი მიმართულება ისახება: პირველი — ბრძოლა დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობი გარეგანი პირობების აღმოსაფხვრელად და მეორე — ადამიანთა კომუნისტური აღზრდა. არ შეიძლება იყოს ორი აზრი იმაზე, რომ დამნაშავეობის პროფილაქტიკის ერთადერთი მაგისტრალური ხაზი არის სწორედ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. კომუნისტურად აღზრდილი ადამიანი — ეს ის ადამიანია, რომელსაც აქვს მეცნიერული მსოფლმხედველობა და ღრმა იდეური რწმენა, მაღალი მორალური თვისებები, დიდი შინაგანი კულტურა, რომლისთვისაც შრომა არის პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება. ასეთი ადამიანი, ჯოჯოხეთურ პირობებშიც რომ მოხვდეს, ცდუნებას არასოდეს აჰყვება და დანაშაულებრივი ქმედების გზას არ დაადგება.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. პარტიის XXV ყრილობამ განაზოგადა მოწინავე პრაქტიკა და მიუთითა ადამიანთა აღზრდის მთელი პროცესისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობაზე, რაც იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფას ნიშნავს. აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა გულისხმობს აგრეთვე აღმზრდელობითი ზემოქმედების კეთილსასურველი გავლენის ქვეშ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მოქცევას. ეჭვი არ არის, რომ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს დამნაშავეობის მკვეთრ შემცირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა— თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

ა. აბესაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში თანდათან იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ ეს ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივ განვითარებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას, რაც თავის მხრივ საშუალებას აძლევს საზოგადოების თვითეულ წევრს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მოქალაქეთა სოციალური და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ბოლო ხანს კიდევ უფრო გაუმჯობესდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივმოქმედი კომისიებისა და დეპუტატების საქმიანობა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისადმი პარტიის დაუღალავი ზრუნვა შემთხვევითი არ არის. ისინი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ და ძალაუფლებას ახორციელებენ შესაბამისი აღმასკომებისა და მათთან მოქმედი საზოგადოებრივი ორგანოების მეშვეობით.

მათ შორის ერთ-ერთი ქმედითი და განსაკუთრებული რგოლია ადმინისტრაციული კომისიები.

ადმინისტრაციულ კომისიას პასუხსაგები ამოცანები აკისრია პიროვნების სამართლებრივ აღზრდაში, მისი მართლშეგნების ჩამოყალიბებაში. დარწმუნებისა და იძულების მეთოდის გამოყენებით კომისიები პრაქტიკულად ებრძვიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაშაულობათა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

საჟურნალო სტატიაში შეუძლებელია ადმინისტრაციული კომისიის საქმიანობის ყველა ასპექტის განხილვა. ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა მეშვეობითაც უკეთ გამოჩნდება სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების ჩაბმის ამ ქმედითი ფორმის სოციალური შინაარსი.

ადმინისტრაციული კომისიის საქმიანობის მიზანია მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების პატივისცემისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

ადმინისტრაციული კომისიის ყურადღების ცენტრშია ადამიანი. ის ზრუნავს მისი პოლიტიკური, სამართლებრივი განვითარებისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის, რაც პარტიის მიერ გამოცხადებულია კომუნისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად. „ჩვენს დღეებში, გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, აღნიშნავდა ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, — არ არის და არაფერი შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი. ადამიანი ჭეშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი საუნჯეა, ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია"[1].

ის დიდი ძვრები, რაც ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს, ეკონომიკის შემდგომ მძლავრ აღმავლობასთან ერთად, მიზნად ისახავს მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათი უფლებების სრულ რეალიზაციას. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭომ, თვითეულმა მისმა კომისიამ და დეპუტატმა. მთავარი, რაც ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში უნდა დამკვიდრდეს, არის მუშაობის ლენინური სტილი, ეს კი ლ. ი. ბრეჟნევის განმარტებით — არის შემოქმედებითი სტილი, რომლისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი, რომელიც გამსჭვალულია ყველა საზოგადოებრივ პროცესისადმი მეცნიერული მიდგომით და გულისხმობს მაღალ მოთხოვნილებას, საკუთარი თავისა და სხვებისადმი, გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას[2].

სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის კიდევ ერთი დადასტურებაა ადმინისტრაციული კომისიების შექმნის წესი. ეს კომისიები ყალიბდება საბჭოების დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომლის ხელმძღვანელადაც კანონმდებელს მიზანშეწონილად მიაჩნია იყოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან აღმასკომის რომელიმე წევრი. კომისიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და არა ნაკლებ 4 წევრი. ამით კანონმდებელმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ადმინისტრაციული კომისიის მნიშვნელობას. თუ რომელიმე აღმასკომში არ ხერხდება კომისიას ხელმძღვანელობდეს ასეთი პირი, მაშინ ამ პოსტზე უნდა შეირჩნენ საქმით დაინტერესებული, ნიჭიერი ორგანიზატორები, რომლებიც მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას მიუდგებიან მაღალი მომთხოვნელობით და სწორად გამოიყენებენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ადმინისტრაციული იძულების ზომებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამომრჩეველთა განაწესების საფუძველზე კომისიის წევრ დეპუტატთა მიერ წამოყენებული წინადადებანი პირველ რიგში უნდა ასახავდნენ კონკრეტული რაიონისა თუ ქალაქის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მათი სუსტი კავშირი აღმასკომის იურიდიულ სამსახურთან. ბოლო ხანს მიღებულ დადგენილებათა შედეგად სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების სისტემაში იურიდიული სამსახური რიცხობრივად გაიზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 900-მდე იურისკონსულტი მუშაობს. აღმასკომების, სამინისტროებისა და სხვა უწყებების ბევრი ხელმძღვანელი უკვე დარწმუნდა, რომ სახალხო მეურნეობაში

[1] იხ. ე. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბილისი, 1976 წ. გვ. 136.

[2] იხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი 1976 წ. გვ. 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიულ სამსახურს დიდი ეკონომიური ეფექტი მოაქვს. ასე მაგალითად, მარტო რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო სამინისტროში იურიდიული სამსახურის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად დებიტორიული დავალიანება 14 მილიონი მანეთიდან 1976 წელს 4 მილიონამდე შემცირდა. იურიდიული სამსახურის მეშვეობით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდა 800 ჰექტარი მიტაცებული მიწა და სხვა.

ადმინისტრაციული კომისიის თვითეული წევრი მოვალეა იდგეს სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე, აქტიურად იბრძოდეს ისეთი დარღვევების წინააღმდეგ, როგორიცაა ლოთობა, მუქთახორობა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა, რომელთაც რესპუბლიკაში დღეს შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადათ.

კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ ადმინისტრაციული კომისიები განიხილავენ საქმეებს მხოლოდ ადმინისტაციული დარღვევების შესახებ და გადაცდომის შემთხვევაში გამოიყენებენ ადმინისტრაციული იძულების ზომებს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს სახელმწიფო-ხელისუფლებრივი ფუნქციების გადაცემას საზოგადოებრივი ორგანოებისათვის, რაც თანამედროვე ეტაპზე ჩვენი სახლემწიფოს დამახასიათებელი ნიშანია.

დებულებით კომისიის მიერ დადებული ადმინისტრაციული სასჯელი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს თვით კომისიის, აგრეთვე აღმასკომის მიერ, რომელთანაც არსებობს კომისია, ანდა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

კომისიას უფლება აქვს ადმინისტრაციული სასჯელის დადების ნაცვლად მასალები დამრღვევის მიმართ გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საჭირო დოკუმენტები, გამოიძახოს განმარტების მისაღებად თანამდებობის პირები და მოქალაქენი. ამგვარად, ადმინისტრაციული დავების საქმის წარმოების დროს, რასაც იურისტები ადმინისტრაციულ პროცესს უწოდებენ, მოქალაქე ობიექტურად გარანტირებულია დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესი.

კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადმინისტრაციული კომისიისა და ადმინისტრაციული ორგანოების სწორი კავშირის აუცილებლობას. დღეისათვის ასეთი კავშირი სრულყოფილი არ არის. ამას ადასტურებს არა მარტო მილიციის ორგანოებისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ კომისიებისადმი გადაცემულ საქმეთა სიმცირე, არამედ შემოსული მასალების ხარისხიც. ეს ადმინისტრაციულ კომისიას ურთულებს მუშაობას. 1976 წელს ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა, მაგალითად, თბილისის კიროვის რაიონში, სადაც ნარკომანიისათვის ეჭვმიტანილი გურჩევის, ნებიერიძისა და სხვათა საქმის მასალებში არეული იყო ეჭვმიტანილთა გვარები. ერთი დღის მაგიერ ერთი თვე და 7 დღე დასჭირდა იმავე რაიონის მილიციიდან ადმინისტრაციულ კომისიაში სათანადო მასალების გაგზავნას, რომელიც ეჭვმიტანილი ს. ბაბაევის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შეეხებოდა.

გვხვდება პირიქითაც, როცა მილიციისა და პროკურატურის ორგანოები დროზე გადასცემენ საქმეებს, ადმინისტრაციული კომისიები კი არ იჩენენ სათანადო ინიციატივას და მონდომებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალდარღვევების აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომისიების გამსვლელი სხდომების ჩატარებას დამრღვევის სამუშაო ადგილზე. დებულებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ადმინისტრაციულ კომისიებს შეუძლიათ საქმეების განხილვა დამრღვევის სამუშაო, სასწავლებლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ბევრი კომისია ამას არ იყენებს.

ბრალეული პირების დადგენა და ადმინისტრაციული ზომების მეშვეობით აღზრდა, რომელიც სიმძიმით მნიშვნელოვნად განსხვავდება სისხლის სამართლებრივი სასჯელისაგან, თავიდან გვაცილებს სერიოზული დანაშაულების ჩადენას. სახელმწიფო ებრძვის ასეთ დარღვევებს მმართველობის ორგანოების მეშვეობით, ცალკეულ შემთხვევებში კი სასამართლო წესითაც. დღეისათვის რესპუბლიკაში ძალაშია 20-ზე მეტი ბრძანებულება, რომელიც აწესებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. თუ ამას დავუმატებთ საკავშირო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესაბამის აქტებს, თვალში გვეცემა, რომ სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯილ პირთა წრე არა თუ კლებულობს, არამედ ფართოვდება. ეს პროცესი ბუნებრივია დღის წესრიგში აყენებს ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის საკითხს. ეს სამუშაო კავშირის მაშტაბით უკვე დაწყებულია.

ადმინისტრაციული დავების წარმოებისა და განხილვის წესი, საკითხის გადაწყვეტის ოპერატიულობა და სისწრაფე სრულიადაც არ გულისხმობს კომისიის მიერ კანონის გვერდის ავლას ან საკითხის ზერელე განხილვას. მოქმედებს რა კანონის საფუძველზე ადმინისტრაციულმა კომისიამ პიროვნების მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა გამოიყენოს როგორც გაფრთხილება, ისე ჯარიმა. ქალაქად, სადაც ადმინისტრაციული კომისიები ყველაზე მეტად იხილავენ საქმეებს პასპორტების დაკარგვის თაობაზე, ხშირად იყენებენ ჯარიმას. ასე მაგალითად, 1975 წელს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ადმინისტრაციული კომისიის 92 საქმიდან, რომლებიც მოქალაქეთა პასპორტის დაკარგვას შეეხებოდა, დაჯარიმებულია 92, ხოლო გაფრთხილებულია 2 მოქალაქე. იგივე ტენდენციაა 1976 წელსაც.

ადმინისტრაციული დავების ნაწილი წყდება სასამართლოში. ასეთ დავებს მიეკუთვნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეები, დავები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებელი დადგენილების დარღვევის თაობაზე, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ, ნარკომანიისა და ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდის შესახებ და სხვა. ყველა ამ ადმინისტრაციული დარღვევების თაობაზე მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სათანადო ბრძანებულებები.

სასამართლოებმა გაფრთხილებასა და ჯარიმასთან ერთად დამრღვევი პირების მიმართ შეიძლება გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაპატიმრება, გამასწორებელი სამუშაოები, ქონების კონფისკაცია და სხვა.

ბოლო წლებში სასამართლოები ბრალეულ პირებს ხშირად უფარდებენ ადმინისტრაციულ პატიმრობას. ეს მართალია არ იწვევს პირის სასამართლოს, მაგამ მას მოსდევს მცირე ხნით მოქალაქის საზოგადოებისაგან იზოლაცია. (მაგ. წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობა 10-დან 15 დღემდე). ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში სასამართლოები ფართოდ იყენებენ ჯარიმებს, რაც ერთგვარად ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებას ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ.

სასამართლოსაგან განსხვავებით ადმინისტრაციული კომისია დამრღვევის მიმართ იყენებს სასჯელის მხოლოდ ორ ფორმას — გაფრთხილებასა და ჯარიმას. ორივე — სასჯელის დამოუკიდებელი სახეა და მისი შეფარდებისას კომისია უნდა გამომდინარეობდეს სოციალისტური კანონიერების, ჰუმანიზმისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან.

იმ კანონებს შორის, რომელნიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრძანებულება, რომელიც ეხება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებების წინააღმდეგ ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ დღეისათვის რესპუბლიკაში არც ადმინისტრაციული კომისიები და არც სახალხო სასამართლოები ჯერ კიდევ არ ეწევიან ეფექტურ ბრძოლას ამ დარღვევების წინააღმდეგ, რის გამო სახალხო მეურნეობაში კვლავ ბევრია დანაკარგები. ამიტომ ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება ამ ხაზით გადაუდებელი ამოცანაა.

ბოლო ხანს, თუმცა მნიშვნელოვნად გაძლიერდა კონტროლი ადმინისტრაციული კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების განხორციელებისადმი, ეს მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე კვლავ ეპიზოდურად იხილავენ ადმინისტრაციული კომისიის ანგარიშებს. ზოგჯერ კომისია იხილავს მხოლოდ რეკომენდებულ საკითხებს და არ ჩანს კომისიის წევრთა შემოქმედებითი ინიციატივა. კომისიების მუშაობას ჯერ კიდევ აკლია ოპერატიულობა. მაგალითად, მახარაძის რაიაღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა ადმინისტრაციული სახდელები დამრღვევი პირების მიმართ გამოყენებული იყო ქმედობის ჩადენიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას.

ბევრი რაიონის სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების ყურადღების მიღმაა დარჩენილი მიწათსარგებლობის წესის დარღვევის, ადმინისტრაციული წესით დასჯადი ავტოსაგზაო, აგრეთვე ტყის დაცვის წესების ხელყოფის ფაქტები. ზოგგან ადმინისტრაციულ კომისიას ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო კავშირი მილიციის საყრდენ პუნქტებთან და არ აწარმოებს იმ პირთა აღრიცხვას, ვისაც არაერთხელ აქვს ჩადენილი დანაშაული.

ადმინისტრაციული კომისიის ბევრი წევრი ხშირად სუსტად იცნობს დირექტიულ ორგანოთა იმ დადგენილებებს, რომლებიც დანაშაულობასთან ბრძოლისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების საკითხებს შეეხება.

ადმინისტრაციული კომისიის წევრთა ერთი ნაწილის იურიდიული ცოდნის დონე დაბალია. მაგალითად, თბილისის კალინინის და კიროვის რაიაღმასკომების კომისიებში ვერ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რაც შეუძლია მოგვცეს რაიონში არსებულმა საზოგადოებრივმა იურიდიულმა კონსულტაციებმა, ლექტორიუმებმა და სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტებმა.

ადმინისტრაციულ კომისიებს ჯეროვნად არ ეხმარება აგრეთვე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა

და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო მეთოდური საბჭო. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ, პირდაპირ მოითხოვს, რომ სხვა ორგანოებთან ერთად იურიდიული დაწესებულებები დახმარებას უწევდნენ დეპუტატს სამართლებრივ საკითხების გარკვევაში, რაც მისი სადეპუტატო საქმიანობის დროს წარმოიშვება.

ბევრ აღმასკომში იმის გამო, რომ ადმინისტრაციული კომისიის წევრთა შორის ჯერ კიდევ არ არის განაწილებული ფუნქციები, გვხვდება გაუპიროვნების, დავალებების შეუსრულებლობის ფაქტები. ეს ასუსტებს კომისიების ბრძოლისუნარიანობას და აკნინებს ამ საზოგადოებრივი ორგანოს როლს სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არის ფაქტები, როცა იურიდიული სამსახურისა და ადმინისტრაციული კომისიის მუშაკებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ და არ უქმნიან მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს, რასაც შესაბამისი აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

ადმინისტრაციული კომისიების ავტორიტეტის ამაღლებას ხელს შეუწყობს საქმიანი კავშირის განმტკიცება, შიდასაუწყებო კონტროლისა და განსაკუთრებით სახალხო კონტროლის ორგანოებთან. მხედველობაშია მისაღები, რომ ფულადი დანარიცხები, რასაც სახალხო კონტროლის ორგანოები იყენებენ თანამდებობის პირების მიმართ სხვადასხვა დარღვევისათვის, ფაქტიურად ადმინისტრაციულ სასჯელს წარმოადგენს.

წლების მანძილზე, თითქმის არაფერი არ კეთდებოდა აღმასკომების ადმინისტრაციული კომისიებისა და იუსტიციის დაწესებულებათა — ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების საქმიანი კავშირის განმტკიცებისათვის. დღეს ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

გადაჭრით გაუმჯობესებას საჭიროებს აგრეთვე ადმინისტრაციული კომისიების კავშირი შესაბამის ამხანაგურ სასამართლოებთან და სახალხო რაზმელებთან, რომლებიც როგორც საზოგადოებრივი ორგანოები, მოწოდებულნი არიან აქტიურად შეუწყონ ხელი მოქალაქეთა აღზრდას შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი დაცვის სულისკვეთებით.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების უყურადღებობა და უკონტროლობა. ასე მაგალითად, პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა ადმინისტრაციული კომისიების მიერ ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის განხილვის კანონიერების შემოწმება. ადგილებზე სასამართლოს და პროკურატურის ორგანოთა მუშაკები ადმინისტრაციული კომისიის წევრებს ჯერ კიდევ ნაკლებ კვალიფიციურ დახმარებას უწევენ. კომისიები სუსტად მარაგდებიან იურიდიული ლიტერატურით. თავი რომ დავანებოთ სხვა საცნობარო კანონმდებლობას, დღეს იშვიათი გამონაკლისის გარდა ვერსად შეხვდებით დებულებას ადმინისტრაციული კომისიების შესახებაც.

ის დიდი ღონისძიებანი, რაც დღეს რესპუბლიკაში ხორციელდება კანონიერების განმტკიცებისათვის, დღის წესრიგში აყენებს ადმინისტრაციული კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიის როგორც ხელმძღვანელის, ისე თვითეული მისი წევრის იდეურ-თეორიული და საქმიანი დონის ამაღლებას. მათი სისტემატური სწავლების საქმეში შეიძლება გამოვიყენოთ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსებიც. საჭიროა ვიფიქროთ კვალიფიკაციის მომზადების უფრო ახალ თანამედროვე ფორმებზეც, რაც პირველ რიგში უნდა აინტერესებდეთ აღმასკომების ხელმძღვანელებს.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრიობის მობილიზაციას დანაშაულობათა აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში.

ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ცა მოიწმინდა, მზე ღიმილით ამობრწყინდა და გაათბო დედამიწა. ნაზი და ნელი ნიავი ჩუმად არხევს ხეების ტოტებს. უჩვეულო სიმშვიდეს დაუსადგურებია თბილისში.

ქუჩებს ადამიანები მიუყვებიან და ფიქრებში გართულნი თითქოს ვერც გრძნობენ გაზაფხულის ამ სილამაზეს. მიდიან აჩქარებული ნაბიჯებით და თან მიჰყვებათ ათასი ფიქრი და საზრუნავი. რამდენი რამ აქვთ გასაკეთებელი, შინ თუ გარეთ. საბჭოს მოედანზე, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოსაკენ მიუხვია მოსამართლე ნინო ნამორაძემ. მასთან შეხვედრა გვინდა, მაგრამ დროს ვერ ვაკარგვინებთ, ვინაიდან დღეს დიდი პროცესი აქვს და დრო არა აქვს. სიტყვა დიდი პროცესი შედარებითი ცნებაა. განა ყოველი პროცესი დიდი არ არის თავისი მნიშვნელობით, რადგან ის ადამიანის ბედ-იღბალის გადაწყვეტას უკავშირდება? რამდენიმე წუთიან საუბარში იგი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს იხსენებს.

დაიბადა ჩვენს დედაქალაქში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1949 წელს მუშაობა დაიწყო პირველი მაისის რაიონის სასამართლოში მდივნად. 1951—52 წლებში იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების რევიზორია. 1953 წლიდან დღემდე — მოსამართლე, ჰქონდა და აქვს საზოგადოებრივი დავალებები. წლების განმავლობაში იყო პარტორგანიზაციის მდივანი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი; დაჯილდოებულია საიუბილეო მედლით შრომითი მამაცობისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის გამო.

მზე სარკმლიდან ირიბად ჩამომდგარიყო და თითქოს ჩვენს საუბარს ათბობდა და ლაზათს მატებდა.

როცა ქალის ინტელექტუალურ ღირსებათა შექება სურთ, იტყვიან ხოლმე მამაკაცურად აზროვნებსო. ნინოსთან საუბრისას რატომღაც ეს გამახსენდა, თანაც ვიგრძენი, რომ ის საოცრად ქალურია, სიმპათიური, გაუბზარავი, მთლიანი, მიმზიდველი პიროვნებაა. ცოტა ხნის შემდეგ საუბარი სევდით შეფერადებულ მოგონებებში გადაიზარდა.

1971 წელს ნინო ნამორაძეს მეუღლე გარდაეცვალა — უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, ექიმი.

— ზოგი ადამიანი თავისი არსებობით უზომოდ გვაყვარებს სიცოცხლეს. ასეთად მეჩვენებოდა ჩემი მეუღლე — ამბობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო და თვალზე ცრემლი უკიაფებს, ცრემლი წმინდა, ახლა უკვე სულით ამაღლების, დროის გამო გარდუვალობის შეგუების, დიდი აზრის გამომსატველი. მალე ახერხებს გრძნობების მოთოკვას, და ჩვენც ვაგრძელებთ საუბარს.

ნინო, თქვენ როგორც ქალს, დედას, მოსამართლეს, ალბათ განსაკუთრებით გაღელვებთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული. რას გვეტყვით ამაზე?

— ბავშვს ზრდის ოჯახი, სკოლა, წიგნი, თეატრი... ოჯახში ბავშვს ყველა წევრი ზრდის. თანმიმდევრული, ღრმად დაკვირვებული, წინასწარ გააზრებული აღზრდისათვის იშვიათად სცალია ვინმეს. არის მეორე უკიდურესობაც. ბავშვებს უსაშველოდ ანებივრებენ, მათაც ბუნებრივად მიაჩნიათ ფუფუნება. უბედურება ის არის, რომ ბავშვები მშობლების სიხარბის, მომსვეჭელობის სულიერი თანამონაწილენი ხდებიან და სწორედ ამიტომ სამუდამოდ უმახინჯდებათ ფსიქიკა. მოზარდი ხშირად მშობლების განხეთქილების მოწმე ხდება და ეს მოუშუშებელ ჭრილობად აჩნდება მის სულს.

სკოლებიც არ დგანან თავის სიმაღლეზე. ბავშვის აღზრდა, მათ მიერ დანაშაულის ჩადენის აღკვეთა უაღრესად რთული პრობლემაა და უცბად ვერ გადაიჭრება. ძნელია აგრეთვე ჩაერიო ათასობით სხვადასხვა ოჯახის ყოველდღიურობაში, სკოლაში...

ნინო აგრძელებს საუბარს.

— ფსიქოანალიტიკოსები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ადამიანში ერთდროულად განუყრელად არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ინსტიქტი — ეროსისა და თანატოსისა (სიკვდილისა). ადამიანში მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა ამ ორ ინსტიქტს შორის, არის შემთხვევა, როდესაც სიკვდილის ინსტინქტი იმარჯვებს. მაგალითად, ადამიანი იმას სჩადის, რაც მას ღუპავს. მან იცის ეს. მაგრამ თავს ვერ აღწევს სიკვდილის ინსტინქტის შემოტევას (ლოთობა, ნარკომანია, თვითაგრესია). დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. ეს იცის მოსამართლემაც და სამართალში მიცემულმაც. პროფესიონალიზმი ჩვენს საქმეში ემოციების მოთოკვასაც გულისხმობს.

ერთი გარჩეული საქმის შინაარსს მოგიყვებით. ნ. რ. რუსეთიდან ჩამოვიდა. თბილისის უნივერმაღში შევიდა, მამაკაცის ჯემპრი და ქალის კაბა მოიპარა. ადრე რამდენჯერმე იყო ნასამართლევი. სელმოკლედ არ ცხოვრობდა. დღემდე ვერ მივმხვდარვარ რამ გახადა იგი ქურდი. ჰყავს შვილი, სამხედრო ოფიცერი. სასამართლოში შვილი სირცხვილისაგან იწვოდა. სამარცხვინო შემთხვევამ სამუდამო დაღი დაასვა მას.

ბევრი ღამე გამიტეხავს. ადამიანის პიროვნება უნდა შეისწავლო ყოველი საქმის განხილვის დროს. უამისოდ შეუძლებელია მისი ბედის გადაწყვეტა. და რა დიდი სიხარულის მომნიჭებელია, შენი შრომის შედეგს რომ ხედავ. ნინოს პირად ფოსტაში აურაცხელი მადლობის წერილია დაგროვილი. მის საუბარში სიამაყით, სიყვარულით გაისმის სიტყვა ადამიანი.

ადამიანი ისეთი უნდა გიყვარდეს, როგორიც სინამდვილეშია. გიყვარდეს ცოდვა-ბრალიანი, ავკარგიანი.

კარგ ადამიანთან შეხვედრის სიხარული მთელი ცხოვრების გზაზე მიგყვება. ვემშვიდობები ნინოს და სამუდამოდ მახსომდება მისი ამაღლებული აღიარება: უნდა გიყვარდეს ადამიანი.

ლონდა ჭანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე

1976 წლის 10-16 ოქტომბერს კალიფორნიაში (აშშ) მოეწყო ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. სხვა პრობლემათა შორის კონგრესზე განიხილავდნენ კოსმოსური სამართლის საკითხებსაც. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გივი ქვანია. ამას წინათ ჟურნალის თანამშრომელი შეხვდა და ესაუბრა მას. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბარს.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: ბ-ნო გივი, გთხოვთ უამბოთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს, თუ რას წარმოადგენს ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია და რატომ განიხილება მის კონგრესებზე საერთაშორისო კოსმოსური სამართლის საკითხები.

გ. ქ ვ ა ნ ი ა: ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია არამთავრობითი (საზოგადოებრივი) საერთაშორისო ორგანიზაციაა; იგი აერთიანებს ორმოცზე მეტი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებას, რომლებიც კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების საქმეს ემსახურებიან. საბჭოთა კავშირიდან ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციაში შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კოსმოსურ საკითხთა სამეცნიერო საბჭო „ინტერკოსმოსი", ხოლო აკადემიკოსი ლ. ი. სედოვი ფედერაციის ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტია. ფედერაცია შეიქმნა 1950 წელს, 1960 წელს კი მასთან დაარსდა კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად 400-დე წევრს აერთიანებს. ესენი არიან საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, რომლებიც იკვლევენ კოსმოსური სამართლის საკითხებს ან ასწავლიან კოსმოსური სამართლის კურსს. ინსტიტუტის წევრებად არჩეულია საბჭოთა იურისტების ერთი ჯგუფი, მათ შორის მეც (1970 წლიდან).

კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს კოსმოსის კვლევა-გამოყენების იურიდიული საკითხების მეცნიერულ დამუშავებას და კოსმოსური სამართლის სწავლებას ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობს იურიდიული განათლების დაწესებულებანი. ამ მიზნის შესაბამისად ინსტიტუტი ყოველწლიურად აწყობს კოსმოსური სამართლის კოლოკვიუმს (ზოგჯერ აგრეთვე სიმპოზიუმს კოსმოსური სამართლის სწავლების შესახებ) ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესების ჩარჩოებში.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: რას გვეტყვით საკუთრივ ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის 27-ე კონგრესის და მასზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის შესახებ?

გ. ქ ვ ა ნ ი ა: ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის 27-ე კონგრესი გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. ლოს-ანჯელესის სამხრეთით მდებარე ადგილას, რომელსაც ანაჰაიმი ჰქვია. აქვე მიმდინარეობდა კოსმოსური სამართლის კოლოკვიუმიც. მასში მონაწილეობის მისაღებად კოსმოსური სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ორგანომ მეც მიმიწვია. კონგრესზე საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ბ. ნ. პეტროვი. დელეგაციაში შედიოდა ოთხი საბჭოთა კოსმონავტი — ლეონოვი, კუბასოვი, სევასტიანოვი, ელისეევი, ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობა კოსმოსის ათვისებასთანაა დაკავშირებული, და ორი იურისტი — „ინტერკოსმოსის" თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ს. ვერეშჩეტინი და მე.

10 ოქტომბერი დაეთმო დელეგატთა რეგისტრაციასა და ამერიკელი მასპინძლების მიერ მოწყობილ ე. წ. „მისასალმებელ მიღებას". კონგრესი გაიხსნა 11 ოქტომბერს და დაიხურა 16 ოქტომბერს. კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა სესიების სახით; სულ გაიმართა 45 სესია. ისინი მიეძღვნა 25 პრობლემას. კოსმოსური სამართალი ერთი მათგანი იყო. კონგრესზე განხილულ სხვა პრობლემათა შორის შეიძლება დავასახელოთ: ასტროდინამიკა, საკომუნიკაციო თანამგზავრები, ბიოასტრონავტიკა, დიდი ენერგიები კოსმოსურ სივრცეში, გაფრენები პლანეტების ატმოსფეროში, კოსმოსური ხომალდის ელექტრონიკა, თანამგზავრთა მონაცემები მეტეოროლოგიისათვის, თანამგზავრთა კონსტრუქციები და მასალები, და ა. შ. სესიების გარდა კონგრესზე გაიმართა პლენარული სხდომებიც (გახსნისა და დახურვის დღეებში), აგრეთვე ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ასამბლეის სხდომა, შეხვედრა „აპოლო-სოიუზის" ეკიპაჟებთან, სტუდენტთა კონფერენცია და სპეციალური ფორუმი ე. წ. კოსმოსური „შატლის" (Shuttle) თაობაზე. „შატლი", რაც ქართულად მაქოს ნიშნავს, ეწოდა ამერიკელ კონსტრუქტორთა მიერ აგებულ თვითმფრინავ-რაკეტას, რომელსაც, ავტორთა ვარაუდით, სატრანსპორტო დანიშნულება ექნება და რომელიც დედამიწის სხვა და სხვა წერტილებს შორის იმოძრავებს კოსმოსური ორბიტის გამოყენებით.

თ ა ნ ა მ შ რ მ ე ლ ი: როგორ მიმდინარეობდა კოსმოსური სამართლის კოლოკვიუმი? რა საკითხები იქნა განხილული?

გ. ე ვ ა ნ ი ა: კოსმოსური სამართლის კოლოკვიუმზე წარმოდგენილი იყო 65 მოხსენება, მათი უმრავლესობა — ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სსრკავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა წერილობით წარადგინა ათი მოხსენება, მაგრამ, ვინაიდან მათი ავტორები კონგრესს არ ესწრებოდნენ, მხოლოდ ზოგიერთი მათგანის მოკლე შინაარსი მოვახსენეთ კოლოკვიუმს მე და ვ. ს. ვერეშჩეტინმა. სახელდობრ, მე მოვახსენე ვ. დ. ბირდუნოვის „დედამიწის დისტანციური ზონდირების მონაცემთა გამოყენების სამართლებრივი პრობლემები" და ი. მ. კოლოსოვის „სუვერენიტეტი კოსმოსურ სივრცეში".

ამასთან დაკავშირებით უთუოდ სინანული უნდა გამოითქვას იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირიდან კოლოკვიუმზე წარდგენილი არ იყო მოხსენებები კოსმოსური სამართლის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა კოსმოსური სივრცის, როგორც იურიდიული ცნების, განსაზღვრება, „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის" განმარტება და მისი სამართლებრივი შედეგები, მომავალში ციურ სხეულებზე მოწყობილი ნაციონალური სადგურების თუ სხვა დანადგარების სტატუსი, კოსმოსის კვლევა-გამოყენების სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისა და მისი კომპეტენციის პრობლემა და ა. შ. ისეთ საერთაშორისო ფორუმებზე, როგორიცაა კოსმოსური სამართლის კოლოკვიუმი, საბჭოთა მეცნიერება უფრო ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც თემატიკის უფრო სრული მოცვისა და მო-

ხსენებათა რაოდენობის, ასევე მოხსენებათა წარდგენის მხრივ თვით ავტორების მიერ. საბჭოთა კავშირი არა მარტო პიონერი და მოწინავე სახელმწიფოა კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების დარგში, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ქვეყანას, სადაც კოსმოსური სამართლის მეცნიერება საკმაოდ მაღალ დონეზეა.

კოლოკვიუმის რეგლამენტის მიხედვით მომხსენებლებსაც და მოკამათეებსაც ეძლეოდათ 10-10 წუთი და პაექრობა გაიხსნა მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნა ყველა მოხსენება. ამგვარად, მოხსენებებს დაეთმო პირველი ხუთი სესია 12-15 ოქტომბერს, კამათს კი — ბოლო ორი სესია 15-16 ოქტომბერს. აღსანიშნავია, რომ ძაექრობა არ შეეხო მოხსენებათა დიდ უმრავლესობას, კერძოდ, მოხსენებებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: კოსმოსური სამართლის განვითარება (ზოგადი კანონზომიერებანი) და მომავალი, კოსმოსური სივრცის და საჰაერო სივრცის გამიჯვნის საკითხი, კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების ევროპული საგენტოს საქმიანობა, დედამიწის დისტანციური ზონდირების სამართლებრივი საკითხები, საზღვაო თანამგზავრების შესახებ, ციური სხეულების შესაძლო კოლონიზაცია მომავალში, კოსმოსური „მაქო" და სამართალი, გეოსტაციონური ორბიტის სამართლებრივი მოწესრიგება, რადიოტალღების (სიხშირეთა) განაწილება პასიური სამეცნიერო მიზნებისათვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება კოსმოსურ სივრცეში, კოსმოსში გაშვებული ობიექტების რეგისტრაცია და სხვ.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღნიშნული თემატიკა არ იყოს აქტუალური, ანდა შესაბამისი მოხსენებები საყურადღებო არ ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ კამათი თავიდანვე უმთავრესად ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემის ირგვლივ გაიშალა, ბოლომდე ამ პრობლემების ფარგლებში დარჩა და გამონაკლისის სახით შეეხო მხოლოდ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, იურიდიული პირების საქმიანობას კოსმოსური სივრცის გამოსაყენებლად, ან კიდევ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასა და კომპეტენციას.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: რომელია ის ორი პრობლემა, რომლებიც დისკუსიის მთავარი საგანი გახდა, და როგორ წარიმართა მათი განხილვა?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: ზემოხსენებული ორი პრობლემა, რომლებიც პაექრობის მთავარი საგანი გახდა, შემდეგში მდგომარეობს: ჯერ ერთი, როგორ უნდა გვესმოდეს გამოთქმა „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა", რა იურიდიული შედეგები მოსდევს მას, და მეორე — როგორ უნდა განისაზღვროს მთვარისა და სხვა ციური სხეულების ბუნებრივი რესურსების სამართლებრივი სტატუსი.

პირველ პრობლემას თავიანთ მოხსენებებში შეეხნენ ამერიკელები ოკოლი და გოლდი, აგრეთვე იუგოსლავიელი კრსტიკი, დისკუსიის დროს კი მასზე გაამახვილეს ყურადღება ამერიკელმა მეცნიერებმა — კრისტოლმა, გოროუვმა და ფინჩმა. მომხსენებლები ამტკიცებდნენ, თითქოს გამოთქმა „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა" უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში გამოყენებული იყოს კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების იურიდიული დახასიათებისათვის; აქედან გამომდინარე, მომხსენებლები ასკვნიდნენ, რომ კოსმოსური სივრცე, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით, უნდა განიხილებოდეს როგორც საერთო საკუთრება, ხოლო თვით კაცობრიობა — როგორც სამართლის სუბიექტი.

ამ კონცეფციის მიზანია იმის დასაბუთება, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების შედეგები, კერძოდ, მთვარის და სხვა ციური სხეულების ბუნებრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი რესურსების ექსპლუატაციის ნაყოფი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, როგორც სამართლის ერთიან სუბიექტს, საერთო მესაკუთრეს, ე. ი. „თანაბრად“ უნდა ნაწილდებოდეს ყველა სახელმწიფოზე იმისგან დამოუკიდებლად, თუ სახელდობრ რომელი სახელმწიფოები ეწევიან ასეთ ექსპლუატაციას. პაექრობისას პროფ. კრისტოლმა და პროფ. გოროუვმა სხვადასხვანაირი არგუმენტაციის საფუძველზე ეჭვი გამოთქვეს მომხსენებელთა ასეთი კონცეფციის მიმართ, ფინჩი კი იმით შემოიფარგლა, რომ დასაბუთებულად არ მიიჩნია მომხსენებელთა თეზისი კაცობრიობის სამართალსუბიექტობის შესახებ.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ამ პრობლემის განხილვაში და საერთოდ როგორია თქვენი შეხედულება მასზე?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: დიახ, მივიღე.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩემი გამოსვლის მიზანი იყო დამემტკიცებინა, რომ „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა“ მორალურ-ფილოსოფიური შინაარსის მქონე გამოთქმაა და არა საერთაშორისო-სამართლებრივი დახასიათება კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულებისა. ასეთი მორალურ-ფილოსოფიური მნიშვნელობით „კაცობრიობის საერთო მემკვიდრობას“ წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ჩვენი პლანეტა თავისი ეკოლოგიური სისტემითა და ბუნებითი წონასწორობით, რომელიც თანამედროვე კაცობრიობამ მემკვიდრეობით მიიღო წინა თაობებისაგან და რომელსაც იგი უნდა გაუფრთხილდეს საკუთარი თავისა და მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის. მაგრამ ეს ჭეშმარიტება თავისთავად არ წარმოადგენს სამართლებრივ პრინციპს, რომელიც მოაწესრიგებდა სახელმწიფოთა შორის დედამიწის ბუნებრივი რესურსების განაწილებას, მათ მიერ ასეთი რესურსების მისაკუთრებას, გამოყენებას და ა. შ. გარდა ამისა, კაცობრიობა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სამართლის ერთიანი სუბიექტი თუნდაც იმიტომ, რომ სამართლის სუბიექტი არ არსებობს სხვა სუბიექტთან თუ სუბიექტებთან სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე, სამართლის სუბიექტის უფლებამოვალეობების გარეშე ერთმანეთის მიმართ. კაცობრიობის სამართალსუბიექტობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სამართლებრივი ურთიერთობა ექნება სხვა სუბიექტთან, ე. ი. რომელიმე არამიწიერი ცივილიზაციის გონიერ არსებებთან. ამგვარად, თეზისი „კოსმოსური სივრცე, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით, ყველა სახელმწიფოს საერთო საკუთრებაა“ — მოკლებულია იურიდიულ საფუძველს და ვერ გამოდგება ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა კოსმოსის ათვისების შედეგებით სარგებლობა ყველა სახელმწიფოსათვის.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: რას გვეტყოდით ზემოხსენებული მეორე პრობლემის შესახებ?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: ზემოხსენებული მეორე პრობლემის განხილვა კოლოკვიუმზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირველ პრობლემასთან. მას მიეძღვნა პატერმანის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოხსენება და ნაწილობრივ აგრეთვე გოროუვისა და ჰოზენბოლის (აშშ) მოხსენებები. დისკუსიის დროს იგი ყურადღების ცენტრში დააყენეს კრისტოლმა, რეინენმა (ნიდერლანდი), ბოგუშტიგელმა (გფრ), სარკარმა (ინდოეთი) და სტელაკატოსმა (საბერძნეთი). ამ პრობლემაზე გამომსვლელთა უმრავლესობა ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს საერთაშორისო კოსმოსური სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომელიც კრძალავს კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების მისაკუთრებას სახელმწიფოების მიერ, უნდა გავრცელდეს კოსმოსის, ციური სხეულების ბუნებრივ რესურსებზე. ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია როგორც გაეროს 1963 წლის 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბრის დეკლარაციაში, ასევე 1967 წლის ხელშეკრულებაში იმ სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევა-გამოყენებისათვის.

აღნიშნული პრინციპის ამგვარ განვრცობით განმარტებას ყველაზე უფრო თავგამოდებით იცავდა პატერმანი. იგი და ზოგიერთი სხვა მომხსენებელი, ავითარებდნენ რა ამგვარ განმარტებას, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოსმოსისა და ციური სხეულების ბუნებრივი რესურსების მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, რაც იქვე, კოსმოსში უნდა წარმოებდეს, ხოლო თუკი მოპოვებული რესურსები მაინც დედამიწაზე იქნება ჩამოტანილი, მაშინ თვით მოპოვების პროცესზე მკაცრი საერთაშორისო კონტროლი უნდა დაწესდეს, რადგან იგი (ეს პროცესი) ყველა სახელმწიფოს საერთო საკუთრების გაზრდა-გამრავლებას წარმოადგენს. ზემოთ დასახელებულ მომხსენებელთა და მოკამათეთა შორის მხოლოდ გოროუვმა და კრისტოლმა გამოიჩინეს ერთგვარი, შეიძლება ითქვას, კეთილგონიერება, და ფრიად თავშეკავებული სიფრთხილით ეჭვი გამოთქვეს აღნიშნული დასკვნების დასაბუთებულობაში.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: შეეხეთ თუ არა ამ საკითხებს თქვენს გამოსვლაში?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: ჩემი გამოსვლა მიეძღვნა როგორც კოსმოსური სამართლის ხსენებული პრინციპის (მიუსაკუთრებლობის პრინციპის) განვრცობითი განმარტების, ასევე ზემოაღნიშნული დასკვნების კრიტიკას. საერთო სარგებლობის სხვა საერთაშორისო ტერიტორიების, სახელდობრ, ღია ზღვისა და ანტრაქტიკის საყოველთაოდ აღიარებული სტატუსების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მე შევეცადე დამესაბუთებინა, რომ მიუსაკუთრებლობის პრინციპის გავრცელებას კოსმოსური სივრცის, კერძოდ, ციური სხეულების ბუნებრივ რესურსებზე არავითარი საფუძველი არ გააჩნია — არც იურიდიული, და არც მორალურ-პოლიტიკური, რომ მოპოვების ფაქტი მომპოვებელ სახელმწიფოს ანიჭებს საკუთრების უფლების ყველა ელემენტს მოპოვებულ ბუნებრივ რესურსზე, მაგრამ სრულიადაც არ უქმნის მას საკუთრების უფლებას კოსმოსის თუ ციური სხეულის იმ ნაწილზე, სადაც იგი ამ მოპოვებას ეწევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიუსაკუთრებლობის პრინციპის შინაარსი ტერიტორიული, სივრცითი ხასიათისაა და არ მოიცავს ბუნებრივი რესურსების მოპოვება-ექსპლოატაციას.

პროფ. კრისტოლმა ხელმეორედ გამოსვლისას მთლიანად გაიზიარა ჩემი არგუმენტაცია და, როგორც კოლოკვიუმის ორგანიზატორმა, მთხოვა წერილობით ჩამომეყალიბებინა იგი კოლოკვიუმის მასალებში გამოსაქვეყნებლად. ჟურნალის მკითხველებს მინდა ვაუწყო, რომ ჩემი გამოსვლა კოლოკვიუმზე ემყარებოდა იმ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილება ეწევა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის რ. დეკანოზოვის კვლევა საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიათა სტატუსებთან დაკავშირებით.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: კიდევ რა იყო საყურადღებო დისკუსიაში?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: სხვა საკითხთა შორის, რომელთა დაყენება კოლოკვიუმზე ერთგვარი, ჩვენთვის მიუღებელი და უმართებულო ტენდენციურობით გამოირჩეოდა, აღსანიშნავია საკითხი კოსმოსში კერძო იურიდიულ პირთა საქმიანობის შესახებ. მაგალითად, ამერიკელი დიულა თავის მოხსენებაში, უთითებდა რა მის მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლევაზე, მოუწოდებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს, რათა მათ უფრო მეტად იზრუნონ კოსმოსის კვლევა-გამოყენების საქმეში კერძო კომპანიების მონაწილეობის გაფართოებაზე, უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მათ გადასახადების შემცირებით, ფინანსური დახმარებით და ა. შ. ეს მოხსენება მკვეთრად გააკრიტიკა ვ. ს. ვერეშჩეტინმა თავის გამოსვლაში.

თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი: როგორი იყო კონგრესის ორგანიზაციული მხარე და ამერიკელთა მასპინძლობა?

გ. ჟ ვ ა ნ ი ა: კონგრესი საერთოდ კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ამერიკელმა მასპინძლებმა რატომღაც არ გაითვალისწინეს საფრთხე ძალადობისა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკისათვის. კერძოდ, მათი მხრივ მიღებული არ იყო ისეთ დანაშაულთა თავიდან აცილების ღონისძიებანი, როგორიც მოხდა 12 ოქტომბერს, როცა სასტუმრო „ჰოვარდ ჯონსონის“ ვესტიბიულში შეიარაღებულმა დამნაშავემ ორი საბჭოთა დელეგატი გაძარცვა. კონგრესის ორგანიზაციის ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მიუხედავად საკმაოდ დიდი სარეგისტრაციო თანხისა (60 დოლარი თითოეული დელეგატისაგან), კონგრესზე წარდგენილ მოხსენებათა ტექსტების მისაღებად მაინც საჭირო იყო ორ-ორი დოლარის გადახდა და დასვენება-გართობის საერთოდ მდიდარი პროგრამის ზოგიერთ ღონისძიებაში მონაწილეობაც საკმაოდ დიდ საფასურს მოითხოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ვიზოცკი

ცოცხლად ფოლრის გაუჩინარებულნი

(გაგრძელება)*

ეენია ხილკოვი „მამა თედორეს“ ნახევარი წლის წინათ გაეცნო, სწორედ ახალი წლის ღამეს. ფელია ნიკოლაევმა, ეენიას შემცვლელმა, სთხოვა, ღამის ორ საათზე გამოიარე ჩემთან და სასტუმროში ძმაკაცთან მიმიყვანეო.

— იცი, რაშია საქმე? მეგობარს შევუთანხმდი ახალი წელი ერთად გავატაროთ მეთქი, მაგრამ ჩემი ცოლი ყალყზე შედგა, — თქვა ფელიამ, — დაიყინა ახალი წლის გატარება შინ უნდაო. ისეთი „კონცერტი გამიმართა“, ცუდ დღეში ჩამაგდო. ჰოდა, ახლა მინდა ეშმაკობით დავიძვრინო თავი — შინაც ვიყო და ძმაკაცთანაც მოვასწრო შერბენა.

ეენია ხილკოვმა ფელიას გაუარა წრიულ არხთან. ის უკვე ელოდებოდა თავის სადარბაზოსთან. არც თუ ისე მთვრალი იყო. ხილკოვს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც — ფელიას კარგად იცნობდა.

ღამის სამი საათი იყო დაწყებული, როცა სასტუმრო „ლენინგრადთან“ მივიდნენ. შესასვლელთან ხალხი ირეოდა, გაისმოდა ხმაშეუწყობელი სიმღერა, სიცილი.

— დიდი მადლობა, ჩემო კარგო, გაჭირვებიდან რომ მიხსენი, — უთხრა გახარებულმა ფელიამ. ჩემთან პატივისცემა არ დაგეკარგება. კიდევ ერთხელ გილოცავ ახალ წელს... — იგი გამოძვრა მანქანიდან და, როცა სასტუმროსაკენ გაემართა, კინაღამ დაეჯახა ახოვან, წვეროსან მოხუცს, მანქანისაკენ რომ გამოექანა. მოხუცს მშვენიერი ქურქი გადაღეღილი ჰქონდა. უქუდო იყო. ხილკოვს თავდაპირველად უცხოელი ეგონა, მაგრამ მოხუცმა მანქანის კარი გამოაღო და ახალგაზრდული მჟღერი ხმით წმინდა რუსულით უთხრა:

— უფროსო, არაყი მჭირდება სასწრაფოდ! თანაც ბევრი. შამპანურიც. მაგრამ შენ ხომ შამპანური არ დაგაქვს...

ხილკოვმა პასუხი დაახანა, დაფიქრდა, რამე არ შემეშალოსო, და მერე სწრაფად უთხრა:

—დაჯექი, მამილო! არაყს მოგცემ. შესახვევში გადავიდეთ.

— მოხუცი მანქანაში ჩაჯდა, ზამბარებმა საცოდავად დაიჭრიჭინა...

— ათიოდე ბოთლს მიშოვნი?

ხილკოვმა დაუსტვინა:

— რა მადა გქონია! ოთხი ბოთლიღა დამრჩა... ოღონდ გაფრთხილებ, შვიდ მანეთად გაძლევ თითოს. დღესასწაულის ხათრით. — მან გადაუხვია ქუჩიდან და შესახვევში გააჩერა მანქანა.

— ეშმაკმა დალახვროს! — შეიგინა წვეროსანმა. — რას მეუოფა ოთხი. ყურში ჩასასხმელად კი არ მინდა... ხალხმა უნდა დალიოს!

მან ხელი ჩაიქნია:

— კარგი, მომეცი ოთხი. აბა ასი მანეთი, საიდანაც გინდა, იქიდან გააჩინე! კარგი იქნებოდა შამპანურიც... მაგრამ აუცილებელი არ არის. არაყი კი უნდა გააჩინო... მოიტან, ამოხვალ მეექვსე სართულზე. ექვსას ოცდათექვსმეტი ნომერი. თედორე ბორისის ძეს იკითხავ!

ხილკოვი გაოგნებული უსმენდა წვეროსანს. თან ასმანეთიანს იტენიდა ჯიბეში, თან მანქანის საჯდომის ქვეშ აფათურებდა ხელს და არაყის ბოთლებს იღებდა. „რა მოხერხებული ვინმეა, რა თავისის გამტანი კაცი ჩანს“, — ფიქრობდა იგი. არც უცდია შეპასუხებოდა, გაოცებული იყო მოხუცის მბრძანებლური ტონით.

— რაც დაგრჩება, შენია, — უთხრა წვეროსანმა, როცა სასტუმროს მიუახლოვდნენ. — მიდი იმოქმედე...

იგი მკვირცხლად გადმოხტა მანქანიდან და ერთი წამით შემოტრიალდა.

„ნომერს დახედა“. მიხვდა ხილკოვი და მრიცხველის გამოურთველად დააწვა აქსელატორს. არაყი სახლში ჰქონდა. უშამპანუროდაც წავლენ იოლას, გადაწყვიტა მან. მაგრამ როცა ნევის პროსპექტზე მიჰქროდა, გა-

---

* დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5, გვ. 84-86. 1976 წ. № 2, გვ. 83-89, № 3, გვ. 78-88, № 4, გვ. 77-80, № 5, გვ. 70-74, № 6, გვ. 83-89. 1977 წ. № 1, გვ. 82-87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსენდა, რომ ოდესღაც (მაშინაც დღესასწაული იყო) ერთმა მგზავრმა შეიყვანა რესტორან „სევანის“ ბნელ ეზოში და შამპანური იყიდა მზარეულისა თუ ჭურჭლის მრეცხავისაგან. ხილკოვი შევიდა ეზოში და უკანა კარი დააკაკუნა. დიდხანს არ გაუხსნიათ კარი. ბოლოს გამოვიდა ჭუჭყიან ხალათში გამოხვეული, გაბურძგნული კაცი და დაუყვირა:

— რა გინდა?

მერე ყველაფერი ძალიან იოლად მოგვარდა, ათი წუთის შემდეგ ორი ბოთლი შამპანური ეკავა ხელში. თითოში თუმანი მისცა.

ხილკოვს ქნანებოდა ფულის მიცემა — რაც დარჩებოდა ასი მანეთიდან, ხომ თავისი უნდა ყოფილიყო. წვეროსანს შამპანურის იმედი არც კი ჰქონდა. მაგრამ რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ უკარნახა ხილკოვს: „ნუ ბძუნწებ და მეტს მოიგებ. ეს წვეროსანი ვალში არ დაგრჩება. ვერა ხედავ, როგორ ფანტავს ფულს...“

უკვე ოთხი სრულდებოდა, როცა ხილკოვმა მანქანა ხელახლა მიაყენა სასტუმროს. ქუჩები სავსე იყო ხალხით, მოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, მოიმღეროდნენ, ტაქსს რომ შეხედავდნენ, ხელს უწევდნენ და თითქმის ბორბლებში უვარდებოდნენ. რა სათქმელია — ახალი წლის ღამეს ტაქსისტს შეუძლია ბევრი ფული იშოვნოს.

ხილკოვმა მანქანა სანაპიროზე გააჩერა, მოაშორა იგი სასტუმროს სადარბაზოს, სადაც მილიციელი სუფთა ჰაერზე ბოლთას სცემდა. ბოთლები აეროფლოტის ჩანთაში ელაგა. ხილკოვმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა და კარს მიუახლოვდა, მინის კარი ჩაკეტილი დახვდა. მან ფრთხილად დარეკა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა რომ გამოეგდოთ! შვეიცარი წამოვიდა კარისკენ, დიდხანს იცოდვილა, მერე გამოაღო კარი და ჰკითხა: — აქ ცხოვრობ?

— აქ ვცხოვრობ, — წაიბურტყუნა ხილკოვმა.

ახალგაზრდა მორიგე მელიფტე ქალმა ხილკოვი მეექვსე სართულზე აიყვანა. მელიფტე სიმპათიური, საზეიმოდ ჩაცმული ქალიშვილი იყო. ხილკოვმა ჩახედა ღრმად ამოჭრილ კაბის გულში და ჰკითხა:

— როდის ამთავრებ მუშაობას ჩიტუნი? შემიძლია შინ მიგიყვანო. მანქანითა ვარ.

მელიფტემ ნამძინარევი თვალებით შეხედა და გულგრილად უთხრა.

— დამეხსენ, თავი მომაბეზრეთ....

სართულის მორიგე არ ჩანდა. ხილკოვი თვითონ წავიდა ნომრის საძებრად. უხმოდ მიაბიჯებდა ხალიჩაზე და ფიქრობდა: „შეხედე რა გემრიელად მოუწყვიათ სასტუმრო. მდიდრულად“.

იგი შეჩერდა ექვსას ოცდათექვსმეტის წინ და ვიდრე დააკაკუნებდა, მიაყურადა. ახალწლის ზეიმის მსგავსი არაფერი ისმოდა. ხილკოვმა ჯერ ჩუმად დააკაკუნა, მერე მაგრად. კარს უკან სიჩუმე იყო. ხელახლა დაიწყო კაკუნი, ამჯერად ძალზე მაგრად, სახელურსაც ჩამოსწია. შიგნით ერთ წამს გაისმა გაურკვეველი ხმაური, მერე ფეხის ხმა გაარჩია. კარი გაიხსნა, თავი გამოყო წვეროსანმა. უპიჯაკოდ იყო, თეთრი პერანგი ეცვა, პირში სწორი დიდი ჩიბუხი გამოეჩარა და არომატულ თუთუნს აბოლებდა. ხილკოვმა ახლალა შენიშნა, რომ არც ისე მოხუცი იყო, ალბათ სამოცისა იქნებოდა, მეტისა არა.

წვეროსანს გაუხარდა:

— ეს შენა ხარ, უფროსო? როგორ არის საქმე?

ხილკოვმა ჩანთა გაუწოდა.

— ხუთი არაყია, ორი შამპანური...

— ო... ჯადოქარი ყოფილხარ, — უთხრა თედორე ბორისის ძემ. — ერთ წამს მოიცადე, ჩანთას მოგიტან. — მან კარი ოდნავ მიხურა და მიიმალა; ხილკოვს ახლა მხოლოდ შორეული ხმების ბუბუნი და სიცილი ესმოდა.

თედორე ბორისის ძე მაშინვე დაბრუნდა, ხილკოვს ჩანთა მიაჩეჩა და უთხრა:

— შიგ ფულია კიდევ. როდის თავდება შენი ცვლა?

— დილის რვაზე, — უთხრა ხილკოვმა.

— ძალიან კარგი. შვიდზე მოდი, შინამდე მიმიყვან.. .პარკში ერთ საათს რომ დაიგვიანო — ძალიან საშიშია?

— არ არის საშიში... — გაეცინა ხილკოვს.

— ძალიან კარგი, — თვალი ჩაუკრა წვეროსანმა. — როგორც ვხედავ, საქმიანი კაცი ხარ, შეიძლება შენი ნდობა. ასე, შვიდზე. არა? — და მან კარი მოაჯახუნა.

ხილკოვი კიბეზე დაეშვა. ლიფტს აღარ დაუცადა. მიდიოდა და ფიქრობდა, რამდენი ჩაუყარა წვეროსანმა ჩანთაში „ალბათ ოცდახუთმანეთიანი. იმ ასიანიდან ვირის ფეხები და დამრჩა... არაყს ნაკლებად არც სხვაგან გავასღებდი“. მხოლოდ მანქანაში გახსნა ჩანთა და ამოიღო... ასმანეთიანი. გული სიხარულით შეუტოკდა. „ხ-ხ-ხელგაშლილი კაცია, — მოწონებით გაიფიქრა ხილკოვმა. — ასმანეთიანზე ნაკლებს არაფრად აგდებს“. და მხიარული მელოდიის სტვენით მანქანა ადგილიდან დაძრა.

შვიდ სათამდე კიდევ ბლომად ჩაიჯიბა ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ღამენათევი ხალხი სახლებში ბრუნდებოდა. მანქანებს იტაცებდნენ, ზედმეტ ფულს არავინ იშურებდა. ერთი ძალზე მთვრალი ყმაწვილი შეხვდა. შორს არ სჭირდებოდა წასვლა — მრიცხველმა ორმოცი კაპიკი დაწერა....

— რამდენია? — ძლივს ამოღერღა მგზავრმა.

— მანათი, — უთხრა ხილკოვმა — საზეიმო ტარიფია.

მთვრალი დიდხანს იქექავდა ჯიბეებს, მთელი ბღუჯა მანეთიანები და სამმანეთიანები ამოიღო ჯიბიდან და დაფანტა.

— რა მდიდარი ყოფილხარ, — გაეცინა ხილკოვს. — სასწრაფოდ აკრიფე, სამუშაო მაქვს.

მთვრალმა ძლივს აკრიფა ფული. ერთ ქაღალდის ფულს ხილკოვმა ფეხი დააფარა.

— აი მანეთი, — უთხრა მგზავრმა, — მეორე მანეთი მიჩუქნია...

— მგზავრი მანქანიდან გაჭირვებით გადავიდა და იქვე დაეცა თოვლში. ხილკოვმა დახედა ფეხით დათრეულ ფულს, სამმანეთიანი იყო.

შვიდს რომ ხუთი წუთი აკლდა, ხილკოვმა მანქანა სასტუმროს მიაყენა. ლოდინი დიდხანს დასჭირდა. საჭეს მკლავებით ჩამოეყრდნო და ჩათვლიმა. მინაზე ვიღაცამ ფრთხილად, მაგრამ მოუთმენლად დააკაკუნა. ხილკოვს გამოეღვიძა.

— ლოდინში გული გადაგელია არა, უფროსო! — უთხრა თედორე ბორისის ძემ და გვერდით მიუჯდა. სწორია, ბავშვებს ნანა უნდათ. მამალმა რახანია იყივლა... ჰო, მომილოცავს ახალი წელი!

ხილკოვს გაეცინა და ის იყო მანქანა უნდა დაეძრა ადგილიდან, რომ თედორე ბორისის ძემ გააჩერა:

— მოიცა, მოიცა. ჩემი პატივცემული სტუმრები არ გინდა წამოიყვანო?

ხილკოვმა მაშინდა დაინახა მანქანასთან მდგომი ორი კაცი. ერთი სქელი, ხანშიშესული კაცი იყო, მეორე უფრო ახალგაზრდა, პიუონურად ჩაცმული.

როცა ორივე ჩაჯდა, წვეროსანმა უბრძანა:

— ვასილევის კუნძულზე, ირიბ ხაზზე! — იგი ისევ ქაჩავდა თავის ჩიბუხს. „რა სუნია, — გაიფიქრა ხილკოვმა, — ალბათ რომელიმე საზღვარგარეთული თუთუნია“.

, — ისეთ თუთუნს ეწევით, სუნით ვერ გავმძღარვარ.

თედორე ბორისის ძეს გაეცინა. გულკეთილად, კმაყოფილებით იცინოდა.

— საუკეთესო თუთუნია. ნამდვილი „კეპსტენია“. ხომ არ გინდა ჩიბუხის წევა დაიწყო, უფროსო. მოგიხდებოდა.

— არა უშავს რა, „ბელომორითაც“ წავალ ოლას, — შეცბუნდა ხილკოვი და მეტი ადარაფერი უკითხავს.

როცა პროსპექტზე გავიდნენ, მან ჰკითხა:

— რა ადგილთან, ირიბზე?

— სქელმა მიუგო:

— კუთხის სახლთან დაამუხრუჭე, მე გადავალ.

მანქანიდან გამოსლისას წაიბურტყუნა:

— შეხვედრამდე...

— დამირეკე, ვასილიჩ! — როგორღაც, ძალზე თამამად უთხრა თედორე ბორისის ძემ. სქელმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— ახლა უკან, პიროგოვზე, — თხოვა მოპიუონო კაცმა. მერე გაეცინა და თქვა:

— ვასილიჩი ვერ არის გუნებაზე. მეტისმეტად მოეცარა დღეს ხელი...

ხილკოვმა მანქანის სარკეში შენიშნა, რომ ახალგაზრდას ლამაზი, ძალზე ლამაზი სახე და პაწაწინა ულვაშები ჰქონდა.

რა ჯანდაბამ წამოიყვანა. მჯდარიყო თავისთვის სასტუმროში და არ გამოხულიყო. ახლა უკან წაიყვანე!“ — შეაგინა გუნებაში მგზავრი. მავრამ მგზავრს, როგორც ჩანს თავისი გეგმა ჰქონდა.

— ყური მიგდე, უფროსო, ხომ არ იცი სად შეიძლება მანქანის შოვნა, — მიმართა მან ხილკოვს. — „ვოლგა“ მინდა, თანაც, რაც შეიძლება, ახალი?

— არ ვიცი... — გაჭიანურებით წარმოთქვა ხილკოვმა. — ჩვენს ბიჭებს კი აქვთ მანქანები მაგრამ „მოსკვიჩები“ და „ზაპოროჟეცია“. მხოლოდ ერთსა აქვს „ვოლგა“, მაგრამ არ გაჰყიდის...

— ძველი არ გვინდა, — თქვა პიუონმა. — სულ პრიალა და ახალთახალი უნდა იყოს. ფასზე არ შეგევაჭრებით.

— მერე მე სად გიშოვოთ „ვოლგა“? შემიძლია მხოლოდ ჩემი ბებრუანა შემოგთავაზოთ, — გაეცინა ხილკოვს. — მაგრამ ეს ჭადრაკისუჯრედებიანი რომ არ გამოგადგებათ?

— ეჰ, ასეთი ენერგიული ბიჭი ხარ და არ იცი მანქანა სად ოშოვნო, — დანანებით თქვა ახალგაზრდა კაცმა. — მთელი ქალაქი ხელის გულზე გაქვს გაშლილი, ყველგან დადიხარ, ყველას იცნობ. მიიხედ-მოიხედე და დაიხსომე, რაც დასახსომებელია.

ხილკოვმა მხოლოდ თავი გააქნია.

სასტუმროსთან მგზავრები გადმოვიდნენ მანქანიდან, ხოლო წვეროსანმა სთხოვა ხილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვს მოიცადეო. მათ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარეს შესასვლელთან, რაღაცაზე გაცხარებული დავობდნენ, მერე თედორე ბორისის ძე დაემშვიდობა, ისევ ჩაჯდა მანქანაში და შვებით ამოისუნთქა.

— ახლა კი ივანოვსკისკენ. რა გქვია, უფროსო?

— ყენია, — უპასუხა ხილკოვმა — ევგენი სტეფანეს ძე.

— მოდი, ევგენი სტეფანიჩ, გარეკე ივანოვსკისკენ. მე და შენაც ხომ გვეკუთვნის დასვენება.

იგი ერთხანს ხმას არ იღებდა, მერე უცბად ჰკითხა:

— ევგენი სტეფანიჩ, შინ ტელეფონი გაქვს?

— მაქვს. მერე რა? — გაუკვირდა ხილკოვს.

— იქნებ ოდესმე დამჭირდე. უარს ხომ არ მეტყვი?

— არა, რატომ უნდა გითხრა... ყოველთვის მზად ვარ სერიოზულ ადამიანებთან ვითანამშრომლო, — უპასუხა ხილკოვმა.

— ხოლო ეს, რაც მანქანაზე ილაქლაქა — სასულელეა, — თქვა თედორე ბორისის ძემ. — ნაყლაპი იყო, სიასლიც უდუდს. მაგრამ ფულიანი ბიჭია. მისთვის სულ ერთია ვისი მანქანაა, საიდან არის... არც პასპორტი უნდა, არც ტექნიკური ტალონი... ექვსი ათასს იძლევა, მორჩა და გათავდა. ექვსი ათასს... — ოცნებით წარმოთქვა თედორე ბორისის ძემ. — შენ კი, ნუ იფიქრებ ამაზე. ცარიელი ლაქლაქია...

ხილკოვმა ხელიანად ვერ გაიგო, რას გულისხმობდა წვეროსანი — ექვს ათასს, თუ თავის უცნაურ მეგობარს.

ივანოვსკის პროსპექტზე დიდ გასტრონომთან წვეროსანმა სთხოვა გაჩერებულიყო, ჩაიწერა ხილკოვის ტელეფონი, მაგრად ჩამოართვა ხელი და დაემშვიდობა.

ერთი კვირის შემდეგ დაურეკა. ხილკოვმა მაშინვე იცნო წვეროსნის სიცოცხლით სავსე, ბოხი ხმა:

— უფროსო, ხვალ მთელი დღით მინდიხარ. შესძლებ? შეთანხმდნენ, რომ ხილკოვი ათი საათიხთვის მივიდოდა ივანოვსკის პროსპექტზე.

გასტრონომთან დადექი. — უთხრა თედორე ბორისის ძემ.

— ნახევარი დღე ქალაქის შემოვლას მოანდომეს. აეროპორტიდან დაიწყეს. იქ შეხვდნენ ერთ-ერთ ახალი წლის მგზავრს, ახალგაზრდას, პატარა ულვაშიანს და სასტუმრო „ლენინგრადში“ მიიყვანეს. მგზავრს გიორგი ერქვა. ამჯერად მას მანქანა არ უხსენებია. ძალზე შეწუხებული იყო რაღაცით და სულ ოხრავდა. ისე ოხრავდა, რომ თედორე ბორისის ძემ ბოლოს და ბოლოს ველარ მოითმინა და თანაგრძნობით უთხრა:

— კარგი ერთი, დაანებე თავი ოხვრას, უმაწვილო, სიკვდილს არაფერი ეშველება, სხვას კი ყველაფერს მოევლება.

შემდეგ ხილკოვი მთელი საათი ელოდა თედორე ბორისის ძეს პორტში ვალიუტის მაღაზიასთან. მან იცოდა, რომ ამ მაღაზიაში საზღვაო ფლოტის ბონებით ვაჭრობდნენ და გაიფიქრა: „ალბათ წვეროსანი ვაჭრუკაა, შორეული ნაოსნობიდან დაბრუნდა და ახლა ქეიფობს. სავსებით შესაძლებელია. ნახე, რა მაგარი ვინმეა! და მხიარულიც გახლავთ. ეს ვაჭრები სულ ასეთები არიან. ლამაზი ცხოვრება უყვართ. ოღონდ, ფლოტისთვის, ცოტა არ იყოს, მოხუცებულია.

თედორე ბორისის ძე მაღაზიიდან დიდი პაკეტით დაბრუნდა.

საქონელი შევიძინე სულისთვისაც და კუჭისთვისაც. — იგი უკან ჩაჯდა და ნავაჭრი ფრთხილად დააწყო. ერთი პატარა პაკეტი ხილკოვს გაუწოდა.

— ეს შენ, უფროსო, ჩვენი გაცნობისა იყოს. მომწონხარ, უმაწვილო... თავსაფარია, ცოლს აჩუქე.

ხილკოვმა გამოართვა პაკეტი. ხელში ემძიმა.

— გმადლობ, თედორე ბორისის ძევ. მაგრამ უცოლო ვარ.

— მით უფრო, სატრფოს აჩუქებ, — წვეროსანს თითქოს გაუხარდაო — კიდევ უფრო საინტერესო იქნება. მომიცადე აქ,— უთხრა და მანქანიდან გამოძვრა. — ავიტან— ვისადილოთ.

როცა წვეროსანი წავიდა, ხილკოვმა პაკეტი გახსნა. შიგ ერთი სწორკუთხა ბოთლი აღმოჩნდა, რომლის ლამაზ ეტიკეტზე წითელ ტანსაცმელში გამოწყობილ წვეროსანი მეომრები იყვნენ გამოხატულნი, ბაფთებით ხელში, და მეორე პატარა ბოთლი, რომელსაც უბრალო ყვითელი ეტიკეტი ჰქონდა. ხილკოვს უკვე ენახა მეომრებიანი ბოთლი, ეს ჯინი იყო, პატარა ბოთლი კი პირველად ეჭირა ხელში. ბოთლებს გარდა პაკეტში ლამაზ ქაღალდში გახვეული ბაცი ფერის თავსაფარი იდო. „ამას გალიას ვაჩუქებ“, სიხარულით გაიფიქრა მან. გალია ლავროვა ამ ცოტა ხნის წინათ გაიცნო, მაგრამ ეს ფუნთუშა ქერა ქალი ძალზე მიეჩვია მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურზე ისადილეს, ხმაურიან, ოდნავ კვამლიან რესტორანში. თედორე ბორისის ძეს აქ იცნობდნენ. ახალგაზრდა ოფიციანტმა ისე დაუკრა თავი, როგორც ძველ ნაცნობს და ცარიელი მაგიდისაკენ წაიყვანა, კუთხეში რომ იდგა.

— მხოლოდ მე დავლევ, — გააფრთხილა წვეროსანმა ოფიციანტი, — ჩემს მეგობარს კუჭის წყლული აქვს... იმას ნუ უყურებთ, რომ ახალგაზრდაა და ლოყებლაუდაა. ასე არ არის, უფროსო? — ჰკითხა მან ხილკოვს.

ხილკოვს არ მოეწონა წვეროსნის მეტისმეტად მოურიდებელი ტონი, მაგრამ არაფერი თქვა.

წვეროსანი კი უკარნახებდა ოფიციანტს:

— სამასი გრამი არაყი, ორი ბოთლი „ბორჯომი“... — აქ ოფიციანტს რაღაც უნდოდა ეთქვა, ალბათ „ბორჯომი“ არ არისო, მაგრამ თედორე ბორისის ძემ ხელი ასწია და გააფრთხილა: იშოვნი, იშოვნი... შავი ხიზილალა... ტარაღანა, კიტრი, პამიდორი, მინორული გექნება?

— ვიშოვნით, — მოკლედ მიუგო ოფიციანტმა.

წვეროსანი განაგრძობდა კარნახს. ხილკოვმა გაუბედავად ჩაურთო:

— ჩვენ ხომ ორნი ვართ, თედორე ბორისის ძევ... ვერ მოვერევით.

მან კი მხოლოდ ხელი ჩაიქნია:

— ეჰ... დაწყებაა საქმე, თორემ სტომაქში სივიწროვე არ გვექნება, თავისუფალი ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ასე არ არის, უფროსო?

ხილკოვმა მხრების აიჩეჩა. მას უნდოდა შეეტყო, ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო ეს წვერიანი თედორე ბორისის ძე — მოქეიფე მეზღვაური, რომელიც სავაჭრო გემზე მუშაობდა თუ ვინმე ფულიანი პენსიონერი. ხილკოვის შემცვლელს, რომელიც წინათ მურმანსკში მუშაობდა ტაქსისტად, ბევრი რამ მოუყოლია ნაოსნობიდან დაბრუნებული მეზღვაურების ახირებულობაზე. განსაკუთრებით სათევზაო სეინერებიდან რომ იყვნენ, იმათზე. როგორ დაიკავებდა ასეთი მოქეიფე მეთევზე ორ და სამ მანქანასაც კი, პირველში დადებდა თავის ქუდს, მეორეში— ჩემოდანს, მესამეში თავად ჩაჯდებოდა. „რანაირი შერეკილი ხალხი არ შეხვდება კაცს!— გაიფიქრა ხილკოვმა, როცა შემცვლელს მოუსმინა. ეს ყველაფერი ბევრმა ფულმა იცის. მეც რომ მქონდეს, მოვიხმარდი როგორმე“. ძალიან, ძალიან უნდოდა დაწვრილებით სცოდნოდა წვეროსნის ამბავი, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა. თითქოს გრძნობდა, რომ თედორე ბორისის ძეს არ უყვარს შეკითხვები. ისე, ასეთ კაცთან ტრიალი ცოდვად არ ჩაითვლებოდა.

სადილზე ხილკოვმა მოიწყინა. მაგიდაზე ისეთი საუზმე ეწყო, თვალს ესიამოვნებოდა. მეზობელი სირჩას სირჩაზე სვამდა, შენ კი არ შეიძლება დალიო, საჭეს უზიხარო. იგი არ იყო ჩვეული რესტორანში ასე ჯდომას. ფიქრობდა, სასწრაფოდ წაიხემსებდნენ და ისევ სამე წავიდოდნენ. თედორე ბორისის ძე კი, ეტყობა, საღამომდე არც აპირებდა რესტორნიდან წასვლას. ოხუნჯობდა, ნართაულად ლაპარაკობდა. ხანდახან ისე მიაშტერდებოდა, თითქოს უმზერებსო. შემდეგ გამოკითხვაც დაიწყო. რამდენი ხანია რაც მანქანაზე მუშაობს, რომელი კლასის მძღოლი ხარო, რამდენი გაქვს გამომუშავებაო, ზედმეტს რამდენს გიხდიანო.

— ჩვენთან ხომ არ აპირებთ პარკში მოწყობას? — კითხა ხილკოვმა. — შოფრები ყოველთვის გვჭირდება.

— არა, არა. — გადაიხარხარა წვეროსანმა. — არ მიმიღებენ. ომის ინვალიდ ვარ, კონტუზებული.

— ასეთ კონტუზებულს აგური უნდა აზიდინო, — გაიფიქრა გაბრაზებულმა ხილკოვმა. — სვამს და არა თვრება“.

— მერე, თქვენთან ისეთი ხელფასია — სათვალავში არ არის ჩასაგდები, ორ ვახშამს თუ ეყოფა. აი გიორგიმ შემოგთავაზა — მანქანა მიშოვნეო. ერთ საათში იმდენს გაძლევს, რამდენსაც თქვენს პარკში სამი წლის მანძილზე ვერ აიღებ. ექვსი ათასი! და სრული გარანტია. მე თავადაც გავიფიქრე, ცოტაოდენი ხომ არ ჩავიჯიბო მეთქი. მაგრამ მერეც მოვასწრებ. ჯერჯერობით ფული მაქვს.

(გაგრძელება იქნება)

ოფიციალური მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1976 წლის 20 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1977 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 25 თებერვალი

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის „25“ თებერვლის ბრძანებულების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1930 წ. № 8, მუხ. 70).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სამთო კოდექსის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1931 წ., № 21, მუხ. 213).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1932 წ., № 19, მუხ. 149).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება სამთო კოდექსის 87-ე მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა კრებული 1933 წ., № 1, მუხ. 9).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონის 55-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ერთ ან რამდენიმე კანონისმიერ მემკვიდრეს საშუალება არ აქვს წარმოადგინოს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონისმიერ მემკვიდრედ მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და წარადგინეს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონისმიერ მემკვიდრედ მოსაწვევად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—თ. ლაშქარაშვილი

თბილისი

1977 წლის 25 თებერვალი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107 მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს დამატებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მ უ ხ ლ ი 107. სასამართლო ხარჯების გადახდევინება სასამართლო ხარჯები გადახდება მსჯავრდებულებს ან ამ ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო.

თუ სამართალში მიცემული ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასამართლო განაჩენის გამოტანისას დაადგენს გადახდეს სამართალში მიცემულს სასამართლო ხარჯები, გარდა იმ თანხებისა, რაც თარჯიმანს გაუნაღდეს. სასამართლოს ამასთან უფლება აქვს დააკისროს სასამართლო ხარჯები იმ სამართალში მიცემულსაც, რომელიც ცნობილია დამნაშავედ, მაგრამ სასჯელისაგან გათავისუფლდა.

თუ საქმეზე ცნობილია დამნაშავედ რამდენიმე სამართალში მიცემული, სასამართლო დაადგენს — რა რაოდენობით უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები თვითეულ მათგანს; ამასთან, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ამ პირთა ბრალი, პასუხისმგებლობის ხარისხი და ქონებრივი მდგომარეობა.

სასამართლო ხარჯებს იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ან სამართალში მიცემული გამართლდა, ან თუ ის პირი, ვისაც ეს ხარჯები უნდა დაეკისროს, ხელმოკლეა, აგრეთვე სამართალში მიცემულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში თარჯიმანისათვის თანხის გადახდასთან დაკავშირებულ სასამართლო ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო.

თუ სამართალში მიცემული გამართლებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები მთლიანად ან ნაწილობრივ დააკისროს იმ პირს, ვისი საჩივრითაც დაიწყო საქმის წარმოება.

თუ საქმე შეწყდა ბრალდებულთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარალებულის შერიგების გამო, სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები დააკისროს პროცესის ერთ ან ორივე მონაწილეს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 23 მარტი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეცვლის და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის ტერიტორიაზე სავალუტო ფასეულობით გარიგებების შესახებ" და „უცხოეთის ვალუტითა და საგადასახადო დოკუმენტებით უკანონო ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

ა) 132-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სავალუტო ფასეულობანი: უცხოური ვალუტა (ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, მონეტები); საგადასახადო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვ.) და საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები და სხვ.) უცხოური ვალუტით; საბანკო საგადასახადო დოკუმენტები მანეთობით (ჩეკები და სხვ.), რომლებიც შეძენილია უცხოური ვალუტით ასეთ ვალუტად მათი გადაქცევის უფლებით; ძვირფასი ლითონები — ოქრო, ვერცხლი პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (პალადიუმი, ირიდიუმი, როდიუმი, რუთენიუმი და ოსმიუმი) ყოველგვარი სახითა და ყოველგვარ მდგომარეობაში და ბუნებრივი ძვირფასი ქვები ნედლი და დამუშავებული სახით (ალმასი, ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, აგრეთვე მარგალიტი), გარდა ასეთი ლითონებისა და ქვების საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და ასეთი ნაწარმის ჯართისა, შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში";

ბ) 269-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაჩუქრობის ხელშეკრულობა ხუთას მანეთზე მეტი თანხისა და ორმოცდაათ მანეთზე მეტი ღირებულების სავალუტო ფასეულობათა ნაჩუქრობის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით".

2. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან 165^2-ე მუხლი.

3. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ციფრი „165^2".

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1970 წლის 30 ივნისის უწყებები № 6, მუხ. 93).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 23 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით. ამ შემთხვევებში წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა მთავრდება მოტივირებული დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოსაყენებლად სასამართლოში მასალების გადაგზავნის შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომაზე იმავე საფუძვლებით, თავისი მოტივირებული განჩინებით, შეწყვიტოს შემოსული სისხლის სამართლის საქმე.

2. სახალხო მოსამართლე მასალებს ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ განიხილავს ერთპიროვნულად, სასამართლოში ამ მასალების შემოსვლიდან ან სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტიდან ათი დღის განმავლობაში.

სახალხო მოსამართლე ამ მასალებს განიხილავს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მონაწილეობით და, თუ საჭიროა, დაჰკითხავს მოწმეებს და გამოიკვლევს სხვა მტკიცებულებებს.

3. იმ პირთა მიმართ, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სასჯელის შემდეგი ზომები: ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები დამნაშავის სამუშაო ადგილის მიხედვით ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასის ოც პროცენტამდე დაქვითვით, ან პატიმრობა ვადით თხუთმეტ დღემდე.

4. დაადგენს რა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც განიხილება მასალები ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ, სახალხო მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზომის გამოყენების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი დადგენილი არ არის, სახალხო მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თუ სახალხო მოსამართლე დაასკვნის, რომ პროკურორმა, გამომძიებელმა ან მოკვლევის ორგანომ დაუსაბუთებლად შეწყვიტეს სისხლის სამართლის საქმე, მას გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენებაზე უარის თქმისა და პროკურორისათვის საქმის დაბრუნების შესახებ.

თუ სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თავის სხდომაზე დაასკვნის, რომ არსებობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლში აღნიშნული საფუძვლები, მას გამოაქვს განჩინება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომის გამოყენების შესახებ.

სახალხო მოსამართლის აღნიშნული დადგენილებები და სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულია ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, და გააპროტესტოს პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში, მათი გამოტანიდან ხუთი დღე-ღამის განმავლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1927 წლის 20 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ და „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს დაემატოს მუხლი 39[1]“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 და 15 თებერვლის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 25-ე, 54-ე და 54[1] მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 25.** თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით არა ნაკლები სამი თვისა და არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, დანაშაულისათვის, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის ამ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით და ამ კოდექსით, — არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

როდესაც სასჯელი ენიშნება იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა დაენიშნებათ გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში, საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში.

შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ მამაკაცებს:

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე იმათ, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით გაუფრთხილებლობით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის საერთო რეჟიმის კოლონიაში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში;

რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები) ან რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიაში დაენიშნებათ: თუ ისინი ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები), — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის გახკუთვნილ კოლონია-დასახლებაში; სხვა ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, — საერთო რეჟიმის კოლონიაში.

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის, ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანებს, — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე იმათ, რომლებსაც ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით, შეუძლია დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა იმათ, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ათი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში; მსჯავრდებულებს, რომლებიც არ არიან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, — ნებისმიერი სახეობის შრომა-გასწორების კოლონიაში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა, ხოლო მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულებს — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიისა.

თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით, სასჯელის მთელი ან ნაწილობრივი ვადით, შეიძლება დაენიშნოთ:

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს;

პირებს, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (65-74-ე მუხლები);

პირებს, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით.

მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის შეცვლას აწარმოებს სასამართლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით";

„მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები ან სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, აგრეთვე პირებს, რომლებიც პირობით არიან გათავისუფლებულნი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ამ კოდექსის 54² მუხლის შესაბამისად, გარდა ამ კოდექსის 54¹ მუხლში ჩამოთვლილი პირებისა, შეიძლება შეეფარდოთ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან საანმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების გამგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით; იმ პირის მიმართ კი, რომელსაც მისჯილი აქვს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან რომელიც პირობით არის გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — აგრეთვე მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის აღმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინებით, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული ფაქტიურად მოიხდის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარს.

იმ პირთა მიმართ:

1) რომლებიც მსჯავრდებული არიან განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით,

2) რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა,

3) რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, —

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

იმ პირთა მიმართ:

1. რომლებიც მსჯავრდებული არიან ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (78[1] მუხლი); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი); სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96[1] მუხლი), უაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები); გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი); ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან შექრთამერობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189-ე, 189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამამძიმებელ გარემოებებში (209[1] მუხლი); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი); უაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი); საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (242[2] მუხლი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით ან ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მეორე ნაწილი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252[1] მუხლის მეორე და მესამე ნაწილები).

2) რომლებიც წინათ მსჯავრდებული იყვნენ თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის და მათ შეეფარდათ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, —

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნული ვადის არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისას მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე დამატებითი სასჯელისაგან, როგორიცაა გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავება ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას გადასახლებით, გასახლებით ან გამასწორებელი სამუშაოებით ისინი დაინიშნებიან ამ სახეობის სასჯელისათვის კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში და არ უნდა აღემატებოდნენ თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ვადას.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს, ამ უკანასკნელის თანხმობით, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს ან იმ პირს, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით, და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

თუ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით. ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია ძირითად სასჯელს მიუმატოს პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის დამატებითი ზომა.

მუხლი 54[1]. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოუყენებლობა

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება იმ პირის მიმართ:

1) რომელიც ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად;

2) რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები);

3) რომელიც მსჯავრდებულია განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (104 -ე მუხლი და 258-ე მუხლის „გ" პუნქტი, აგრეთვე 78-ე, 78[1] და 209[1] მუხლები იმ შემთხვევებში, როდესაც ამ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედობას თან სდევს მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში);

4) რომელსაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით".

2. შეივსოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგი შინაარსის 25[1], 47[1], 48[1], 51[1], 54[2] და 203[1] მუხლებით:

„**მუხლი 25[1].** პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით

იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის ვადით სამ წლამდე, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის — ვადით ხუთ წლამდე, სასამართლოს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მასზე ზედამხედველობის განხორციელების პირობებში, შეუძლია დანიშნული სასჯელის ვადით შეუფარდოს მას პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. განაჩენში მითითებულ უნდა იქნეს ასეთი გადაწყვეტილების მოტივები.

პირობით თავისუფლების აღკვეთისას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით სასამართლომ შეიძლება მსჯავრდებულს დაუნიშნოს აგრეთვე დამატებითი სასჯელი იმ შემთხვევებში და წესით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით. ამ კოდექსის 46-ე მუხლის მეორე ნაწილის წესები ამ მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენება.

პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება:

1) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები); ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); განზრახი მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე მუხლები, 258-ე მუხლის „გ" პუნქტი); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (110-ე მუხლი); გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი);

2) იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელთან ერთად ენიშნებათ ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის იძულებით მკურნალობის ზომები, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ გაუვლიათ ვენერიული დაავადების მკურნალობის სრული კურსი;

3) მსჯავრდებული უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება აგრეთვე:

იმ პირთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებად; ორსული ქალების მიმართ; იმ ქალების მიმართ, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ორ წლამდე ასაკის ბავშვები, აგრეთვე 55 წლის ასაკს ზევით ქალებისა და 60 წლის ასაკს ზევით მამაკაცების მიმართ;

ვადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.

თუ პირობით მსჯავრდებული თავს არიდებს განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში მუშაობას, ან სისტემატურად ან ბოროტად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილი ცხოვრების წესებს, სახამართლოს განჩინებით იგი გაიგზავნება განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. ამასთან, სამუშაოსათვის თავის არიდების დრო არ ეთვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული მუშაობდა, სასამართლომ შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაუთვალოს სასჯელის მოხდის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ.

თუ პირობით მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით".

„მუხლი 47[1]. არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადება

იმ არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, სასამართლოს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება ასეთი პირის მიმართ გადადოს ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე. სასამართლოს შეუძლია ასეთ შემთხვევებში გადადოს დამატებითი სასჯელის აღსრულებაც:

არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მას განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, გამოასწოროს მიყენებული ზიანი. სასამართლოს შეუძლია აგრეთვე დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით, მეთვალყურეობა გაუწიოს მსჯავრდებულს და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

კონტროლს იმ მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე, რომელთა მიმართაც თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადადებულია, ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და შინაგან საქმეთა ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მსჯავრდებული სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის აღსრულების გადადების დროის განმავლობაში სამაგალითო ყოფაქცევითა და შრომისა და სწავლებისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, მაშინ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან.

თუ მსჯავრდებული, რომლის მიმართაც თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადაიდო, არ ასრულებს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენება, მაშინ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულების გადადება და გაიგზავნოს მსჯავრდებული განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად.

თუ მსჯავრდებული, რომლის მიმართაც განაჩენის აღსრულება გადაიდო, ახალ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლო ახალ სასჯელს მიუმატებს ადრე დანიშნულ სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით;

„მუხლი 48[1]. პატიმრობაში ყოფნის ვადის ჩათვლა

იმ პირს, რომელსაც შეეფარდა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, პატიმრობაში ყოფნის ვადა ჩაეთვლება სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ“;

„მუხლი 51[1]. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემით

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, ამ კოდექსის 51-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული საფუძვლების არსებობისას, დასაშვებია მხოლოდ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს“;

„მუხლი 54[2]. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

იმ სრულწლოვან შრომისუნარიან პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გარდა იმ მსჯავრდებულებისა, რომლებიც სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია—დასახლებებში, აგრეთვე კოლონია — დასახლებებში, თუ ასეთ პირთა შემდგომი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მათზე ზედამხედველობის განხორციელების პირობებში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით, განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ვადით ათ წლამდე ჩათვლით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ერთი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

2) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ათ წელზე მეტი ვადით, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ნახევარის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

3) იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ამ კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ;

4) იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ კოდექსის 54[1] მუხლში, მათ მიერ სასჯელის დანიშნული ვადით არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით გამოიყენებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება:

1) იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კოდექსის 25[1] მუხლის მესამე ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტებში;

2) იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისტემატურად ან ბოროტად არღვევენ სასჯელის მოხდის რეჟიმის მოთხოვნებს.

თუ პირობით გათავისუფლებული თავს არიდებს მუშაობას ან სისტემატურად ან ბოროტად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილი ცხოვრების წესებს, სასამართლოს განჩინებით იგი გაიგზავნება განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. ამასთან, სამუშაოსათვის თავის არიდების დრო არ ეთვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც პირობით გათავისუფლებული მუშაობდა, სასამართლომ შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაუთვალოს სასჯელის მოხდის ვადაში ანგარიშით ერთი დღე ერთ დღედ.

თუ პირობით გათავისუფლებულმა მუშაობის სავალდებულო ვადის განმავლობაში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით“;

„მუხლი 203[1]. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისაგან თავის არიდება

იმ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდება, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მოკლევადია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი გასვლის ნებართვა აქვს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

3. მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და სასჯელისაგან“.

4. 46-ე და 55-ე მუხლებში სიტყვები „42-ე მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით „41-ე და 42-ე მუხლებით“.

5. 51-ე მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი გამოუყენებლად. ამ შემთხვევაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1) პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ (51[1] მუხლი);

2) ამხანაგური სასამართლოს განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ (52-ე მუხლი);

3) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად საქმის მასალების გადაცემის შესახებ (მე-12 მუხლი);

4) საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ან მშრომელთა კოლექტივისათვის პირის თავდებქვეშ გადაცემის შესახებ (53-ე მუხლი)“.

6. 52-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 52.** სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამხანაგური სასამართლოს განსახილველად საქმის მასალების გადაცემით

თუ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და თუ დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოუყენებლად, ეს პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმის მასალები განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს“.

7. 57-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს 2[1] და 2[2] პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

„2[1]) ის პირნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, თუ ისინი შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს ან არ გაიგზავნებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით;

2[2]) ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ამ კოდექსის 47[1] მუხლის გამოყენებით, თუ ისინი განაჩენის აღსრულების გადადების დროის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს და მათ მიმართ განაჩენი დადგენილი წესით სისრულეში არ იქნება მოყვანილი“.

8. 64-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-7 პუნქტი და ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7) არასრულწლოვანის მოთავსება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოთავსების ვადა, წესი და პირობები განისაზღვრება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებით“.

9. 228-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხულიგნობა, ესე იგი განზრახი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე“.

II. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. ბილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ო. [illegible]ბარაშვილი

თბილისი
1977 წლის 20 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეივსოს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსი შემდეგი შინაარსის III-ა კარით:

„კარი III-ა

მუხლი 82[1]. მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმა

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომელიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის თავისუფალი არის, სამუშაო ადგილზე მიდის დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ხარჯზე. ამ შემთხვევაში სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, შინაგან საქმეთა ორგანოს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უგზავნის განკარგულებას განაჩენის აღსრულების შესახებ. შინაგან საქმეთა ორგანო მსჯავრდებულს ჩააბარებს მიწერილობას სამუშაო ადგილზე გამგზავრების შესახებ. მიწერილობის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა მსჯავრდებული მოვალეა გაემგზავროს სამუშაო ადგილზე და მივიდეს იქ გამგზავრების მიწერილობაში აღნიშნული მგზავრობისათვის საჭირო ვადის განმავლობაში.

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი, რომელიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის პატიმრობაშია, სამუშაოდ იგზავნება თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით. ეს პირნი, აგრეთვე შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირები, სამუშაო ადგილებზე მისვლისთანავე უნდა გაათავისუფლონ პატიმრობიდან.

პირს, რომელსაც პირობით მიეცა თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით არა უმეტეს ერთი წლით, სამუშაოში ჩააბამენ, როგორც წესი, იმ მშენებლობაზე (საწარმოში), რომელიც განლაგებულია მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში ან სხვა ადგილას — შესაბამისად ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში ან საქართველოს სს რესპუბლიკის რომელიმე სხვა რაიონში.

პირები, რომლებიც დანაშაულის თანამონაწილენი არიან, სამუშაოდ, როგორც წესი, სხვადასხვა საწარმოში იგზავნებიან.

თუ მსჯავრდებული თავს არიდებს სამუშაო ადგილზე გამგზავრების მიწერილობის მიღებას, არ გაემგზავრება დადგენილ ვადაში ან არ გამოცხადდება სამუშაო ადგილზე, მას დააკავებს შინაგან საქმეთა ორგანო პროკურორის სანქციით ვადით არა უმეტეს 30-დღე-ღამისა სამუშაო ადგილზე დამოუკიდებლად მისვლის წესის დარღვევის მიზეზების დასადგენად. შინაგან საქმეთა ორგანო დაკავებულს გზავნის სამუშაო ადგილზე თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით ან, თუ არსებობს მონაცემები განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შესახებ, გადასცემს მასალებს სასამართლოში მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მისი გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 82[2]. პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა მოვალეობანი და უფლებები

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებულ პირებს . დაკისრებული აქვთ მოვალეობანი და მინიჭებული აქვთ უფლებები, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით სსრ კავშირის მოქალაქეთათვის, მაგრამ შემდეგი შეზღუდვებით:

— ისინი მოვალენი არიან იმუშაონ იქ, სადაც მათ გაგზავნიან განაჩენის აღსრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განმგებელი ორგანოები, ხოლო საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში ისინი, მათი თანხმობის გარეშე, შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე, აგრეთვე სამუშაოზე ტერიტორიულად სხვა ადგილას. ეს პირები მოვალენი არიან იცხოვრონ, როგორც წესი, მათთვის სპეციალურად განკუთვნილ საერთო საცხოვრებლებში; თუ კარგად მოიქცევიან, კეთილსინდისიერად მოეკიდებიან შრომას და ჰყავთ ოჯახი, მათ, შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით, შეიძლება მისცენ ოჯახთან ცხოვრების ნებართვა მათ მიერ დაქირავებულ ბინაში;

მათ ეკრძალებათ მუშაობის სავალდებულო ვადის პერიოდში დატოვონ ადმინისტრაციული რაიონის ფარგლები თავიანთი სამუშაო ადგილის მიხედვით იმ შინაგან საქმეთა ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას. ამასთან, ისინი მოვალენი არიან გამოცხადდენ შინაგან საქმეთა ორგანოში რეგისტრაციისათვის თვეში ერთი-ოთხჯერ. მსჯავრდებულის რეგისტრაციის პერიოდულობა დაწესდება იმ შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით, რომელიც მსჯავრდებულზე ზედამხედველობას ახორციელებს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამაგალითო ყოფაქცევისას და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულობისას, საწარმოს ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დაშვებულია შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებაღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების მივლინებაში, შვებულებაში ან სხვა საპატიო მიზეზით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებიდან გასვლა.

მუხლი 82³. პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგისა და რეგისტრაციის წესების დარღვევისათვის

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებაღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების მიერ შრომის დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა იწვევს დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის ან რეგისტრაციის წესების დამრღვევ პირებს შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის დადგენილებით შეიძლება ექვს თვემდე ვადით აეკრძალოთ საერთო საცხოვრებელს გარეთ ცხოვრება. საერთო საცხოვრებლიდან გასვლა დადგენილ დროს, აგრეთვე ყოფნა გარკვეულ ადგილებში.

თუ მსჯავრდებული სამუშაოზე არ გამოცხადდება სამ დღე-ღამეზე მეტ ხანს უცნობი მიზეზების გამო ან ასეთი პირი დადგენილ ვადაში არ დაბრუნდება სამუშაო ადგილზე შვებულებიდან ან მივლინებიდან, ადმინისტრაცია მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოს.

მსჯავრდებულს, რომელიც თვითნებურად დატოვებს ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს სამუშაო ადგილის მიხედვით, დააკავებს შინაგან საქმეთა ორგანო პროკურორის სანქციით ვადით არა უმეტეს 30 დღე-ღამისა თვითნებური გასვლის მიზეზების დასადგენად. შინაგან საქმეთა ორგანო დაკავებულს გაგზავნის სამუშაო ადგილზე თავისუფლებაღკვეთილ პირთათვის დადგენილი წესით ან, თუ არსებობს მონაცემები განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შესახებ, გადასცემს მასალებს სასამართლოში მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მისი გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 82⁴. ზედამხედველობა პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირებზე

ზედამხედველობა შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებაღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების ყოფაქცევაზე ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს. ზედამხედველობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით.

მუხლი 82⁵. პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა შრომა, ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნა და ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანა

იმ საწარმოთა ადმინისტრაცია, სადაც შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებაღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირნი მუშაობენ, მოვალეა უზრუნველყოს

ამ პირების ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში; ამასთან, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალობები, რომლებიც მათ აქვთ, მოაწყონ მათი პროფესიული სწავლება, შეუქმნან საჭირო სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობები.

საწარმოთა ადმინისტრაციას ეკრძალება პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირთა დათხოვნა სამუშაოდან შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის განმავლობაში, გარდა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სხვა საწარმოში გადაყვანის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად გაგზავნის ან დადგენილი წესით წარველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნობის შემთხვევებისა.

ამ პირთა ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანა შეუძლია ადმინისტრაციას მხოლოდ იმ შინაგან საქმეთა ორგანოსთან შეთანხმებით, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს.

მუხლი 82[6]. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ პირებთან

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებულ პირებთან ტარდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია მათი აღზრდა შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნე დამოკიდებულების სულისკვეთებით, შეგნებისა და კულტურის დონის ამაღლება, მათი სასარგებლო ინიციატივის განვითარება.

მსჯავრდებულთა მონაწილეობა პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებში წახალისდება და გათვალისწინებული იქნება მათი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მსჯავრდებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ატარებენ ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილის მიხედვით და განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანო".

II. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-18 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „სსრ კავშირის მსჯავრდებული მოქალაქეებისაგან" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მსჯავრდებულნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილი არიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში და ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კოლონია-დასახლებაში გადაყვანილი მსჯავრდებულნი თავსდებიან განცალკევებით, სხვადასხვა კოლონია-დასახლებაში".

2. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. შრომა-გასწორების კოლონიების სახეობები

შრომა-გასწორების კოლონიები იყოფა საერთო რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებად, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად და კოლონია-დასახლებად".

3. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა და რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე თავისუფლებააღკვეთილი ქალები, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ან მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ანდა რომლებსაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით".

4. 27-ე მუხლში:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში სასჯელს იხდიან პირველად მსჯავრდებულნი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში სასჯელს იხდიან პირები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას და რომლებიც გადმოყვანილი არიან ასეთ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონიაში საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“.

ბ) მესამე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და კოლონია-დასახლებაში მსჯავრდებულთ:“

გ) მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„თუ მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, და მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს კოლონია-დასახლებაში, სადაც ისინი გადაიყვანეს ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, კეთილსინდისიერად მუშაობდნენ და სამაგალითოდ იქცეოდნენ, სასამართლოს, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი შუამდგომლობით, შეუძლია ჩათვალოს კოლონია-დასახლებაში მათი მუშაობის დრო საერთო შრომის სტაჟში“.

5. 34-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად საპყრობილისა და საგამოძიებო იზოლატორის სამეურნეო მომსახურების სამუშაოსათვის დატოვებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ ფულით, ჰქონდეთ პაემანი, მიიღონ ამანათები, გადაცემები და ბანდეროლები საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დადგენილი ნორმით, მათ ღია საკნებში ამყოფებენ. ორი ხანგრძლივი პაემანი შეეცვლებათ ექვსი ხანმოკლე პაემანით“.

6. 41-ე მუხლის მერვე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით და ამ კოდექსით დადგენილი წესით მსჯავრდებულებს ნება ეძლევათ უნაღდო ანგარიშსწორების წესით შეიძინონ კვების პროდუქტები და პირველი მოთხოვნილების საგნები, ჰქონდეთ პაემანი, მიიღონ ამანათები, გადაცემები, ბანდეროლები, ფულადი გზავნილება, იქონიონ მიმოწერა, გაუგზავნონ ფულადი გზავნილება ნათესავებს“.

7. 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა მუშაობის დრო შრომის სტაჟში არ ჩაითვლება, გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

8. 52-ე მუხლის ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და კოლონია-დასახლებაში, აგრეთვე მსჯავრდებულ ქალებს, რომლებსაც ნებადართული აქვთ ცხოვრება კოლონიის გარეთ ამ კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, ყველა დაქვითვის მიუხედავად, უნდა გადაუხადონ ხელფასის საერთო თანხის არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტისა“.

9. მე-60 მუხლის პირველი ნაწილი სიტყვების „რვაწლიანი სწავლება“ შემდეგ შეივსოს სიტყვებით: „გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლენი თავისუფლდებიან სამუშაოდან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. ხელფასი მათ ამ პერიოდისათვის არ დაერიცხებათ, კვება უფასო აქვთ.“

10. 66-ე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა- გასწორების კოლონიიდან კოლონია-დასახლებაში — სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში და 54[1] მუხლში ჩამოთვლილი მსჯავრდებულნი, შესაბამისად, — სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევრის და ორი მესამედის მოხდის შემდეგ“.

11. 68-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულნი, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება წარდგენილ იქნენ გადასაყვანად: კოლონია-დასახლებიდან იმ სახის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოსახდელად, რომელიც მათ წინათ განუსაზღვრა სასამართლომ, ხოლო ის პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში გაგზავნით, — საერთო რეჟიმის კოლონიაში; განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟიმის კოლონიიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაყვანილი მსჯავრდებულები — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში; შრომა-გასწორების კოლონიიდან — საპყრობილეში არა უმეტეს სამი წლის ვადით, სასჯელის დანარჩენი ვადის კოლონიაში მოხდით; საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან — გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში".

12. 74-ე მუხლის მეოთხე ნაწილი სიტყვების „გაძლიერებული ნორმით" შემდეგ შეივსოს სიტყვებით: „ამ პირებს საექიმო კომისიის დასკვნით შეიძლება მიეცეს დამატებითი სასურსათო ამანათისა და გადაცემის მიღების ნებართვა".

13. 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებისათვის, სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისა და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებისათვის წარდგენა

იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე, 54[2] და 55-ე მუხლების შესაბამისად შეიძლება შეეფარდოს სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლება, სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოს იმ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მითითებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ჩამოთვლილ მუხლებში, შეაქვს სასამართლოში წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ, ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების შესახებ.

წარდგინებაში უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულის ყოფაქცევას, მის დამოკიდებულებას შრომისადმი და სწავლებისადმი სასჯელის მოხდის მთელი დროის მანძილზე. წარდგინებასთან ერთად სასამართლოში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმე. თუ სასამართლო უარს იტყვის ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე ანდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლებაზე, განმეორებით წარდგინება ამ საკითხზე შეიძლება არა უადრეს იმ ვადისა, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლით".

14. შეივსოს კოდექსი შემდეგი შინაარსის 45[1] და 108[1] მუხლებით:

„მუხლი 45[1]. მოკლევადიანი გასვლა თავისუფლების აღკვეთის ადგილის ფარგლებიდან

მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, კოლონია-დასახლებაში და შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, შეიძლება მიეცეთ თავისუფლების აღკვეთის ადგილის ფარგლებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვა ვადით არა უმეტეს შვიდი დღე-ღამისა, გარდა იმ დროსი, რომელიც საჭიროა იქით-აქეთ მგზავრობისათვის (არა უმეტეს ხუთი დღე-ღამისა), განსაკუთრებულ პირად გარემოებასთან დაკავშირებით: ახლო ნათესავის გარდაცვალება ან მძიმე ავადმყოფობა, რაც ავადმყოფის სიცოცხლეს ემუქრება; სტიქიური უბედურება, რომელმაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მსჯავრდებულს ან მის ოჯახს.

მოკლევადიანი გასვლის ნებართვას იძლევა შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი პროკურორთან შეთანხმებით, მსჯავრდებულის პიროვნებისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით. შრომა-გასწორების დაწესებულების ფარგლებს გარეთ მსჯავრდებულის ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში. მგზავრობის ღირებულებას იხდიან პირადად მსჯავრდებული ან მისი ნათესავები. შრომა-გასწორების დაწესებულების ფარგლებს გარეთ მსჯავრდებულის ყოფნის დროისათვის ხელფასი მას არ დაერიცხება.

განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით მსჯავრდებულთათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილების ფარგლებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვის მიცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით".

„მუხლი 108[1]. პირობით თავისუფლებაადკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ინვალიდობის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილ ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებულ პირს, იმ შემთხვევაში, თუ მას დადგენილი წესით ცნობენ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად და თუ ინვალიდობა მან მიიღო შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, სასამართლო ვადამდე ათავისუფლებს სასჯელის შემდგომ მოხდისაგან სსრ კავშირის კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374[1] მუხლით დადგენილი წესით.

თუ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულმა პირმა მიიღო ისეთი მიზეზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის საწარმოო საქმიანობასთან, სასამართლოს შეუძლია ან ვადამდე გაათავისუფლოს ასეთი პირი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან გაგზავნოს იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად".

III. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 20 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ პროკურატურის ეთმაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებაზე

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრებამ განიხილა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების 1976 წლის მუშაობის შედეგები და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანები.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ლ. თალაკვაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ქ. თბილისის პროკურორმა ვ. რაზმაძემ, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა მ. არლუნმა, აჭარის ასსრ პროკურორმა გ. გოჩრჩხაძემ, სამხრეთ ოსეთის ა/ო პროკურორმა ზ. კვირკველიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. მ. ლეკვეიშვილმა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. პანკრატოვმა, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა გ. უგულავამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა მ. ჯაფარიძემ, ამერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილემ ი. ლებედმა.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. კოლბინმა.

მომხსენებელმა და კამათში მონაწილე ორატორებმა აღნიშნეს, რომ შარშან პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერეს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ და განახორციელეს ღონისძიებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. მაგრამ რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რის გამოც მისი საქმიანობა ყოველთვის არ არის საკმაოდ ეფექტური.

მართალია, მნიშვნელოვნად შემცირდა განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების, ხულიგნობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობის რიცხვი, მაგრამ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ წარმოებს დამაკმაყოფილებლად. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა რუსთავში, სოხუმში, საჩხერის, გულრიფშისა და სხვა რაიონებში.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მდგომარეობა საერთოდ და განსაკუთრებით ქ. ქუთაისში, ბოლნისის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ამბროლაურის, წალკის რაიონებში. ეს აიხსნება როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ისე მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა კომისიების, სკოლების, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუსტი გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობით.

დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა ჯერ კიდევ მაღალი დონე რესპუბლიკაში პროკურატურის ორგანოებისაგან მოითხოვდა უფრო მეტ ოპერატიულობას და მიზანსწრაფული ღონისძიებების განხორციელებას. მაგრამ საშიშ დანაშაულთა გარკვეული ნაწილი კვლავ გამოუმჟღავნებელი რჩება, ხოლო ბოროტი დამნაშავენი დაუსჯელნი დადიან. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში დღეისათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის გარდუვალობის ატმოსფერო.

როგორც თათბირის მონაწილეები აღნიშნავენ, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არა დგას გამოძიების ორგანიზაცია, დროულად არ ტარდება პირველადი საგამოძიებო მოქმედებები, სუსტად გამოიყენება კრიმინალისტიკური ტექნიკა, შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული შესაძლებლობები.

შინაგან საქმეთა ზოგიერთ განყოფილებაში ხდება დანაშაულის შესახებ შემოსული საჩივრებისა და განცხადებების გადაწყვეტის გაჭიანურება, სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ არაღძვრა, არ აღირიცხება დანაშაულის ფაქტი. ყოველივე ამან ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში შექმნა უპასუხისმგებლობის, დაუსჯელობის ატმოსფერო. ნაკლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანებები, ხარვეზები დანაშაულის შესახებ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების კანონიერების დაცვის საქმეში იმის შედეგია, რომ პროკურორები ადგილზე ყოველთვის არ ახორციელებენ ქმედით საპროკურორო ზედამხედველობას, მკაცრ რეაგირებას არ ახდენენ დანაშაულის თითოეულ ფაქტზე, ყოველთვის არ აყენებენ საკითხს შინაგან საქმეთა განყოფილებების იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც აფერხებენ რესპუბლიკის მთელი ადმინისტრაციული ორგანოების მეცადინეობას — გადამჭრელი ბრძოლა გააჩაღონ ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ.

სერიოზული ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო გამოძიების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ერთნაირად ითქმის როგორც პროკურორის, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო აპარატების მიმართ. სწორედ წინასწარი გამოძიების ცუდი ხარისხით უნდა აიხსნას ის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გარკვეული ნაწილი ბრუნდება დამატებით გამოძიებაში. ბევრი საქმე დაუბრუნდათ დამატებით გამოძიებაში ზესტაფონის, წულუკიძის, ქარელის, თეთრიწყაროს, ამბროლაურის, თიანეთისა და სხვა რაიონების პროკურატურის ორგანოებს.

როგორც პროკურატურის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია, რომ ჯერ კიდევ ჭიანურდება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება. თათბირის მონაწილეებმა ამ საკითხზე განსაკუთრებული სერიოზულობით იმსჯელეს. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, საგარეჯოს, წულუკიძის რაიონებში, ახმეტის, გურჯაანის, ლანჩხუთის, მარნეულის, ხაჩხერის შინაგან საქმეთა საგამოძიებო ქვეგანყოფილებებში.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პროკურატურამ განახორციელა მკაცრი ზომები, კვლავ აქვს ადგილი მოქალაქეთა უკანონო დაკავებას, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტებს. მოქალაქეთა უკანონო დაპატიმრებები დაუშვეს დუშეთის, მარნეულის, სიღნაღის და სხვა რაიონების პროკურორებმა.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ბრძოლას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების, უყაირათობის, მიწერებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლას. ჯერ კიდევ ბევრია გაფლანგვა-გატაცების, განსაკუთრებით კი დიდი ოდენობით გატაცებების ფაქტები, გრძელდება მრავალი წლის მანძილზე და დროულად არ იხსნება. შინაგან საქმეთა, პროკურატურისა და აგრეთვე საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების მთელი მეცადინეობა ყოველთვის არ არის პირველ რიგში მიმართული იმისაკენ, რომ ეს საშიში დანაშაული თავიდან იქნეს აცილებული. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოები ყოველთვის არ იყენებენ სასჯელის ისეთ დამატებით ღონისძიებებს, როგორიცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების აკრძალვა.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე. აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც მოითხოვს მთელი ფრონტით გაიშალოს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, არადამაკმაყოფილებლად სრულდება. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში გასულ წელს არ გამოვლინებულმა მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებსა და რაიონებში ეს საშიში დანაშაული მთლიანად ლიკვიდირებულია. იგი შედეგია შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების სუსტი მუშაობისა. რესპუბლიკის პროკურატურას — შინაგან საქმეთა სამინისტროსა, იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოსთან ერთად არ დაუგეგმავს ღონისძიებები მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, თუმცა ეს აუცილებელი იყო.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობის დაცვას. როგორც ცნობილია, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები სერიოზულ დარღვევებს უშვებენ მუშა მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საქმეში. იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც განხორციელებული იქნა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. მაგალითად, თუ წინა წლებში სახალხო სასამართლოები აკმაყოფილებდნენ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის 72-78 პროცენტს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კმაყოფილდება 64-65 პროცენტი, გასულ წელს კი დაკმაყოფილდა სარჩელების 68,4 პროცენტი. სრულიად შეუწყნარებელია შეურიგდეთ ასეთ მდგომარეობას, მივითმინოთ, რომ მუშა-მოსამსახურეთა ორ მესამედზე მეტს სამუშაოდან ითხოვენ უკანონოდ, უხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შად თელავენ მათ შრომით უფლებებს. საჭიროა მკაცრი ზომები იქნას მიღებული თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას, ხოლო ზოგიერთი ურჩი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართ, რომელიც არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოვიყენოთ სისხლის სამართლებრივი ზომები.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მოქალაქეთა მართლშეგნების, უპირველესად კი ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებამ. პროკურატურის ორგანოები რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან ამ მიმართებით. იკითხება ლექციები, მოხსენებები, ეწყობა დეკადები და ა. შ. მაგრამ სამწუხაროდ, ეფექტი ყოველთვის არ არის მოწყობილ ღონისძიებათა პირდაპირ პროპორციული. როგორც რესპუბლიკის პროკურორმა ლ. თალაკვაძემ აღნიშნა, როგორ შეიძლება ეფექტური იყოს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, როცა მოსახლეობის მართლშეგნების დონე ძალიან დაბალია, ამასთან არა მარტო პერიფერიის, არამედ ქ. თბილისისა და სხვა მსხვილი ქალაქების მოსახლეობისა, პირველ რიგში კი ახალგაზრდობისა. საერთოდ, ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა საკმაოდ ჩამორჩება მათ საერთო კულტურას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკის პროკურატურის მიერ. მიღებულია ბევრი საქმიანი დადგენილება და შედეგი უკეთესი იქნებოდა, რომ სისტემატური კონტროლი იყოს დაწესებული ამ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. რამდენი დადგენილება გამოიღებდა უფრო ქმედითი შედეგებს, რომ იგი განუხრელად სრულდებოდეს ადგილებზე, უფრო მაღალ დონეზე იდგეს მომთხოვნელობა, კონტროლი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა დადგენილება სრულდებოდეს ზუსტად და განუხრელად.

განხილულ საკითხებზე თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილების გამგემ ბ. გვეტაძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. კეთილაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თ. შავგულიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა, ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ ი. ზუბოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილემ ი. ლებედმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. წერეთელმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ და სხვებმა.

ი. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე

1976 წლის 23 დეკემბერს ბ. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ნ. ბადაბაძის მოხსენების მიხედვით პლენუმმა განიხილა საკითხი განქორწინებისა და არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად წყვეტენ თავიანთ წინაშე დასახულ ამოცანებს, ყოველმხრივ უწობენ ხელს საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას, დედათა და ბავშვთა ინტერესებისა და უფლებების დაცვას, საოჯახო ურთიერთობებში წარსულის მავნე გადმონაშთების და წესჩვეულებების საბოლოოდ აღმოფხვრას, მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას ოჯახის წინაშე, რათა მან შეასრულოს თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია — მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა. მაგრამ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ჯერ კიდევ ბევრი შეცდომა მოსდით.

განქორწინების საქმეების განხილვისას სასამართლოები ყოველთვის არ ამოწმებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეთა ნამდვილ ურთიერთობებს, ღრმად არ სწავლობენ განქორწინების მოტივების საფუძვლიანობას და ყოველთვის არ ღებულობენ ზომებს მხარეთა შერიგებისათვის. არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებისას და იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რომელ მშობელს დაეკისროს ბავშვის აღზრდა, სასამართლოებს მოსდით შეცდომები, ისინი მოპასუხე მშობლებს ალიმენტს აკისრებენ პროცენტულად და არა წილადობრივად (ხელფასის ერთი მეოთხედი, ერთი მესამედი, ნახევარი), არ უზრუნველყოფენ ყველა საჭირო საბუთის შეკრებასა და საქმეზე დართვას, ხშირად მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო განუხილველად ტოვებენ ალიმენტის გადახდევინების საკითხს და სხვა.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები პროფ. ნ. ფერეთელი, პროფ. შ. ჩიკვაშვილი და ა. ხოჭოლავა, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩოგოლაშვილი, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. მაღლაკელიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გ. ცირამუა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ და საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ლ. თალაკვაძემ აღნიშნეს, რომ სასამართლო პრაქტიკისათვის პლენუმის ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს და დადგენილების პროექტის ცალკეული პუნქტების ირგვლივ გამოთქვეს შენიშვნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება „განქორწინებისა და არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (დადგენილება გამოქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში).

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ლ. თალაკვაძე და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი.

პლენუმს ესწრებოდა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

* * *

წლეულს აპრილში ა. კრანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის საფუძველზე საუწყებო სახლებიდან მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ (მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი რ. ფერეიძე).

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ძირითადად სწორად წყვეტენ დავებს ამ კატეგორიის საქმეებზე, მაგრამ ჯერ კიდევ მოსდით ცალკეული შეცდომები, რაც უარყოფითად მოქმედებს საუწყებო საბინაო ფონდის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, სახალხო მეურნეობაში ახალი კადრების მიზიდვაზე, საცხოვრებელი ფართობით მათს უზრუნველყოფაზე. ზოგჯერ სასამართლოები საწარმო-დაწესებულებათა სარჩელების განხილვისას არ არკვევენ, შეტანილია თუ არა ეს ორგანიზაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმო-დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან მუშა-მოსამსახურეები შეიძლება გამოსახლებულ იქნან სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება თავისი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნის გამო. ბევრ საქმეს არ ერთვის შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ბრძანებათა ასლები. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები ჯეროვნად არ არკვევენ მიზეზებს, თუ რატომ არ ასრულებს მოპასუხე გადაწყვეტილებას საცხოვრებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინის განთავისუფლების შესახებ. ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვისას ყოველთვის არ არის დაცული კანონის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევის შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ᲘᲝᲡᲐᲕᲐ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ბ. ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ და ნ. ᲑᲐᲓᲐᲒᲐᲫᲔ, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე Ვ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ᲬᲘᲫᲐᲠᲘᲫᲔ, ტრესტ „Ჭიათურმარგანეცის“ იურიდიული განყოფილების უფროსი Შ. ᲥᲐᲜᲩᲐᲕᲔᲚᲘ, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი Ბ. ᲪᲘᲠᲐᲛᲣᲐ, „საქნახშირის“ ხაწარმოო გაერთიანების იურიდიული განყოფილების უფროსი Პ. ᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი Ა. ᲮᲝᲯᲝᲚᲐᲕᲐ.

კამათში გამოსულმა პირებმა ძირითადად მოიწონეს დადგენილების პროექტი და წამოაყენეს წინადადებები მისი დახვეწის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება „სასამართლო პრაქტიკა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის გამოყენების შესახებ“ (დადგენილება გამოქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში).

შემდეგ პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის Მ. ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲮᲡᲜᲔᲜᲔᲑᲐ — ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გავრცელების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სასამართლოების მიერ კანონმდებლობის სწორად გამოყენებას.

მომხსენებელმა გაანალიზა რესპუბლიკაში ამ სახეობის დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლობის მდგომარეობა, აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები თუმცა ძირითადად სწორად იყენებენ კანონმდებლობას, მაგრამ ჯერ კიდევ შეცდომები მოსდით, რაც უარყოფითად მოქმედებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე. კვლავ მეორდება შეცდომები დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხში. არ არის აღმოფხვრილი პროცესუალური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

მოხსენებაში ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სასამართლო ამ კატეგორიის საქმეების გარჩევისას ყოველთვის იღებს აუცილებელ ზომას ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა შეძენის წყაროების დადგენისა და დანაშაულის ყველა მონაწილის გამოვლინებისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლები ჯეროვნად არ აფასებენ ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გავრცელების საზოგადოებრივ საშიშროებას. სასამართლოები ზოგჯერ უგულვებელყოფენ ნარკომანების მიმართ სისხლის სამართლის სასჯელთან ერთად იძულებითი მკურნალობის შეფარდების აუცილებლობას. ზოგჯერ პირებს, რომლებიც დანაშაულებრივი გზით იძენენ და ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელები ეფარდებათ, ყურადღება არ ექცევა იმას, რომ მათს ქმედობაში არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზოგიერთი სასამართლო ჯეროვნად არ სწავლობს საქმის მასალებს, არ არკვევს, აღრიცხულია თუ არა სამართალში მიცემული ნარკომანი დისპანსერში, თავს ხომ არ არიდებს იგი მკურნალობას, ჰქონდა თუ არა დადებული წინათ ადმინისტრაციული სასჯელი და სხვ.

პლენუმზე ითქვა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ფრგანონები ზოგჯერ არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 26 სექტემბრის № 7 დადგენილებას „ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გავრცელების საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკის შესახებ“.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე Დ. ᲚᲝᲠᲘᲐ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები Ი. ᲟᲝᲠᲯᲐᲜᲘᲐ და Ი. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი Მ. ᲒᲐᲛᲬᲠᲔᲚᲘᲫᲔ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასანართლოს თავმჯდომარე Ა. ᲞᲠᲐᲜᲐᲫᲔ და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

პლენუმმა მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება „ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გავრცელების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი.

პლენუმს ესწრებოდა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მსხვილი საწარმოებისა და დაწესებულებების იურიდიული სამსახურის მუშაკები.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

წლეულს, 17 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრენ იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლები, ადვოკატები, იურისკონსულტები.

განხილულ იქნა საკითხი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შარშანდელი მუშაობის შედეგები და რესპუბლიკის იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების ამოცანები სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოხსენებებით გამოვიდნენ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, მოადგილეები — ა. აბესაძე და გ. ცქიტიშვილი.

ზ. რატიანმა ილაპარაკა, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა 1976 წელს კანონპროექტების მომზადებისა და სისტემატიზაციის დარგში, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებისათვის, სამართლებრივი პროპაგანდის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებისათვის. სამინისტრომ — თქვა მომხსენებელმა — დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულთა გამოცემისათვის მოსამზადებლად, საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტების შესამუშავებლად, ნორმატიული აქტების პროექტებზე დასკვნების მიცემის მხრივ, კანონმდებლობის სისტემატიზაციისათვის, სასამართლოების და იუსტიციის დაწესებულებათა საჭირო ნორმატიული მასალებით უზრუნველსაყოფად.

კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველო დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს მუშაობას, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო უკვე მომზადებული და გამომცემლობისათვის გადაცემული მოქმედი კანონმდებლობის რვა ტომის დასტამბვა. სამმართველო ვერ უწევს რეალურ, სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს სახალხო სასამართლოებსა და იუსტიციის სხვა დაწესებულებებს საკოდიფიკაციო საქმიანობაში. დღემდე შემოღებული და დანერგილი არ არის საკართოტეკო სისტემა, ადგილებზე იგრძნობა იურიდიული ლიტერატურის მწვავე ნაკლებობა.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამისათვის მხოლოდ ამ სამმართველოს უნდა ვუსაყვედუროთ, ეს ყველასი, მათ შორის სასამართლო ორგანოების და ნოტარიატის, მმაჩისა და ადვოკატურის ორგანოების სამმართველოების დვიძლი საქმეა, აგრეთვე მოსამართლეების, ნოტარიუსების, იურიდიული კონსულტაციების და მმაჩის ბიუროების პირდაპირი მოვალეობაა. ეს მათი ორგანიზაციული საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მხარეა, რამდენადაც მასზე ბევრად არის დამოკიდებული კანონების ზუსტად განხორციელება.

რა სურათია ამ მხრივ ადგილებზე? სამწუხაროდ, არც ერთი სასამართლო, სანოტარო კანტორა თუ იურიდიული კონსულტაცია ამ მხრივ დადებითი გამოცდილების ნიმუშად ვერ გამოდგება.

სასამართლო ორგანოების სამმართველო და სტატისტიკის განყოფილება მოვალენი არიან იმდენად აამაღლონ პრაქტიკის განზოგადების დონე, რომ მასში ნათლად ჩანდეს არა მარტო უფლებრივ ურთიერთობათა განვითარების ტენდენციები, არამედ ისიც, თუ რამდენად სრულყოფილია ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები და მათი ზემოქმედების ძალა.

იურიდიული სამსახურის მუშაკებმა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითავონ სამეურნეო დარგში კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება, არსებითად ჩასწვდენ უწყებების სამართლებრივ სპეციფიკას და ეძებონ სამართლებრივ საშუალებათა ისეთი გზები, რომლებიც ობიექტურად ხელს შეუწყობს მთელი მეურნეობის ოპტიმალურად წარმართვას.

სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუზომლად გაიზარდა სამართლებრივი მუშაობის როლი. ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, მეურნეობის სხვა დარგებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში სამართლებრივი მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. მას ჯეროვნად არ აფასებენ. ბევრგან იურიდიული სამსახური გათანაბრებულია ტექნიკურ სამსახურთან, იურისკონსულტები დატვირთული არიან სხვა დავალებებით. ამის შედეგად არის უფლებრივ-სამეურნეო საკითხთა მოუწესრიგებლობა. ხშირია საგეგმო და სახელშეკრულებლო დისციპლინის დარღვევის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სამეურნეო დავების უსწოროდ გადაწყვეტის ფაქტები.

უკანასკნელ ხანს პარტიულმა ორგანოებმა მეტად დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღეს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე. სამწუხაროდ, მუშაობა, რომელსაც ჩვენ ვეწევით სამართლებრივი პროპაგანდის დარგში, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ დიდ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რაც ჩვენს წინაშეა დასახული.

აუცილებელია სამართლებრივი პროპაგანდა ორგანულად შეერწყას მთელ მასობრივ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და აღმზრდელობით მუშაობას. მოქალაქე უბრალოდ კი არ უნდა ერკვეოდეს მოქმედი კანონმდებლობის შინაარსში, თავის უფლებებსა და მოვალეობებში, არამედ სამართლებრივი კულტურის ამაღლების შედეგად უნდა იქცეს კანონიერების განუხრელად დაცვის თავგამოდებულ მომხრედ, ზუსტად ასრულებდეს კანონის მოთხოვნებს და ამასთან, სხვებისაგანაც მოითხოვდეს მათ დაცვას, ეხმარებოდეს კიდეც შეასრულონ კანონები. განსაკუთრებით არამაკმაყოფილებლად წარმოებს შრომისა და საბინაო კანონმდებლობის პროპაგანდა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის გასაუმჯობესებლადაც.

სასამართლოს მიერ განაჩენით განსაზღვრული სასჯელი ან დადგენილი გადაწყვეტილება მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ სასამართლოები ჯერ კიდევ უსაფუძვლოდ იყენებენ თავისუფლების აღკვეთის მოკლევადიან სასჯელებს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, ხოლო ზოგჯერ დაუსაბუთებლად ლმობიერ სასჯელს უფარდებენ იმათ, ვინც საშიში დანაშაული ჩაიდინა. არც თუ იშვიათია სამოქალაქო დავების უსწოროდ გადაწყვეტის ფაქტები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეთა მართლშეგნებაზე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასუსტებს დასჯის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას, კანონის მიმართ რწმენას.

ამოცანა ის არის, რომ ეს ნაკლოვანებები უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ.

ა. აბესაძე შეეხო სახალხო სასამართლოებთან და კადრებთან იუსტიციის სამინისტროს მუშაობას, ილაპარაკა ამ საქმიანობის საკვანძო საკითხებზე. მან თქვა, რომ სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობის ხარისხის ამაღლება, შრომის დისციპლინის განმტკიცება გადამწყვეტია სასამართლოების მუშაობაში. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სასამართლოების გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ დონისძიებებს. მინისტრის მოადგილემ გააანალიზა სასამართლო სტატისტიკის ზოგიერთი მონაცემები და თქვა, რომ ჯერ კიდევ არ არის საფუძველი კმაყოფილება გამოვთქვათ სასამართლოების მუშაობით. პირიქით, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მთელი საქმიანობის გარდაქმნა ძალზე ნელა წარმოებს, რაზეც საკმაოდ მწვავე და სამართლიან რეაგირებას ახდენს საზოგადოებრივი აზრი.

ბევრ სასამართლოში მოგვარებული არ არის მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია. არის სასამართლოს ტექნიკური მუშაკების უხეშობის ფაქტები მოქალაქეებისადმი და სხვა. ეს ყველაფერი უნდა გამოსწორდეს, უპირველესად, სასამართლოს კადრების კულტურის ამაღლების გზით. ეს სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

პარტიამ ჩვენ მოგვანდო ხალხის ბედის გადაწყვეტა. ამისი უფლება კი შეიძლება მხოლოდ ისეთ მუშაკებს ჰქონდეს, რომელიც ჯერ თვითონ იქნება ყველაფერში სანიმუშო.

1976 წელს იუსტიციის ორგანოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 591 მუშაკმა, მათ შორის 33-მა ახლად არჩეულმა მოსამართლემ, სასამართლოს 47-მა აღმასრულებელმა და სხვა მუშაკმა. სამინისტროს შესაბამისი სამმართველოები კურსების ხელმძღვანელობას უფრო მეტ დახმარებას უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევდეს მსმენელთა დაკომპლექტების საქმეში. საჭიროა კურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაც.

დასასრულ მომხსენებელმა თქვა, რომ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება სავსებით შესაძლებელია, იუსტიციის ორგანოებმა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ძალა და ენერგია არ უნდა დაზოგონ რათა საიუბილეო წელს რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი დამყარდეს.

გ. ცქიტიშვილმა ილაპარაკა ადვოკატურის, ნოტარიატის, მმაჩის ორგანოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ შარშანდელ გაწეულ მუშაობის შედეგებზე და მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე. სანოტარო კანტორების მუშაობაში — აღნიშნა მან — სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ დაბალია მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის, მათი მომსახურების დონე. ირღვევა სახელმწიფო და და შრომის დისციპლინა, არის მოქალაქეებისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტები. მოუწესრიგებელია საცნობარო-საკოდიფიკაციო საქმიანობა.

სერიოზული დარღვევებია მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას, არის შემთხვევები, როდესაც გასასხვისებელი სახლის საცხოვრებელი და დამხმარე ფართობი აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ნორმებს, ირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 104-ე მუხლის მოთხოვნა.

იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმების ყურადღების ცენტრში იდგა მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის, ადვოკატთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის სრულყოფის, საადვოკატო ეთიკის და სხვა საკითხები.

შარშან რესპუბლიკის ადვოკატებმა, მოქალაქეებს გაუწიეს 7700-ზე მეტი იურიდიული კონსულტაცია, მათ შორის 6000-ზე მეტი უფასოდ. ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს განხილულ სისხლის და სამოქალაქო საქმეთა უმრავლესობაში.

და მაინც ადვოკატურის საქმიანობაში ბევრი ნაკლია.

კოლეგიაში ჯერ კიდევ არიან პირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობით არ უპასუხებენ საბჭოთა ადვოკატისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.

რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად იუსტიციის დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს დრომოჭმული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების დამკვიდრებისათვის.

სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში შექმნილია 7 სხვადასხვა განყოფილება. ლაბორატორიის დატვირთვა ყოველწლიურად იზრდება, უმჯობესდება მისი საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

მომხსენებელი აყენებს საკითხს რათა ყველა სახის ექსპერტიზა მოეწყოს ერთ დაწესებულებაში გარდა სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო ფსიქიატრიულისა.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ა. ბარაბაძემ ილაპარაკა სასამართლო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებზე. სასამართლოები, თქვა მან, ხშირად იყენებენ სასჯელად თავისუფლების აღკვეთას, როცა ეს არ არის აუცილებელი; სამაგიეროდ ლმობიერია განაჩენები სოციალისტური საკუთრების დიდი რაოდენობით გატაცების საქმეებზე. გასაჩივრებული და გაპროტესტებული განაჩენებიდან ყოველი მეოთხე იცვლება ან უქმდება. დაბალია სასამართლო პროცესის კულტურა. ჭიანურდება საქმეების განხილვა. ერთი და იგივე საქმე დაუსრულებლად იხილება სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში, რაც იწვევს მოქალაქეთა გულისწყრომას და დაუსრულებელ საჩივრებს. იუსტიციის სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ამის თავიდან ასაცილებლად.

აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი კ. სიჭინავა: ბევრი სიახლეა ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში. ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რიგზეა. ჩვენ მოვალენი ვართ ზუსტად დავიცვათ კანონი. სამართლებრივი პროპაგანდის დონე ჯერ კიდევ არ გვაკმაყოფილებს. აუცილებელია მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება და ადგილებზე უფრო მეტი რაოდენობით დაგზავნა.

ორატორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ აუცილებელია თუ არა ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, თუ დამნაშავის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ღონისძიება ბრალეული პიროვნების გათვალისწინებით. ეს საკითხი გადასაჭრელია და მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ორგანოების მხრივ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომარემ შ. მახარაძემ ილაპარაკა ქალაქის სასამართლოს პრობლემებზე, რომლებიც სწრაფად გადაწყვეტას მოითხოვს. იგი დაწვრილებით შეეხო დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხებს.

სასამართლოს კოლეგიებს ფაქტიურად არ გამოაქვს კერძო განჩინებები, უყურადღებოდა ტოვებს იმას, რომ სახალხო სასამართლოების კერძო განჩინებები ხშირად ფორმალური სასათისაა.

სასამართლოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ სსსკ მე-60 მუხლის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან გამოიკვლიონ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და მიიღონ ზომები მათ აღსაკვეთად. ზოგიერთი სახალხო მოსამართლე არ იცავს საქმეთა განხილვის დროს საპროცესო კანონმდებლობას. განაჩენების უმეტესობა უქმდება სწორედ საპროცესო ნორმების უხეშად დარღვევის გამო. საქალაქო სასამართლომ სახალხო სასამართლოებთან ერთად უახლოეს ხანში უნდა უზრუნველყოს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი ჯ. ბაჯელიძე: ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის და სასამართლო ოთგანრები ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის.

დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების გეგმების შემუშავებისას ვითვალისწინებთ ნასამართლობის დონესა და დინამიკას.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა გასაჩივრებულ და გაპროტესტებულ განაჩენთა თანაფარდობა განხილულ საქმეებთან, რაც დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ეს მოწმობს, რომ განაჩენები გამოტანილია მატერიალური და საპროცესო კანონების დაცვით.

აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტრო მნიშვნელოვან მუშაობას ეწვევა საბჭოთა კანონების პროპაგანდისათვის. ეწყობა სამართლის ცოდნის დეკადები, კვირეულები, თემატური საღამოები და სხვა. სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ახალგაზრდობისათვის მორალურ-სამართლებრივ თემებზე ვაწყობთ ლექცია-საუბრებს და თემატურ საღამოებს. გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. კობერიძე აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. სასამართლოში დისციპლინა პირველ რიგში გამოიხატება პროცესის დროულად დაწყებაში, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათი როდია, როცა სასამართლო პროცესები იწყება დაგვიანებით. ხშირად ამის მიზეზია მხარეთა გამოუცხადებლობა და პატიმრების წარმოუდგენლობა. მაგრამ ბევრჯერ ეს მოსამართლეების მიზეზითაც ხდება, რაც გამოწვეულია განხახილველად საქმის მოუმზადებლობით. ერთ დღეს ერთსა და იმავე საათებში რამდენიმე საქმე ინიშნება.

სასამართლოები ცუდად არ მარაგდებიან ლიტერატურით, მიმდინარე საკანონმდებლო და საცნობარი მასალით, მაგრამ კარგი იქნებოდა ქალაქის სასამართლოს, უმაღლეს სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს მოემზადებინა და გამოეცა სასამართლო პრაქტიკის განზოგადებანი, სიანფორმაციო ბიულეტენები, რათა სასამართლოები იყვნენ რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკის კურსში, და თავიანთი მუშაობაში მას ემყარებოდნენ.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი ხ. გაგოევი: იუსტიციის განყოფილება უფრო დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო სასამართლოების მუშაობის დაგეგმვას, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, პროფილაქტიკურ საქმიანობას, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საკოდიფიკაციო საცნობარო მუშაობის გაუმჯობესებას, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას და სხვა იმ საკითხებს. მაგრამ სამწუხაროდ ყველაფერი რიგზე არ არის და მოვალენი ვართ 1977 წელს ყველა დარგში გავაუმჯობესოთ მუშაობა.

ქ. თბილისის ქორწინების სახლის დირექტორი ნ. შუკაკიძე: ქორწინების სახლების საქმიანობაში იგრძნობა ის გარდაქმნები, რაც ბოლო ხანს ჩვენში მოხდა. დასაქორწინებლებისათვის საოჯახო საკითხებზე იკითხება ლექციების ციკლი. ნოემბრის თვეში საქმიანობას შეუდგა „ახლადდაქორწინებულთა კლუბი", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა წყვილებს მომზადებულნი შეხვდნენ ისეთ დიდ მოვლენას, როგორიცაა ოჯახის შექმნა. მუშავდება ქორწინების სახლის თანამშრომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის ტანსაცმლის ესკიზები, მოსაწვევი ბარათების ნიმუშები. ვფიქრობთ იმაზე, რომ საქორწინო რეგისტრაციის რიტუალი უფრო საზეიმო გავხადოთ.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკვებვაჭრობის იურისკონსულტმა, რესპუბლიკის იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა გ. ნებიერიძემ თქვა, რომ ახლა მეტი ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის იურიდიულ სამსახურს, რომლის განმტკიცება და განვითარება ბოლო ხანს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმედ იქცა. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა იურიდიულ სამსახურს წინათ ე. წ. „დამხმარე საკონსულტაციო“ ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ამჟამად იგი წარმოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მაორგანიზებელ ბერკეტად იქცა. სამწუხაროდ, თქვა მან, გრძელდება იურიდიული სამსახურის შეუფასებლობა. ამის ძირითადი მიზეზია სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტების დაბალი კვალიფიკაცია, წარმოების ხელმძღვანელთა დაბალი სამართლებრივი კულტურა და ზოგჯერ მათი უპრინციპობა. ხშირად საწარმოს ხელმძღვანელი რჩევას არ კითხავს თავის იურისტს, ან პირიქით აიძულებს იურისტს დაემორჩილოს მას ყალბად გაგებული „წარმოების ინტერესებისათვის“.

ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსი ზ. ისაკაძე: პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა შექმნილია ყველაზე რთულ სანოტარო მოქმედებათა და ფუნქციათა შესასრულებლად. სანოტარო მოქმედებები ჩვენთან სრულდება კანონის ზუსტი შესაბამისობით. თანდათანობით მაღლდება სანოტარო კანტორის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე და საქმიანი კვალიფიკაცია. ამასთან სანოტარო კანტორის მუშაობაში ბევრი სერიოზული ნაკლია, რომელთა გამოსწორება ჩვენი მთავარი საზრუნავია.

ცუდად არის ორგანიზებული მშრომელთა მიღების ორგანიზაცია. სანოტარო კანტორა ნაკლებად ზრუნავს ერთიანი სანოტარო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის, სისტემატურად არ ეხმარება სახელმწიფო ნოტარიუსებს და ქ. თბილისის ახლო მდებარე სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თანამდებობის პირებს ინსტრუქტაჟების მოწყობით და სემინარების ჩატარებით.

პირველი სანოტარო კანტორა ჯერ კიდევ ვერ გახდა სანიმუშო, სადაც დახელოვნდებიან და აღიზრდებიან კვალიფიციური კადრები. სანოტარო კანტორას არა აქვს მუშაობის ნორმალური პირობები, საჭირო ორგტექნიკა.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. რონინშვილი: ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობის ნაკლოვანებები ძირითადად იმის შედეგია, რომ კოლეგიის წევრები, ქალაქის და რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეები არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას კონსულტაციებში მტკიცე სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დამყარებისათვის, არ ქმნიან ისეთ ატმოსფეროს, რომელიც აღკვეთდა ადვოკატის მხრივ გადაცდომის შესაძლებლობას, პრეზიდიუმი სუსტად მუშაობს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. ბოლო ხანს განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ადვოკატთა პროფესიული დონის ამაღლებისაკენ არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს: ფაქტია ისიც, რომ ადვოკატთა შორის გამოვლინებული არიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული.

ადვოკატთა კოლეგიას უპირველეს მოვალეობად მიაჩნია გააქტიუროს და უფრო კონკრეტული გახადოს თავისი საქმიანობა, უზრუნველყოს ადვოკატურაში სანიმუშო სახელმწიფო დისციპლინა, აამაღლოს კოლეგიისა და ადვოკატის ავტორიტეტი.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ტყეშელიაძემ.

კოლეგიის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

ნ. ფიფი

საქართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საზოგადოება

ამას წინათ სიღნაღის რაიონში მოეწყო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საზოგადოება, რომელიც მოაწყეს საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, გაზეთების „სოფლის ცხოვრებისა“ და „კოლმეურნის“ რედაქციებმა, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ.

სამდღიურის პროგრამის შესაბამისად პირველ დღეს, 21 თებერვალს, გაიმართა თეორიულ- პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანმა **მ. ხუნაშვილმა.**

მოხსენება — „მოსახლეობის იურიდიული მომსახურების ზოგიერთი საკითხი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ — გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. აბესაძემ;** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ფარეოსაძე** გამოვიდა მოხსენებით — „სკკპ XXV ყრილობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შესახებ“; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ნ. წერეთელმა** გააშუქა სიახლენი შრომისა და საოჯახო სამართლის კანონმდებლობაში; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **შ. ჩიკვაშვილმა** განმარტა ბინათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობა, ხოლო მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობებზე ისაუბრა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. დევდარიანმა.**

ლექტორებმა პასუხი გასცეს მსმენელთა მრავალ შეკითხვას.

22 თებერვალს ანაგის კლუბში ჩატარდა თემატიკური საღამო თემაზე „უსაქმურთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“. მოსმენილ იქნა მოხსენებები: საქართველოს პროკურორის თანაშემწის **ე. ბახუტაშვილისა** — „საზოგადოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი კონსულტანტის **ზ. ჯორჯიაშვილისა** — „მიწათმოსარგებლის უფლება- მოვალეობანი“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ექსპერტის **რ. ტყემალაძისა** — „ავტოავარიებს — წითელი შუქი“. სიღნაღის რაიონის პროკურორის ა. ვაიტაძისა — „სოფელ ანაგაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“.

წნორში გამართულ თემატიკურ საღამოზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა **თ. საბიაშვილმა** გააკეთა მოხსენება — „საზოგადოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“, ხოლო შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორმა **ა. ნადიკაშვილმა** წარმოადგინა ანგარიში 1976 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ძველ ნაგაში მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი **ნ. ჭელიძე** და საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ც. მაჭარაშვილი.**

სიღნაღში გაიმართა რაიონის ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო რაზმელების შეკრება, რომელზეც სახალხო რაზმელების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი **ზ. ჯორჯიაშვილი,** ხოლო სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ი. კოჭლამაზაშვილმა** მოხსენება გააკეთა ამხანაგური სასამართლოების ამოცანების შესახებ.

მოეწყო აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შეხვედრა სავაჭრო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან, სადაც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს უფროსი **დ. ჯიჯელავა** გამოვიდა მოხსენებით — „ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა, უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს“.

ამავე დღეს წნორში მოქალაქეები მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ა. აბესაძემ,** ანაგაში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა **გ. დევდარიანმა,** ბოდბეში — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის განყოფილების უფროსმა კონსულტანტმა **ზ. ჯორჯიაშვილმა;** ძველ ანაგაში —საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწემ **ელ. ბახუტაშვილმა.**

23 თებერვალს გაიმართა თემატური საღამო, რომელზეც მოხსენებით — „სკოლა და ოჯახი“ გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი **ვ. მაღრაძე,** ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ **ელ. დალაქიშვილმა** გააკეთა ინფორმაცია რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამართალმცოდნეობის სწავლების მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წნორის მექანიკურ ქარხანაში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა კონსულტანტმა **ზ. ჯორჯიაშვილმა**, საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწემ **ელ. ბახუტაშვილმა** და რაიონის პროკურორმა **ა. ვაიტაძემ.**

სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკაში მოწყობილ კითხვა-პასუხის საღამოში მონაწილეობდნენ რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ი. კოპლამაზაშვილი**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი **თ. საბიაშვილი** და საზოგადოება „ცოდნის“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი **ა. გოდერძიშვილი.**

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სამდღიურმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობაში.

ლ. ბეგიაშვილი

სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორი.

სახელმძღვანელოს განხილვა

უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის, სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის, სსრ კავშირის ფინანსებისა და კრედიტის კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე მოეწყო სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტის **რომან შენგელიას** წიგნის — „საბჭოთა საფინანსო სამართლის“ საჯარო განხილვა (თსუ გამომცემლობა, 1975 წელი, რედაქტორი პროფ. ს. ჯორბენაძე). წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. წიგნის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გრ. ერემოვი** და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი **შ. ქისტაური.** მათ კარგი შეფასება მისცეს განსახილველ წიგნს და აღნიშნეს, რომ საფინანსო სამართლის, სახელმძღვანელოს შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ სფეროში არსებული ხარვეზის გამოსწორებას, მით უმეტეს, ამ დარგში ქართულ ენაზე წყაროები იშვიათია. წიგნში საკავშირო და საქართველოს სსრ საფინანსო კანონმდებლობის ანალიზის, შესაბამისი იურიდიული და ეკონომიური ლიტერატურის ღრმად შესწავლის საფუძველზე მეცნიერული კეთილსინდისიერებით გადმოცემულია საფინანსო სამართლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თითქმის ყველა საკითხი. სახელმძღვანელო, გაანალიზებულ საკითხთა სისრულითა და არქიტექტონიკით, არსებითად განსხვავდება რუსულ ენაზე ავტორთა კოლექტივების მიერ დაწერილი სახელმძღვანელოებისაგან.

წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **ვ. ჩანტლაძემ**, პროფესორებმა **ს. ჯორბენაძემ**, **ე. ნეიძემ**, დოცენტებმა **ვ. ლორიამ**, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **რ. ცინცაძემ.** მათი აზრით, ქართულ ენაზე საფინანსო სამართლის სახელმძღვანელოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია აღნიშნული საგნის სწავლების გაუმჯობესებისა და საფინანსო სამართლის პრობლემების მეცნიერული დამუშავების გზაზე.

ლ. გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ. ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР